

საოჯახო ღაპები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიეპელი

1. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები
უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა 4; 21
თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა 31
ქორწინების განმავლობაში შეძენილი
ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები 50
2. შვილების წარმოშობის დადგენა
ბავშვის მამობის დადგენა 57
3. განქორწინებული მშობლების უფლებები და მოვალეობები
შვილების მიმართ
ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა 93; 115
4. მშობლების საალიმენტო მოვალეობანი
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ 132
შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ
ალიმენტის დაკისრება 154

1. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა

გადანუსვითილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-931-2024

30 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
გ. უბილავა (მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება, უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ჯ. ბ-ძემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „შეგებებული სარჩელით მოპასუხე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ძის (შემდგომში – „მოპასუხე“, „შეგებებული სარჩელით მოსარჩელე“, „კასატორი“) (შემდგომში ერთად – „მეუღლეები“) მიმართ განქორწინების თაობაზე.

2. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო და დამატებით წარადგინა შეგებებული სარჩელი ალიმენტის დაკისრებისა და უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შეგებებული სარჩელით მოპასუხეს დაეკისრა: 1) არასრულწლოვანი შვილის, 2012 წლის 9 ივნისის დაბადებული, ა. ბ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 300 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2022 წლის 8 ივლისიდან ა. ბ-ძის სრულწლოვანებამდე; 2) არასრულწლოვანი შვილის, 2013 წლის 2 დეკემბერს დაბადებული, ა. ბ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 300 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2022 წლის 8 ივლისიდან ა. ბ-ძის სრულწლოვანებამდე; შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს უარი ეთქვა გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე; შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ცნობილ იქნა ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის თანამესაკუთრედ; შეგებებული სარჩელით მოპასუხეს

შეგებებული სარჩელი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1 000 ლარის ოდენობით.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შეგებებული სარჩელით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ. გ-ძე ცნობილ იქნა ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის თანამესაკუთრედ და ჯ. ბ-ძეს დაეკისრა გ. გ-ძის სასარგებლოდ იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1 000 ლარის ოდენობით; ჯ. ბ-ძეს გ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა გ. გ-ძის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით. შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს უარი ეთქვა უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობაზე.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2011 წლის 28 მარტიდან;

6.2. ერთად ცხოვრების განმავლობაში მეუღლეებს შეეძინათ ორი შვილი 2012 წლის 9 ივნისს დაბადებული ა. ბ-ძე და 2013 წლის 2 დეკემბერს დაბადებული ა. ბ-ძე;

6.3. ა. ბ-ძე სწავლობს სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №... საჯარო სკოლის მე-5 კლასში, ხოლო ა. ბ-ძე ამავე სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეა;

6.4. ქორწინებამდე შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ცხოვრობდა ქ. ბათუმში, ... საერთო საცხოვრებელში. ოჯახის შექმნის შემდეგ პერიოდულად, როგორც ქ-ში მოსარჩელის საცხოვრებელ მისამართზე, ასევე, ქ. ბათუმში ... საერთო საცხოვრებელში;

6.5. 2017 წლიდან შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ ... მდებარე შეგებებული სარჩელით მოპასუხის საცხოვრებელი სახლი დატოვა და შვილებთან ერთად დღემდე ცხოვრობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში;

6.6. მოსარჩელის სახელზე საჯარო რეესტრში ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... მდებარე ორი უძრავი ქონება (ს/კ. ... და ს/კ. ...);

6.7. უძრავ ქონებაზე, რომელიც შედგება 9 412 კვ.მ ფართის მიწის

ნაკვეთისაგან, საკადასტრო კოდით: ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“), მოსარჩელემ საკუთრების უფლება მოიპოვა 2020 წლის 28 დეკემბერს გაცემული №144 საკუთრების უფლების მონმობის საფუძველზე. აღნიშნული უძრავი ქონება მის საკუთრებად საჯარო რეესტრში 2020 წლის 4 სექტემბრიდან არის რეგისტრირებული;

6.8. სადავო უძრავი ქონებას შეგებებული სარჩელით მოპასუხე თვითნებურად ფლობდა დაქორწინებამდე. აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძველად ამ მინის ნაკვეთზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ №144 საკუთრების მონმობას, რაც თავის მხრივ საფუძველად დაედო საჯარო რეესტრში მითითებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციას, ამ დროისათვის მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო მოპასუხესთან;

6.9. სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვა არ განხორციელებულა მეუღლეთა საერთო მეურნეობის გაძლოლის შედეგად და მითითებული ქონებრივი სიკეთის მიღება მოხდა საერთო, საოჯახო ბიუჯეტიდან ქონებრივი დანაკლისის/ ხარჯის გარეშე;

6.10. მოპასუხე მუშაობს ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში – სანერგე განყოფილებაში სარეალიზაციო მცენარეთა კოორდინატორის თანამდებობაზე;

6.11. მოსარჩელე მუშაობს ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურში და მისი ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს თვეში 905 ლარს;

6.12. შემოსავლების სამსახურის მიერ 2023 წლის 6 დეკემბერს გაცემული ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიერ 2022 წლის ივნისიდან, 2023 წლის ნოემბრის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 15 554 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 3 048,58 ლარს;

6.13. შეგებებული სარჩელი აღიმენტის დაკისრების თაობაზე წარდგენილია 2022 წლის 8 ივლისის;

6.14. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ შეგებებული სარჩელის წარდგენამდე მიღებული არ ყოფილა ზომები სარჩოს მისაღებად, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში, ვერ დგინდება ფაქტობრივი გარემოება, შეგებებული სარჩელით მოპასუხე თავს არიდებდა თუ არა თავისი ვალდებულების შესრულებას შვილების წინაშე;

6.15. შეგებებული სარჩელით მოსარჩელესა და ადვოკატ ი. ზ-ძეს შორის 2022 წლის 5 ივლისს დაიდო №132 იურიდიული მომსახურების განვეის ხელშეკრულება;

6.16. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილია 1 500 ლარი;

6.17. 2024 წლის 15 აპრილს გ. გ-ძემ ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სხდომაზე იშუამდგომლა მოწინააღმდეგე მხარეს დაკისრებოდა ტრანსპორტირების ხარჯი – 200 ლარი.

7. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ალიმენტის დაკისრების თაობაზე შეგებებული სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2022 წლის 8 ივლისს, საქმეში არსებული მტკიცებულებებით კი არ დასტურდება, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ ალიმენტის გადახდის თაობაზე მიმართა ყოფილ მეუღლეს და ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. შესაბამისად, მოთხოვნა – შეგებებული სარჩელის წარდგენამდე, 2019 წლის 8 ივლისიდან 2 წლისა და ცხრა თვის, ალიმენტის (სულ 34 თვე), ყოველთვიურად 800 ლარის, საერთო ჯამში – 27 200 ლარის დაკისრების თაობაზე, არ არის გამყარებული კანონით ამგვარი მოთხოვნისათვის დადგენილი საფუძვლის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებებით, რაც შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის გაზიარებისა და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას გამორიცხავს.

8. მეორე სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავოა ალიმენტის ოდენობა და სადავო უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის საკითხი, ასევე, იურიდიული მომსახურების საფასურის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება.

9. სააპელაციო სასამართლომ ალიმენტის ოდენობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისა და მხარეთა პრეტენზიების მართებულობის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა შემოსავალი აქვს შეგებებული სარჩელით მოპასუხეს და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს გადასახდელი ალიმენტის გონივრული ოდენობა.

10. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შვილების რჩენა-აღზრდისთვის აუცილებელი მოთხოვნილებებისა და ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გონივრულია შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება ყოველთვიურად 300-300 ლარის, ჯამში 600 ლარის ოდენობით, რაც შეადგენს მხარის შრომის ანაზღაურების ნახევარზე მეტს.

11. სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რამდენადაც მოსარჩელეს არ შეუძენია, არ უყიდა და არანაირ მსყიდველობით გარიგებას არ ჰქონია ადგილი სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და არ არსებობს თანასაკუთრების წარმოშობის საკანონმდებლო დათქმის შესაბამისი წინაპირობა, მოთხოვნა თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, უსაფუძვლოა.

12. სააპელაციო სასამართლომ იურიდიული მომსახურების ხარჯთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გონივრულია შეგებებული სარჩელით მოპასუხეს ნაცვლად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრე-

ბული 1 000 ლარისა, დაეკისროს – 500 ლარი, რაც შესაბამისობაშია სსკ-ის 53-ე მუხლის ნორმატიულ დანაწესთან.

13. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის შუამდგომლობასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც დავის მონაწილე მხარე (აპელანტი/მონინააღმდეგე მხარე) სასამართლოს გამოძახების საფუძველზე, ვალდებული იყო გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე, დავის სათანადოდ განხილვის მიზნებიდან გამომდინარე და ამისთვის (ტრანსპორტირებისთვის) გაენია გონივრული ხარჯები თავისი ადგილსამყოფლიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლომდე, რაც საპროცესო კანონმდებლობით არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

15. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრეტენზიებს:

15.1. შეგებებულ სარჩელზე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ შესაგებელი არაკვალიფიციურია და ვერ აკმაყოფილებს შესაგებლისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ, შესაგებელში მოპასუხე მხარეს შეგებებულ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, კერძოდ, წარსული დროის ალიმენტისა და ქონების თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილებში არ აქვს მითითებული საკუთარი მოსაზრება და პოზიცია, ასევე, მოთხოვნის გამომრიცხავი ფაქტობრივი გარემოებები;

15.2. სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში არ უნდა მიეღო, სსსკ 219-ე, 380-ე, მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარში მითითებული არცერთი ფაქტობრივი გარემოება, რაც მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებულ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში არ იყო მითითებული. მათ შორის, ფაქტობრივი გარემოებები წარსული დროის ალიმენტის დაკისრებისა და ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ, ვინაიდან უდავოდ დასტურდებოდა, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებულ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში ალიმენტის დაკისრებისა და უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, არავითარი ფაქტობრივი გარემოებები და შედავება არ დაუფიქსირებია, ხოლო აღნიშნულის განხორციელება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ეწინააღმდეგება სსსკ 380-ე მუხლით დადგენილ პრინციპს;

15.3. სააპელაციო სასამართლომ თავისი საოქმო განჩინებით, შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ მოპასუხეზე წარსული დროის ალიმენტის დაკისრების საკითხთან მიმართებით უსაფუძვლოდ უთხრა უარი მოწმის დაკითხვაზე და მასზე გაავრცელა სსკ 380-ე მუხლის მოთხოვნები, მაშინ როდესაც ამ ნაწილში, საქმის განხილვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით; სსკ 354-ე მუხლის შესაბამისად, საოჯახო საქმეების, კერძოდ, ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მოცემული გარემოება ნაკარნახევია არასრულწლოვანი შვილების ინტერესებიდან გამომდინარე და მათზე ვერ გავრცელდება სსკ მე-4 და 102-ე მუხლის მოთხოვნები. არასრულწლოვანი, ერთ-ერთი მშობლის მიერ მის სასარგებლოდ აღძრულ სარჩელზე საქმის განხილვისას შეჯიბრებითობის პრინციპის დაუცველობით ან არაჯეროვნად განხორციელების გამო არ შეიძლება დარჩეს დაცვის მიღმა; წარსული დროის ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით თვით მოპასუხის შესაგებელში ფაქტებზე მიუთითებლობა, ასევე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (თითქმის ორ წელზე მეტია მეუღლეები არ იმყოფებიან ქორწინებაში და ცხოვრობენ სხვადასხვა მისამართზე) ქმნიდა მოპასუხეზე წარსული დროის ალიმენტის დაკისრების სამართლებრივ მოცემულობას, ვინაიდან თავად მოპასუხე ერთის მხრივ დუმდა შეგებებულ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით მისი მხრიდან წარსული დროის განმავლობაში ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან თავის არიდების ფაქტზე, ხოლო მეორეს მხრივ, თავად მის სარჩელში უთითებდა ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც სსკ 1234-ე მუხლის საფუძველზე ქმნიდა მოპასუხეზე წარსული პერიოდის ალიმენტის დაკისრების შესაძლებლობას;

15.4. 2017 წლამდე მეუღლეები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ... შვილებთან ერთად და ეწეოდნენ ერთიან მეურნეობას, ამუშავებდნენ მიწის ნაკვეთს და მისგან იღებდნენ მოსავალს. სწორედ ქედის რაიონიდან წლების განმავლობაში მოსარჩელე ყოველდღიურად დადიოდა სამსახურში ბათუმში. მას შემდეგ რაც შეგებებული სარჩელით მოპასუხის ძმების ზეგავლენის გამო ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში გაჩნდა პრობლემები, კასატორი ბავშვებთან ერთად მონინალმდევე მხარის დაჟინებული მოთხოვნით და შეიძლება ითქვას, განხორციელებული იძულების გამო, საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში, ... საერთო საცხოვრებელში, თუმცა სოფელთან და იმ ქონებასთან (მიწის ნაკვეთი), რომლის ნაწილის მესაკუთრედ ცნობასაც ითხოვს,

კავშირი არასოდეს შეუწყვიტავს. მეუღლის ძმები კასატორს პერიოდულად უქმნიდნენ პრობლემებს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში, რის გამოც ისინი შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქედის რაიონული სამმართველოს მიერ გაფრთხილებული იქნენ; აღნიშნული მტკიცებულებაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კასატორს მიწის ნაკვეთის სარგებლობა და ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოება არ შეუწყვიტავს;

15.5. სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას პროცესუალური ნორმების დარღვევით იმსჯელა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარში მითითებულ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც მხარეს მითითებული არ ჰქონდა საქალაქო სასამართლოში, ამასთან სასამართლომ უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში, მოთხოვნაზე არსებითად არასწორად განმარტა სსკ-ის 1158-ე მუხლი და მიიღო უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე არსებული ერთიანი პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება;

15.6. სააპელაციო სასამართლომ არსებული საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევის ფონზე, სოციალურად დაუცველი დედა არასრულწლოვან შვილებთან ერთად დატოვა, ფაქტობრივად, ყველაფრის გარეშე და იმ რისკის წინაშე, რომ ამჟამად უკანონოდ დაკავებული საცხოვრებლიდან (ბათუმის ... ყოფილი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლიდან) გამოსახლების შემთხვევაში, შვილებთან ერთად ღია ცის ქვეშ აღმოჩნდეს. კასატორს წაერთვა შესაძლებლობა ესარგებლა იმ ქონებაზე თანასაკუთრების უფლებით, რომელიც მეუღლესთან ერთად ქორწინების განმავლობაში შეძენილად ითვლება და რომელსაც მასთან ერთად წლები ამუშავებდა მოსავლის მიღების მიზნით (გამოსახლების შესახებ უკვე მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება საქმეზე №A..., რასაც ადასტურებს საქმეში წარდგენილი აღსრულების პოლიციის 2019 წლის 27 აგვისტოს წერილი №A...);

15.7. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2020 წლის 28 დეკემბერს აღიარების კომისიის მიერ გაცემული № 144 საკუთრების უფლების მონმობის საფუძველზე, ანუ ქორწინების პერიოდში და იმ დროს, როდესაც აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ოჯახის, არასრულწლოვანი შვილების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსავლის მიღების მიზნით, კასატორიც ამუშავებდა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზე-

ზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი;

15.8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლი განმარტავს შემთხვევებს, რომლებიც გამორიცხავს ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელებას, კერძოდ, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით; მოცემულ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონება არც ჩუქებითაა მიღებული და არც მემკვიდრეობით, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ქონებაზე სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 1158-ე მუხლის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, უნდა გაეგრძელებინა მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი;

15.9. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრირებულ უძრავი ქონების შეძენისათვის ამავე მეუღლის მშობლის მიერ თანხის გადახდის მიუხედავად ქონება ითვლებოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად (№ას-31-2023);

15.10. სსკ-ის 1158-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონების მათ საერთო ქონებად, თანასაკუთრებად არსებობის პრეზუმფციას. ნორმა განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონების მიმართ და ემსახურება ოჯახის ინტერესების დაცვის მიზანს, კერძოდ, ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონება შეძენილია ოჯახის გაძლოლის, საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამდენად, დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის. სადავო ქონების თანასაკუთრებად პრეზუმირების ფარგლებში, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის ამ გარემოებას (სუსგ №ას-1426-1346-2017, 02.03.2018წ.), ხოლო ამისი მტკიცების განხორციელება მხარემ უნდა განახორციელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მოწინააღმდეგე მხარეს უძრავი ქონების 1/2 ნაწილის როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით წარდგენილ სარჩელზე პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლად არ განუხორციელებია კვალიფიციური და დასაბუთებული შედავა, თუმცა მნიშვნელოვანია ამ მხრივ სააპელაციო სასამართლოში მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო მხედველობაში სსკ-ის 380-ე მუხლის გათვალისწინებით; სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული

ახალი ფაქტობრივი გარემოებების საპროცესო დარღვევებით მხედველობაში მიღების პარალელურად არასწორად იქნა განმარტებული სსკ 1158-ე მუხლი; სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვა არ განხორციელებულა მეუღლეთა საერთო მეურნეობის გაძლოლის შედეგად და მითითებული ქონებრივი სიკეთის მიღება მოხდა საერთო, საოჯახო ბიუჯეტიდან ქონებრივი დანაკლისის გარეშე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამ მოსაზრების გათვალისწინებით არ მიიჩნევს უძრავ ქონებას თანასაკუთრებად, თუმცა ამ მსჯელობის პარალელურად, სასამართლო მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რასაც თვით მოწინააღმდეგე მხარეც არ უარყოფდა, რომ სადავო უძრავ ქონებას მოპასუხესთან ერთად ერთიანი საოჯახო მეურნეობის გაძლოლის ფარგლებში, ფლობდა კასატორი და მისგან ოჯახი იღებდა მოსავალს ერთნაირი და მრავალნაირი სასოფლო სამეურნეო კულტურების გაშენების გზით;

15.11. მოწინააღმდეგე მხარე არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენებით საკუთარ ძმებთან რ. და მ. ბ-თან შეთანხმებით შეეცადა ზემოაღნიშნულ ქონებაზე საკუთრების მოპოვების საფუძვლის გაუქმებას, კერძოდ, შეგებებული სარჩელით მოპასუხის ძმებმა ჯერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში წარადგინეს სარჩელი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და საკუთარი ძმის, ჯ. ბ-ძის მიმართ საკუთრების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო მას შემდეგ რაც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული მათ განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ჩემსა და ჯ. ბ-ძეს შორის არსებულ, წინამდებარე დავაში მესამე პირებად ჩაბმის მოთხოვნით, რაც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. ზემოაღნიშნული გარემოებები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ჯ. ბ-ძის როგორც მეუღლის, ასევე, არასრულწლოვანი შვილების მამის არაჯანსაღ მიდგომასა და დამოკიდებულებას როგორც შვილების სასარგებლოდ ალიმენტის მოთხოვნის, ისე ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების თანასაკუთრებად ცნობის მოთხოვნის ნაწილში. მოწინააღმდეგე მხარემ, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მნიშვნელოვანი საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევის ფონზე, მოცემული ეტაპისათვის მიაღწია იმას, რომ კასატორს არასრულწლოვან შვილებთან ერთად შეუქმნიდა ღია ცის ქვეშ დარჩენის რეალურ რისკს.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, რამდენად მართლზომიერად ეთქვა შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს უარი წარსული დროის ალიმენტის შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის დაკისრებასა და სადავო უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნაზე.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლო უპირველესად იმსჯელებს წარსული დროის ალიმენტის საკითხზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

21. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ადგენს ალიმენტის დაკისრების ზოგად წესს, რომელიც განისაზღვრება სარჩელის აღძვრის მომდევნო პერიოდით, თუმცა საგამონაკლისო შემთხვევაში, დასაშვებია, სარჩელის აღძვრამდე წინა სამი წლის პერიოდის ალიმენტის დაკისრება, თუ დადგინდება, რომ: ა) მოსარჩელე იღებდა ზომებს სარჩოს მისაღებად; ბ) სარჩოს მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ალიმენტვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. აღნიშნული გარემოებების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. მოცემულ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის ფარგლებში, არ არის დადგენილი, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელე იღებდა ზომებს სარჩოს მისაღებად, კერძოდ, კონკრეტული ხასიათის ზომები გაატარა თუ არა წარსულში სარჩოს მისაღებად, ალიმენტის გადახდის მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე წარედგინა მოწინააღმდეგე მხარეს თუ არა. მოცემულ შემთხვევაში, ამგვარ მტკიცებულებებზე შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს არ მიუთითებია, ხოლო მართლმდებარე შეგებებული სარჩელით მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომელსაც სადავოდ ხდის მოწინააღმდეგე მხარე, ამ

ფაქტის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის (იხ. სუსგ საქმე №ას-1008-944-2012, 24 სექტემბერი 2012 წელი). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართლზომიერად უთხრა უარი შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს წარსული დროის ალიმენტის დაკისრების მოთხოვნაზე.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლო წინამდებარე განჩინების 15.10 პუნქტში მითითებულ კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი, ასევე, დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში, მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავასა და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან (სუსგ №ას-108-2021, 22 აპრილი 2021 წელი; №ას-301-301-2018, 14 დეკემბერი 2021 წელი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხედვს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცებების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცებების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება (სუსგ საქმე №ას-108-2021, 22 აპრილი 2021 წელი).

23. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია, მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას, ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან

ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად მიიჩნევა. მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენით გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმე №ას-664-635-2016, 2 მარტი 2017 წელი; სუსგ №ას-132-2019, 30 ივნისი 2021 წელი).

24. სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები შეზღუდული არიან ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ ამის შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით ვერ განაცხადეს. ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოპასუხე შეზღუდულია შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით და მას არ აქვს უფლება შემდგომში, საქმის არსებითად (მთავარ სხდომაზე) განხილვის დროს ან სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას სადავოდ გახადოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა თაობაზეც შესაგებელში მითითებული არ ჰქონია.

25. მოცემულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად უნდა შეფასდეს კასატორის მითითება მოპასუხის მიერ წარდგენილ არაკვალიფიციურ შესაგებელთან მიმართებით. მოწინააღმდეგე მხარეს მართლაც არ წარუდგენია კვალიფიციური შედავება სადავო საკითხებზე, კერძოდ, შეგებებული სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში, მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მიწის ნაკვეთზე თანამესაკუთრედ ცნობას, აღნიშნულია მხოლოდ, რომ მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა, სადაც მოთხოვნილია საკუთრების უფლების გაუქმება და არ არის შედავებული თანასაკუთრების საკითხი, ასევე, არაფერია ნათქვამი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველზე. შესაბამისად, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 219-ე მუხლიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელით მოპასუხემ უფლება დაკარგა საქმის განხილვისას სადავოდ გაეხადა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა თაობაზეც შესაგებელში

მითითებული არ ჰქონია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მათზე არ უნდა ემსჯელა.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ საოჯახო კანონმდებლობით, მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი აწესრიგებს მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. სსკ-ის 1161-ე მუხლის შესაბამისად, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. სსკ-ის 1162-ე მუხლის თანახმად კი, ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩათვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით.

27. თანაზიარ ქონებად ჩათვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ.

28. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებისადმი ამა თუ იმ ქონების მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებებს: ა) ქონება შეძენილი იყო მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით; ბ) ქონება ორივე მეუღლის საკუთრებაში შევიდა ქორწინების განმავლობაში (უსასყიდლო ხელშეკრულებათა საფუძველზე) (იხ. მ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2004, გვ. 132).

29. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დანესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლივითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამენარმო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

30. ამდენად, მეუღლეთა საერთო საკუთრების დასადასტურებლად, მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: ა) მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; ბ) უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება.

31. მოცემულ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2011 წლის 28 მარტიდან, ხოლო სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოიპოვა 2020 წლის 28 დეკემბერს გაცემული № 144 საკუთრების უფლების მონშობის საფუძველზე. აღნიშნული უძრავი ქონება მის საკუთრებად საჯარო რეესტრში 2020 წლის 4 სექტემბრიდან არის რეგისტრირებული.

32. სანივთო უფლებები, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული უფლებები ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო რეესტრში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მონშობის გაცემა და საკუთრების რეგისტრაცია მოხდა ქორწინების განმავლობაში, ამასთან, სახეზე არ გვაქვს ქონების მიღება მემკვიდრეობით ან/ და ჩუქების საფუძველზე, ასეთ პირობებში, სახეზე არ არის წინაპირობები, რომელიც სადავო უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრებას გამოიწვევდა.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მეუღლეები, ქორწინებიდან განქორწინებამდე, მინიმუმ კი 2017 წლამდე [სანამ შეგებებული სარჩელით მოსარჩელე დატოვებდა სოფ. ... მდებარე ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ სახლს, თუმცა როგორც კასატორი განმარტავს მას აღნიშნული თარიღის შემდეგაც 2022 წლის აპრილამდე, არ გაუწყვეტია კავშირი მიწის ნაკვეთთან და უწყვეტად სარგებლობდა სადავო უძრავი ქონე-

ბით, მოწინააღმდეგე მხარეს კი აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია, 5 წელზე მეტი, ერთად ფლობდნენ სადავო უძრავ ქონებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2007 წლის 11 ივლისს, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს მხოლოდ 2020 წლის 10 სექტემბერს, ქორწინების განმავლობაში, მიმართა.

34. სსკ-ის 1158-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების მათ საერთო ქონებად, თანასაკუთრებად არსებობის პრეზუმფციას. ნორმა განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ და ემსახურება ოჯახის ინტერესების დაცვის მიზანს, კერძოდ, ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის, საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამდენად, დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის. სადავო ქონების თანასაკუთრებად პრეზუმირების ფარგლებში, საწინააღმდეგოს მტკიცებების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის ამ გარემოებას (სუსგ №ას-1426-1346-2017, 2 მარტი 2018 წელი), რაც მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე ვერ დაადასტურა.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ სადავო უძრავ ქონებაზე უნდა გავრცელდეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ყიდვა და მსყიდველობითი გარიგების არ არსებობა თავისთავად გამორიცხავს სადავო უძრავი ქონების თანასაკუთრებად მიჩნევის შესაძლებლობას, საპირისპიროდ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად ჩუქებაც კი თუ ის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ იყო მიმართული და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა არ შეიძლება თავისთავად ინდივიდუალურ საკუთრებად იქნეს მიჩნეული, რამდენადაც მტკიცების ტვირთი, რომ ჩუქება განხორციელებულია მხოლოდ ერთი მეუღლის სასარგებლოდ, აწევს იმ მეუღლეს, რომლის ინტერესებშიც ეს შედის (რუსიაშვილი/ქავშბაია/ბატიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი VII, ჭანტურია/რუსიაშვილი (რედ.), 2021, მუხლი 1161, ველი 2).

37. რაც შეეხება ადვოკატის ხარჯებს, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურების ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის გაღებული ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება (იხ: სუსგ №ას-1054-2019, 30 სექტემბერი 2019 წელი; №ას-316-316-2018, 7 მაისი 2018 წელი; №ას-1289-2023, 7 თებერვალი 2024 წელი). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ადვოკატმა კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები შეასრულა, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა და ასკვნის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული 500 ლარი ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების გონივრული ოდენობაა.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძველები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ. გ-ძის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. გ. გ-ძე ცნობილ უნდა

იქნეს ..., სოფელ ... მდებარე 9 412 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს.კ ...) მიწის ნაკვეთის 1/2 ნაწილის თანამესაკუთრედ. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

41. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია

42. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამასთან, ალიმენტის ნაწილში, მისი საკასაციო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოთხოვნა სადავო უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი – 3 775.38 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. გ-ძის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. გ-ძე ცნობილ იქნეს ..., სოფელ ... მდებარე 9 412 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ ...) მიწის ნაკვეთის $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ;

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;

5. ჯ. ბ-ძეს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 3 775.38 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შპრავ კონებაზა თანამისაკუთრად ცნობა

გადანყვითლება საქართველოს სახალხო

№ას-980-2024

13 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. უბილავა**

დავის საგანი: ჩუქების და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 1998 წელს კ. კ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც თავდაპირველი მესაკუთრე, პირველი მოპასუხის მეუღლე ან მეორე მოპასუხის მამა) რუსთავეში, ...) მდებარე № 15 ბინა (შემდეგში ტექსტში

მოხსენიებული, როგორც უძრავი ქონება ან სადავო ბინა) შეიძინა, რომელიც ამ უკანასკნელის სახელზე საჯარო რეესტრში 2007 წლის 31 ივლისს აღირიცხა.

2. თ. ყ-ი (გვარის შეცვლამდე კ.) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) და ლ. კ-ე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, კასატორი ან მოსარჩელის ყოფილი მეუღლე) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2006 წლის 13 მაისიდან.

3. 2009 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოპასუხემ თავდაპირველი მესაკუთრისგან/მამისგან შეიძინა სადავო ბინა და, ნივთის მესაკუთრედ ეს უკანასკნელი აღირიცხა.

4. 2010 წლის 27 აგვისტოს მეორე მოპასუხემ, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება დედას/ნ. პ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც 1-ლი მოპასუხე, კასატორი ან მეორე მოპასუხის დედა) აჩუქა და ქონება მის საკუთრებად აღირიცხა.

5. 2012 წლის 8 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულებით, პირველმა მოპასუხემ უძრავი ნივთი შვილს/მეორე მოპასუხეს აჩუქა და საკუთრების უფლება მას გადაეცა.

6. 2014 წლის 27 ოქტომბერს კი, მეორე მოპასუხემ უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, პირველ მოპასუხეს მიჰყიდა და სადავო ქონების მესაკუთრედ კვლავ ეს სუბიექტი აღირიცხა.

7. 2016 წლის 19 ივლისს პირველ მოპასუხესა და სს „თ.პ“-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც თავდაპირველი მოპასუხე ან ბანკი) შორის გაფორმებული გარიგებით სადავო ქონებაზე იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო.

8. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ სადავო ქონება მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდშია შეძენილი, რომელიც პირველი მოპასუხის სახელზე იმ მიზნით გაფორმდა, რომ არ მომხდარიყო უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მის სახელზე აღირიცხვა.

9. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითეს, რომ პირველმა მოპასუხემ და მისმა მეუღლემ სადავო ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 1998 წელს შეიძინეს და ქონების შეძენაში არც მეორე მოპასუხეს და არც მოსარჩელეს წვლილი არ მიუძღვით. უძრავი ქონების მესაკუთრე ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე ხშირად იცვლებოდა თუმცა, მიუხედავად სადავო ქონების მესაკუთრის ცვლილებებისა, უძრავ

ქონებაში უწყვეტად ცხოვრობდნენ პირველი მოპასუხე და მისი მეუღლე, შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობდა.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 27 აგვისტოს მოპასუხეებს შორის დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, 1/2 ნაწილში; ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი 2012 წლის 7 აგვისტოს მოპასუხეებს შორის დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება 1/2 ნაწილში; ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი 2014 წლის 27 ოქტომბერს მოპასუხეებს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 ნაწილში და მოსარჩელე ცნობილი იქნეს უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

13. გადაწყვეტილება მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. კასატორების მტკიცებით, მოსარჩელეს სადავო ბინაში არასოდეს უცხოვრია და იქ მხოლოდ სტუმრად მოდიოდა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ კი, არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალური სამართლის ნორმები, შესაბამისად, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, რაც მისი გაუქმების აბსოლიტური საფუძველია.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 6 მარტის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემო-

ებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეების/კასატორების პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, დასაბუთებულია.

16. საკასაციო პალატის დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოპასუხეების შედავების პირობებში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სადავო ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების წინაპირობების არსებობა.

17. იმისთვის, რომ სადავო ქონება, მეუღლეთა თანასაკუთრებად მივიჩნიოთ, უნდა დადასტურდეს მტკიცების საგანში შემავალი შემდეგი გარემოებები: მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ და ობიექტურად უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება.

18. ამდენად, საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობით, მეუღლის ქონებრივი უფლების რეალიზაცია – სადავო მატერიალური სიკეთის, რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეძენის ფაქტზეა დამოკიდებული. ამასთან, ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგისთვის ერთ-ერთი მეუღლე უნდა ითხოვდეს საერთო ქონების გაყოფას, რაც ნიშნავს საერთო ქონების რეალურ/იდეალურ წილად ტრანსფორმირებას.

19. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ქონება მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში – 2009 წლის 26 მარტსაა შეძენილი, შესაბამისად, სადავო ნივთი ექცევა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში და ქონების 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლება შეუძლია მიიღოს.

20. ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ, პირად და ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სწორედ ამიტომ მოცემული დავის ფარგლებში მნიშვნელოვანია შევხვოთ იმ საკითხის გადანყევტას, რაც შეეხება ქორწინებიდან გამომდინარე მეუღლეთა თანასაკუთრებას.

21. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ [სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლები] და საერთო თანაზიარ საკუთრებად [სსკ-ის 1158-ე მუხლი: მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯა-

ხო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. „ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს... თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანისა თუ ორივე მეუღლის მიერ.

ამდენად, უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია, რომ ქონება ერთობლივი მეურნეობის მართვის შედეგად იყოს შეძენილი. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ, როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძღოლითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა“ (იხ. სუსგ №ას-7-7-2016, 16 მარტი, 2016 წელი).

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული

ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

23. მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების საგანში შემავალ და შესაბამისად დასადასტურებელ გარემოებათა წრე შემდეგია: მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ; უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება. ამდენად, საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობით, მეუღლის ქონებრივი უფლების რეალიზაცია – სადავო მატერიალური სიკეთის, ერთობლივი მეურნეობის მართვის შედეგად მიღების ფაქტზეა დამოკიდებული.

24. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ უძრავი ქონება 1998 წელს პირველმა მოპასუხემ და მისმა მეუღლემ შეიძინეს, რომელიც ამ უკანასკნელის სახელზე მარეგისტრირებელ ორგანოში 2007 წლის 31 ივლისს აღირიცხა. ასევე დადგენილია, რომ ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთი, მათ შორის დადებული გარიგებების საფუძველზე, სხვადასხვა პერიოდში, ოჯახის წევრების საკუთრებაში რეგისტრირდებოდა; სახელდობრ, 2009 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოპასუხის, 2010 წლის 27 აგვისტოდან 2012 წლის 8 აგვისტომდე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, პირველი მოპასუხის, 2012 წლის 8 აგვისტოდან 2014 წლის 29 ოქტომბრამდე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოპასუხის სახელზე იყო რეგისტრირებული. 2014 წლის 29 ოქტომბრიდან დღემდე კი, სადავო ქონება პირველი მოპასუხის საკუთრებაა.

25. ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელზე მითითებითაც მოსარჩელე უძრავ ქონებას თანაცხოვრების პერიოდში შეძენილად მიიჩნევს და შესაბამისად ნივთის 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობას მოითხოვს, 2009 წლის 26 მარტს, მეორე მოპასუხესა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორისაა შედგენილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის პოზიციას მხარეების მიერ დასახელებული გარიგებით საკუთრების უფლების რეალურად გადაცემის მიზნის ნაწილში, სახელდობრ:

26. საკასაციო სასამართლო მოსარჩელის ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე რომელიც ადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის სანივთოსამართლებრივ ნიშანპირობებს (უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში), თუმცა იგი არ არის ამომწურავი. საკუთრების გადაცემის, როგორც განკარგვითი ხელშეკრულების ვალდებულებითი ნაწილიდან გამომდინარე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს

საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სსკ-ის 477-ე მუხლი), მასზე ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილი ყველა ის ზოგადი და კერძო შეზღუდვა ვრცელდება, რაც სახელშეკრულებო სამართლისთვისაა დამახასიათებელი.

საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ კანონის ზემოხსენებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა (მაგ: მხოლოდ გარიგების ფორმის დაცვა და სხვა), არამედ, უმთავრეს ამოსავალს წარმოადგენს მხარეთა ნების ნამდვილობა, ანუ ქონების განკარგვა უნდა განხორციელდეს გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთმფარავი ნამდვილი ნების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის მიხედვით თუ რა ნაკლი გააჩნდა გარეგნულად ფორმირებულ ნებას, დღის წესრიგში დგება მისი შედეგის ნამდვილობის საკითხი (საცილოდ და უცილოდ ბათილი გარიგებები).

27. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი მოტივების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების კანონიერებაზე.

28. საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტებით, სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნა-

ნამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

29. ამასთან, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სა-სამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოე-ბები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრა-ვენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემ-თხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფა-სებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა კანონისმიერი საფუძვლიდან. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნას იმაზე ამყარებდა რომ ქონება შეძენილი იყო ქორწინების პერიოდში. სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მტკი-ცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწო-რად გადანყევტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მო-ვალუბის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყო-ფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყევტის დაკისრების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვა-ლეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბო-ლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადან-ყევტისათვის მნიშვნელოვან მქონე გარემოებების არსებობაში. სასა-მართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი). დასახელებული ნორმე-ბის თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კა-ნონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხა-რეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მო-სარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზ-ნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმ-

გვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს (იხ. სუსგ №ას-746-2019, 26 ივლისი, 2019 წელი);

30. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხესა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებმა რეალურად გამოავლინეს საკუთრების გადაცემის ნება. მხარეთა ახსნა-განმარტებების და მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ხელშეკრულებას სამართლებრივად ნამდვილი ხასიათი არ შეუძენია, კერძოდ, ნასყიდობის თანხის სანაცვლოდ მოპასუხეს ბინა არ მიუღია და სადავო ქონებაში 1998 წლიდან უწყვეტად ცხოვრობენ პირველი მოპასუხე და მისი მეუღლე. მათ აღნიშნული ბინის გარდა სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ მოსარჩელე და მისი მეუღლე/მეორე მოპასუხე სადავო ბინას არ დაუფლებიან, მათ ქორწინების შემდგომ ქალაქ რუსთავში შეიძინეს ბინა და იქ დაიწყეს ერთობლივი ცხოვრება. სადავო ბინაში კი, მხოლოდ სტუმრად მიდიოდნენ. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა განხორციელებადი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე დამაჯერებლად და სარწმუნოდ დაასაბუთებდა თანასაკუთრების უფლების წარმოშობას ქორწინების განმავლობაში და ქონების საერთო ფინანსური რესურსით შეძენის ფაქტს.

31. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ პირველი მოპასუხე მეუღლესთან ერთად უწყვეტად ცხოვრობდა სადავო სახლში ხოლო თავდაპირველი (2009 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება) ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომდევნო გარიგებანი მხოლოდ ოჯახის სპეციფიკური ფინანსური (უძრავი ნივთის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება) და სხვა ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

32. ამდენად, საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერებითა და სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დანაწესთა სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სადავო ქონებაზე მისი თანასაკუთრების უფლების წარმოშობა.

33. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხესა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით და საკუთრების უფლების რეალურად გადაცემის მიზნით არ დადებულა, საფუძველს

აცლის მოპასუხეებს შორის გაფორმებული 2010 წლის 27 აგვისტოს და 2012 წლის 7 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულებისა და 2014 წლის 27 ოქტომბერის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნებს.

34. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

35. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ბ ა:

1. ნ. პ-ისა და ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ყ-შ, ნ. პ-ისა და ლ. კ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელების მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 2725 ლარის ანაზღაურება;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების განაწილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმით

№ას-1416-2023

30 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად
ცნობა, ქონების $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. მ-ქმ (შემდეგში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩე-
ლი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიაში ნ. კ-ის (შემდეგში – მოპასუხე, კასატორი) მიმართ, შემდეგი
სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. გ. კ-სა და ნ. კ-ს შორის უძრავ ქონებაზე – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-
ის ქ. №26 „ბ“, ს/კ: ..., 2011 წლის 9 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელ-
შეკრულების ბათილად ცნობა $\frac{1}{2}$ ნაწილში;

1.2. თ. მ-ძის ცნობა უძრავი ქონების – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26
„ბ“, ს/კ: ..., $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ.

2. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თ. მ-ძის სარჩელი ნ.
კ-ის მიმართ უძრავი ქონებაზე – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26 „ბ“, ს/
კ: ..., 2011 წლის 9 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნა-
წილობრივ ბათილად ცნობისა და მისი $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ ცნობის
შესახებ არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-
ქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გამო-
ყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ნ. კ-
ის (პირადი №...) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხვული უძრავი ნივ-
თის – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26 „ბ“, ს/კ: ..., $\frac{1}{2}$ წილს მოეხსნა ყადა-
ლა; თ. მ-ძეს ნ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურე-
ბისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 760 ლარის ოდენობით.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა თ. მ-ქმ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება

და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, თ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ვ. კ-სა და ნ. კ-ს შორის, 2011 წლის 09 ივნისის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... 466,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ: №...) ½ ნაწილში და საკადასტრო კოდით №... რეგისტრირებული უძრავი ნივთის (მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., 466.00 კვ.მ) ½ ნაწილის მესაკუთრედ ცნობილი იქნა თ. მ-ძე.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. თ. მ-ძე და ვ. კ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1959 წლის 5 მაისიდან. ვ. კ-ი გარდაიცვალა 2020 წლის 22 მაისს.

6.1.2. მოსარჩელეს და ვ. კ-ს თანაცხოვრების განმავლობაში შეეძინათ ოთხი შვილი: დ. კ-ი, თ. კ-ი, ნ. კ-ი და ნ. კ-ი.

6.1.3. 2004 წლის 27 ივლისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და ვ. კ-ი ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ... (..) -ში მდებარე ლიტ „ვ“ შენობის მფლობელად. ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს დაევალა სააღრიცხვო მასალაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ ლიტ „ვ“ შენობის აღრიცხვა ვ. კ-ის სახელზე და შესაბამისად, ხსენებულ ფართზე ა. ა-ის სახელზე არსებული აღრიცხვის გაუქმება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-მა გარკვეული საფასური გადაიხადა ა. ა-ის მიწის ნაკვეთში. მან თავისი ხარჯებით ააშენა საცხოვრებელი ბინა ლიტ „ვ“ შენობა-ნაგებობის სახით. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე უძრავი ქონების ლიტ „ვ“ ნაწილი მდებარე: ქ. თბილისი, ... საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ვ. კ-ის სახელზე.

6.1.4. ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით №..., ფართი 606 კვ.მ., თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ დ. მ-ძეს და ვ. კ-ს. 2009 წლის 11 სექტემბერს მათ შორის შედგა უძრავი ქონების გამიჯვნის ხელშეკრულება. გამიჯვნის შედეგად მისი ერთი ნაწილი – 466 კვ.მ., საკადასტრო კოდით №..., აღირიცხა ვ. კ-ის სახელზე, მეორე ნაწილი – 111 კვ.მ., საკადასტრო კოდით №... – დ. მ-ძის სახელ-

ზე, ხოლო 29 კვ.მ., საკადასტრო კოდით №..., დარჩა დ. მ-ძისა და ვ. კ-ის თანასაკუთრებაში.

6.1.5. 2011 წლის 9 ივნისს, ვ. კ-ს, როგორც „გამყიდველს“, და მოპასუხე ნ. კ-ს, როგორც „მყიდველს“ შორის, დაიდო უძრავი ნივთის – მის.: ქ. თბილისი, ..., 29 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №..., ნასყიდობის ხელშეკრულება.

6.1.6. 2011 წლის 9 ივნისს, ვ. კ-ს, როგორც „გამყიდველს“, და მოპასუხეს, როგორც „მყიდველს“ შორის, ასევე, დაიდო უძრავი ნივთის – მის.: ქ. თბილისი, ..., 466 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №..., ნასყიდობის ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ნ. კ-ის სახელზე.

6.1.7. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით, მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისამართი: ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდით №..., შეიცვალა შემდეგნაირად: ქ. თბილისი, ..., ხოლო 2019 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე – ქ. თბილისი, ...

6.2. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა 2011 წლის 9 ივნისს, ვ. კ-სა და მოპასუხეს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი №...) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა $\frac{1}{2}$ ნაწილში და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1959 წლიდან. მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში, 1965 წელს, ფორმადაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინეს სადავო ქონება. ვ. კ-ის საკუთრების უფლება დადგენილი იქნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებით. მართალია, ქონება მის სახელზე დარეგისტრირდა, მაგრამ როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილი, წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. 2009 წლის 11 სექტემბერს, ვ. კ-სა და დ. მ-ძეს შორის შედგა უძრავი ქონების გამიჯვნის აქტი, რომლის საფუძველზეც ვ. კ-ის სახელზე აღირიცხა ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონებიდან – 466 კვ.მ., საკადასტრო კოდით №..., ხოლო უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., 29 კვ.მ., დარჩა დ. მ-ძისა და ვ. კ-ის თანასაკუთრებაში. ამდენად, სადავო მისამართზე ვ. კ-ის სახელზე რეგისტრირებული იყო ორი ქონება, რომელიც წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას. აღნიშნული ორი ნივთი, ცალ-ცალკე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა მოპასუხეს. ხელშეკრულების გაფორმებისას ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ ქონება წარმოადგენდა მე-

ულლეთა თანასაკუთრებას და მოსარჩელეს ქონების გასხვისებაზე თანხმობა არ გამოუთქვამს. შესაბამისად, იგი კეთილსინდისიერ მყიდველად ვერ ჩაითვლება. მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ასევე არის თვალთმაქცური, ვინაიდან მოპასუხეს რეალურად ნასყიდობის თანხა არ გადაუხდია, მესაკუთრემ ქონება გადასცა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

6.3. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობდა.

6.4. სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრება შედავებული არ იყო, შესაბამისად, უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე მოსარჩელის საკუთრების უფლება დადასტურებული იყო.

6.5. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილზე (იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას) და განმარტა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა თანხმობასავალდებულო გარიგება იყო, რადგან მეორე მეუღლის თანხმობა გარიგების ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე სადავო ქონების თანამესაკუთრე იყო, მის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებაზე საქმეში წარმოდგენილი არ იყო, შესაბამისად, მოპასუხე იყო ვალდებული დაედასტურებინა ფაქტი მასზედ, რომ მოსარჩელე ეთანხმებოდა გარიგებას.

6.6. პალატის განმარტებით, მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებითა (თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერ-

თი, ისე მეორე მხარის წინაშე. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა) და ამავე კოდექსის 102-ე მუხლით (საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს) გათვალისწინებული წინაპირობების დადასტურების მიზნით, უთითებდა შემდეგს: გათხოვების შემდეგ, მოპასუხე მშობლების სურვილით დარჩა მათ სახლში და უვლიდა როგორც მშობლებს, ასევე თავის ინვალიდ დას. თავიდანვე მშობლების სურვილი იყო, რომ სადავო ქონება დარჩენოდა მოპასუხეს და ვ. კ-მა მოსარჩელესთან შეთანხმებით გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულებები. მისმა მეუღლემ გადაიხადა ნასყიდობის საფასური 38 000 ლარი და 2 000 ლარი. მოსარჩელეს 2011 წლიდან სადავოდ არ გაუხდია ნასყიდობის ხელშეკრულებები, რაც ნიშნავდა, რომ მის მიერ მოწონებული იყო ეს გარიგებები. ის გარემოება, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ქონების გასხვისების თაობაზე, იმითაც დასტურდებოდა, რომ მხარეები წლების განმავლობაში ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ეწეოდნენ საოჯახო საქმიანობას, მოპასუხის სახელზე მოდიოდა გადასახადის ქვითრები, იგი იყო აღრიცხული აბონენტად და მხარეებს შორის არასდროს არაფერი ყოფილა დამალული. უფრო მეტიც, მოსარჩელე თავად იბარებდა მოპასუხის სახელზე მოსულ დოკუმენტებს. მეორე სახლში, სადაც ამჟამად ცხოვრობს მოპასუხის ერთ-ერთი და – დ. კ-ი, დამონტაჟებული იყო შიდა განაწილების ელ. მრიცხველი, რომელიც აფიქსირებდა ამ უკანასკნელის მიერ დახარჯულ ელექტრო ენერგიას, საიდანაც აითვლებოდა გადასახადი თანხის ოდენობა, საერთო გადასახადიდან. გადასახადის განაწილებას მოპასუხესა და დ. კ-ს შორის ახდენდა თავად მოსარჩელე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, რომ მოსარჩელეს არ სცოდნოდა მესაკუთრის მონაცემები. ასევე, სოციალურად დაუცველ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვისას, სოციალური აგენტის მიერ განხილული იქნა საცხოვრებელი სახლის საკუთრების საკითხი. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო სადავო ქონების მესაკუთრე იყო მოპასუხე.

6.7. მოპასუხის განმარტებასთან მიმართებით, პალატამ აღნიშნა, რომ მშობლების სახლში ერთ ოჯახად ცხოვრება, კომუნალური გადასახადის აბონენტად რეგისტრაცია და სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის უფროსად რეგისტრაცია არ წარმოადგენდა იმის უტყუარად დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ მოსარჩელემ 2011 წელს ვ. კ-ის მიერ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმებისას თანხმობა გამოთქვა თავისი წილის გასხვისებაზე. საქმეზე დაკითხული მოწმეები, რომლებიც განმარტავდნენ, რომ ესწრებოდნენ აღნიშნული გარიგების გაფორმების აღსანიშნავად

ვ. კ-ის ოჯახში გაშლილ საზეიმო სუფრას, უთითებდნენ, რომ მოსარჩელეც იმყოფებოდა სახლში და ემსახურებოდა სტუმრებს, თუმცა ვერცერთი მონმე პირდაპირ ვერ ადასტურებდა მოსარჩელის თანხმობის არსებობას მისი წილის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

6.8. პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მეორე ნაწილი იცავდა კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებს იმ მეუღლის პრეტენზიისგან, რომელიც საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული არ იყო, თუმცა მას ეს უფლება ჰქონდა რეგისტრირებული ქორწინების პირობებში ქონების შეძენის საფუძველით, კერძოდ: მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნებოდა ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

6.9. სააპელაციო პალატამ მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვით, ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის უფლება აბსოლუტური არ იყო და ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირებული პირის მიერ მეუღლეთა თანასაკუთრების (მათ შორის მეორე მეუღლის წილის) გასხვისებისას, მეორე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების რეალიზაცია განსაზღვრულ გარემოებაზე, კერძოდ, შეძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადგენაზე იყო დამოკიდებული. სსკ-ის 1160-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების დანაწესთა (3. თუ მესაკუთრე ახდენს უძრავი ქონების გასხვისებას ან უფლებრივად დატვირთვას, დაუშვებელია გარიგების დადებისას (უფლების რეგისტრაციისას) თანამესაკუთრის თანხმობის მოთხოვნა, თუ იგი ასეთად არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. 4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვილებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვილებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრე(ც) საფუძველზე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის დროს სადავო ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის შედავება, ქონების გასხვისების გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაპირობებდა, თუ დადგინდება, შემძენმა არა მხოლოდ იცოდა ნასყიდობის საგანზე სხვა მესაკუთრის არსებობის თაობაზე, არამედ, ამავდროულად, ინფორმირებული იყო, რომ ქონების მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლე ქონების გასხვისების წინააღმდეგი იყო. სხვა შემთხვევაში პრეზუმირებული იყო, რომ რეგისტრირებული მესაკუთრე მოქმედებდა მე-

ულესთან ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შემდეგი შედეგის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი იყო.

6.10. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო, რომ სადავო ქონება შეძენილი იყო მისი მშობლების ქორწინების პერიოდში. ასეც რომ არ ყოფილიყო, როდესაც გარიგება ნათესავებს ან სხვა ოჯახის წევრებს შორის იდებოდა, ისედაც ივარაუდებოდა, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილი იყო ქონების ნაკულის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ის გარემოება კი, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო სადავო ქონებაზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლების არსებობის შესახებ, გამორიცხავდა შემდეგის კეთილსინდისიერებას.

6.11. პალატის დასკვნით, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოსარჩელის თანხმობის არსებობა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე, ასევე არ გამოიკვეთა შემდეგის კეთილსინდისიერების ფაქტი, სადავო გარიგება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი $\frac{1}{2}$ ნაწილში და ამ ნაწილში უძრავ ქონებაზე უნდა აღდგენილიყო მოსარჩელის საკუთრების უფლება.

6.12. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება სარჩელის ხანდაზმულობაზე და გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა მასზედ, რომ მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე არ ყოფილა, მესამე პირი იყო, რომელიც ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა და შესაბამისად, მის მიმართ უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა, რაც სარჩელის შეტანის მომენტში გასული არ იყო.

6.13. აპელანტი ასევე ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებას მოწმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საოქმო განჩინება კანონიერი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ-ერთი სახეს წარმოადგენდა და სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით დააკმაყოფილა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, რის გამოც, არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, ნ. კ-ის საკასაციო საჩივა-

რი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

9. საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1. კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება/განმარტების, ისე მტკიცებულებათა საპროცესო წესების დარღვევით შეფასების კუთხით, შემოიფარგლება კონკრეტული ნორმების ციტირებით, სასამართლო პრაქტიკასთან შეჯერებული განმარტების გარეშე; არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ნ. კ-ის პოზიციას. კერძოდ, კასატორის მითითებით, სარჩელის წარმატებულობისათვის, თ. მ-ძეს, სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული წესით უნდა დაემტკიცებინა, რომ ან. გარდაცვლილმა ვ. კ-მა, თანასაკუთრებაში არსებული ქონება მასთან შეთანხმების გარეშე გაასხვისა, რამაც საკუთრების უფლების დაკარგვა განაპირობა, თუმცა, თ. მ-ძემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ააგო მხოლოდ იმ დაუსაბუთებელ ზეპირ მტკიცებაზე, რომ მან არაფერი იცოდა 09.06.2011 წელს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით, დაუსაბუთებლად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. კასატორის მითითებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებები მეტყველებს მოდავე მხარის თანხმობის არსებობაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ ნასყიდობის გარიგების ინიციატორები იყვნენ თ. მ-ძე და ვ. კ-ი, მათ ერთობლივად გამოხატეს ნება გარიგების დასარეგისტრირებლად და გადაწყვეტილება მიიღეს ურთიერთშეთანხმებით. ვ. კ-ს უკვე მიღებული ჰქონდა ნასყიდობის საფასური და სურდა გარიგების იურიდიულად გაფორმება. თ. მ-ძემ ნამდვილად იცოდა ამ გარიგების თაობაზე, იყო თანახმა და იწონებდა მას, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით: მხარეები ცხოვრობენ ერთ სახლში, ეწეოდნენ ერთ საოჯახო საქმიანობას; ნ. კ-ის სახელზე მოდიოდა კომუნალური გადასახადების ქვითრები, იგი იყო აღრიცხული აბონენტად; მხარეებს შორის არასოდეს არაფერი არ იყო დაფარული, არ ჰქონდათ კონფლიქტური ურთიერთობა; დოკუმენტებს თავად იბარებდა და იცოდა მესაკუთრის ვინაობა, რაც ადასტურებს, რომ მესაკუთრის მონაცემები ცნობილი იყო მოსარჩელისათვის 2011 წლიდან არამარტო საჯარო რეესტრის ბაზის საფუძველზე ან ვ. კ-ისაგან, არამედ კომუნალური გადასახადებიდანაც; ასევე, სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოსარჩელის ყოველწლიური აღრიცხვის დროსაც, საკუთრების კუთვნილების საკითხი ყოველთვის იყო განხილვის თემა სოც. მუშაკების მიერ ოჯახის მდგომარეობის შეფასების დროს. მოსარჩელეს, 2011 წლიდან სადაოდ არ გაუხდია ვ. და ნ. კ-ებს შორის

დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ამასთან, უდავოა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ინფორმაცია არის საჯარო და მოსარჩელეს ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა მოეპოვებინა ეს ინფორმაცია, მითუმეტეს, რომ უძრავი ქონების დამისამართება 2011 წლიდან არაეთხელ გახდა შესაბამისი ორგანოების განხილვის საგანი. ამასთან, საჯარო რეესტრში მოიპოვება მოსარჩელის შვილის – დ. კ-ის მხრიდან ინფორმაციის გამოთხოვის ფაქტები.

9.2. კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი წერილობითი თანხმობის სავალდებულო არსებობისა და კეთილსინდისიერი შემძენის ნაწილში. კერძოდ, კასატორის მითითებით, მხარეს საერთოდ არ გამოუთქვამს პრეტენზია გარიგებასთან მიმართებით, მან ვერ დაამტკიცა, რომ წინააღმდეგი იყო ამ გარიგების დადებაზე, რაც არის აუცილებელი წინაპირობა გარიგების ბათილად ცნობისათვის, მითუმეტეს, რომ კანონი არ ავალდებულებს მყიდველს წერილობითი თანხმობის არსებობას, წარდგენას ან შენახვას და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის გათვალისწინებით, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 185-ე, 312-ე, 1160-ე მუხლების დანაწესი. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, იმგვარი განმარტება, რომ თ. მ-მ წინააღმდეგი იყო გარიგების დადების და ამაზე ინფორმირებული იყო მყიდველი, არც ერთ სასამართლო განხილვაზე თ. მ-მ არ გაუკეთებია. არც სარჩელში, არც სააპელაციო საჩივარში მოიპოვება ასეთი ფორმულირება და მტკიცებულებები, არც მტკიცებულებებით დასტურდება მისი პრეტენზიის არსებობა, მითუმეტეს, რომ მან 2011 წლიდან იცოდა ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ვ. კ-ის სიცოცხლეშივე, ანუ 2020 წლამდე. 2011 წლიდან სადაოდ არ გაუხდია ვ. კ-სა და ნ. კ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, არ ეწინააღმდეგებოდა ამ გარიგებას და არ უთქვამს უარი, რაც ნიშნავს, რომ 9 წლის განმავლობაში ეს გარიგება იყო მის მიერ მოწონებული. ამ გარიგების საწინააღმდეგოდ თ. მ-მ არ შეუტანია საჩივარი საჯარო რეესტრში ან სხვა შესაბამის ორგანოებში 1/2 წილზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. თუ კი, თ. მ-მ არ ეთახმება 09.06.2011 წელს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას ს/კ ..., 466 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რაზეც მოპასუხემ გადაიხადა 38 000 ლარი, მაშინ კასატორისათვის გაუგებარია, თუ რატომ არ ხდის სადავოდ და არ ითხოვს ხელშეკრულების ბათილად ცნობას იმ დღესვე ვ. კ-ს და ნ. კ-ს შორის დადებულ მეორე ხელშეკრულებას ს/კ ..., 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეიძინა მოპასუხემ 2000 ლარის გადახდის

სანაცვლოდ, ანუ გამოდის, რომ ეს ხელშეკრულება მასთვის იყო ცნობილი და იწონებდა მას.

9.3. ამასთან, კასატორი მიიჩნევს, რომ ნ. კ-ი, კეთილსინდისიერი შემძენია.

9.4. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო პალატის მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ თ. მ-ძეს მოთხოვნა არის ხანდაზმული. კასატორის მითითებით, თუ კი თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აფუძნებდა დელიქტური სამართლის ნორმებზე, მაშინ კანონმდებელმა განსაზღვრა მოთხოვნის 3-წლიანი ვადა. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა კი, მოცემულ შემთხვევაში, 2011 წლიდან უნდა აითვალოს, ვინაიდან არ არსებობს სსკ-ის 138-ე მუხლის წინაპირობა (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება).

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის განჩინებით, ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თ. მ-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარ-

ღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უზინარეს საფუძველს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ უპირველესყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს, ხოლო, ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით) (იხ. სუსგ №ას-53-49-2017, 07 აპრილი 2017 წელი).

14. წინამდებარე დავის საგანს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მისი $\frac{1}{2}$ ნაწილის (როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების საგნის) მოსარჩელისათვის მიკუთვნება წარმოადგენს. სარჩელის საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებს იმ ფაქტებზე, რომ მხარეებმა თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს უძრავი ნივთი, რომელიც რეგისტრირებული იყო ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებად, ხოლო ამ უკანასკნელმა (რეგისტრირებულმა მე-საკუთრემ) ერთპიროვნულად, მისი თანხმობის გარეშე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განკარგა იგი საკუთარ შვილზე; ამასთანავე, მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ შემძენისათვის ცნობილი იყო მხარეთა თანასაკუთრების ფაქტის შესახებ და იგი არ წარმოადგენს გარიგების მიმართ კეთილსინდისიერ მხარეს; იმავდროულად, მოსარჩელე მიუთითებს სადავო გარიგების როგორც მოჩვენებითობაზე, ისე თვალთმაქცურობაზე და განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მამა-შვილს შორის დაიფარა ჩუქება და მოპასუხის ნასყიდობის საფასური არ გადაუხდია. თავის მხრივ, მოპასუხის შესაგებელი ემყარება შემძენის კეთილსინდისიერებასა და სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზ-

მულობას. კერძოდ, მოპასუხე ამტკიცებს, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო გარიგების შესახებ და იგი ეთანხმებოდა ამ გარიგებას; ამასთან, გარიგება ასახავდა კონტრაქტითა ნამდვილ ნებას, ხოლო, ნასყიდობის საფასური მოპასუხემ სრულად გადაიხადა. იმავდროულად, მოპასუხე მიიჩნევს რომ სარჩელი ხანდაზმულია.

15. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს იმ ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობა, რომელიც მოსარჩელის განმარტებითვე, მისი და მისი მეუღლის თანასაკუთრება იყო და რომელიც ამ უკანასკნელმა, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირზე – საკუთარ შვილზე გაასხვისა. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა შესაბამისი სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი საფუძველი. კერძოდ, მესამე პირზე გასხვისებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნება, სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს.

16. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც მოსარჩელე მისი საკუთრების უფლების ხელყოფაზე აპელირებდა, სარჩელის წარმატებულობისათვის მოსარჩელეს ევალდებოდა, სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ემტკიცებინა, რომ ა) სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება იყო; ბ) რეგისტრირებულმა მესაკუთრე მეუღლემ თანასაკუთრებაში არსებული ქონება მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე გაასხვისა, რამაც მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა განაპირობა; გ) სადავო გარიგებები დაიდო მოსაჩვენებლად, ანუ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს დაეკარგა თანასაკუთრების უფლება (სუსგ №ას-876-834-2013, 25 თებერვალი, 2016 წელი).

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ასეთ ქონებაზე

მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

18. საოჯახო კანონმდებლობით, მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე (თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა) ქონება, რომელიც თითოეული მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით) და 1162-ე (ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით) მუხლებით. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანისა, თუ ორივე მეუღლის მიერ.

19. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა ქორწინების განმავლობაში. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დანესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამენარმო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

20. ამდენად, მეუღლეთა საერთო საკუთრების დასადასტურებლად,

მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: ა) მეუღლე-ბი რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; ბ) უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება.

21. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. მ-ძე და ვ. კ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1959 წლის 5 მაისიდან. სადავო არ არის, რომ საჯარო რეესტრში, სადავო უძრავი ქონების ვ. კ-ის სახელზე, საკუთრების უფლებით აღრიცხვის საფუძველი გახდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და ვ. კ-ი ცნობილ იქნა ქ. თბილისში ... (...) -ში მდებარე ლიტ „ვ“ შენობის მფლობელად. გადაწყვეტილება დაეფუძნა სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ვ. კ-მა გარკვეული საფასური გადაიხდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთში. რამდენადაც სადავო ქონება მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის დროს არის შეძენილი და იგი არ განეკუთვნება მეუღლეთა ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ ქონებათა (სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლები) კატეგორიას, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მიერ დადგენილი კანონისმიერი პრეზუმფციის თანახმად, იგი მართებულად იქნა მიჩნეული მეუღლეთა თანაზიარ ქონებად და შესაბამისად, მოსარჩელეს აქვს სადავო ქონების 1/2 ნაწილზე კანონისმიერი საკუთრების უფლება. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების მიმართ, კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია (სსსკ-ის 407.2 მუხლი) და მეუღლეთა თანასაკუთრება სადავო არ არის. სადავოა ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის მიერ ქონების განკარგვის უფლებამოსილება.

22. სადავო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160.1 მუხლის მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მხოლოდ მეუღლეთა შეთანხმებითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ამდენად, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა თანხმობასავალდებულო გარიგებაა, რადგან მეორე მეუღლის თანხმობა გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა.

23. მოპასუხემ სარჩელის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და მიუთითა, რომ სადავო ქონება გასხვისდა მოსარჩელის ნებითა და ურთიერთშეთანხმებით, გარდა ამისა, მან შემდგომი მოქმედებებითაც მოიწონა გარიგებები (მოპასუხის საკასაციო საჩივარიც სწორედ ამ გარემოებას ეფუძნება). აქედან გამომდინარე, მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ წარმოშობილა, რამდენადაც ამ უკანასკნელის თანხმობამ, მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის ქმედება – მეუღლეთა საერთო საკუთრების განკარგვა მართლზომიერი, კანონშესაბამისი გახდა.

24. პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის (საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს) მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული საგნის განკარგვა ნამდვილია, თუკი ეს განკარგვა უფლებამოსილი პირის ნებართვით ხდება, ანდა – ეს უკანასკნელი მოიწონებს მას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე უარყოფს როგორც თანხმობის გაცემის, ისე სადავო გარიგებების შემდგომში მოწონების ფაქტს, შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს აწევს.

25. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები (აბონენტის ბრუნვის ისტორია; შემოსავლის ორდერები, ქვითრები; 2020 წლის 24 ივლისის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 5 ოქტომბრის წერილი), მხარეთა ახსნა-განმარტებები და მოწმეთა (დ. კ-ის, ზ. გ-ძის, რ. ბ-ძის, გ. ლ-ძისა და ნ. გ-ის) ჩვენებები, ერთობლიობაში ქმნის საკმარის საფუძველს იმგვარი დასკვნისათვის, რომ მოსარჩელე თ. მ-ძისათვის ცნობილი იყო მისი მეუღლის მიერ, მოპასუხე ნ. კ-თან სადავო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შესახებ და სადავო გარიგება მოსარჩელის თანხმობით დაიდო. კერძოდ:

– ორივე მხარე ადასტურებს, რომ მეუღლეებს თ. მ-ძეს და ვ. კ-ს ჰქონდათ მშვიდი და უკონფლიქტო ურთიერთობა. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ მათ ნ. კ-სა და მის მეუღლესთან, რომლებიც სწორედ მათი სურვილითა და თანხმობით ცხოვრობდნენ ამავე სახლში, ერთ ოჯახად, ზრუნავდნენ მათზე და შშმ სტატუსის მქონე ნ. კ-ძე. არც მეუღლეებს შორის და არც რომელიმე მათგანსა და მოპასუხეს შორის რაიმე არასასიამოვნო ინციდენტზე არცერთი მხარე არ მიუთითებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას მასზე, რომ არ იკვეთება მოტივი, რის გამოც ვ. კ-ს მეუღლისაგან ფარულად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უნდა განეკარგა სადავო ქონება;

– მესაკუთრედ აღრიცხვის შემდეგ, მალევე, ნ. კ-ი დარეგისტრირდა კომუნალური გადასახადების გადამხდელად და 2011 წლიდან ქვითრები მოდიოდა მის სახელზე;

– სადავო არ გამხდარა მოპასუხის განმარტება, რომ მეორე სახლში, სადაც ამჟამად ცხოვრობს დ. კ-ი, დამონტაჟებულია შიდა განაწილების ელ. მრიცხველი, რომელიც აფიქსირებს ამ უკანასკნელის მიერ დახარჯული ელ. ენერგიას, საიდანაც აითვლებოდა გადასახდელი თანხის ოდე-

ნობა საერთო გადასახადიდან და ამ საკითხს თავად მოსარჩელე აწეს-რიგებდა ნ. და დ. კ-ებს შორის;

– გარდა ამისა, აღნიშნული პირები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ბაზის განახლება ხდება პერიოდულად სოციალური აგენტის მიერ ოჯახის შემომწმების განხორციელებით, რა დროსაც მოწმდება ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურეს მოწმეებმა – ზ. გ-ძემ, რ. ბ-ძემ, გ. ლ-ძემ და ნ. გ-მა;

– მოპასუხის შუამდგომლობით დაკითხული ყველა მოწმე მიუთითებს, რომ სადავო ქონების ნ. კ-ისათვის გადაფორმება საზეიმოდ აღინიშნა ოჯახში;

– დამატებით, მოწმე ნ. გ-მა სასამართლოს ასევე განუმარტა უძრავი ქონების მოპასუხის სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული დეტალები;

– სადავოს არ წარმოადგენს, რომ თ. მ-ძეს არასოდეს, არც ფიზიკურ პირებთან და არც რომელიმე დანესებულებაში არ განუცხადებია პრეტენზია მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების თაობაზე.

26. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხულ პირთა ჩვენებებით დადასტურებული ზემოაღნიშნული გარემოებები, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა, ვინაიდან მათი ერთობლივად შეფასებით ცხადად ირკვევა, რომ სადავო გარიგების შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო და ეთანხმებოდა ქონების განკარგვას, რაც საფუძვლიანს ხდის მოპასუხის/კასატორის მითითებას მეუღლეთა საერთო საკუთრების მართლზომიერი, კანონშესაბამისი განკარგვის თაობაზე და გამორიცხავს გარიგების მიმართ შემძენის არაკეთილსინდისიერებას. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას მასზედ, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მოსარჩელის წერილობითი თანხმობა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას და მიუთითებს, რომ განმკარგავს ნებართვას ანიჭებს უფლებამოსილი პირი. ნებართვა არის უფლებამოსილი პირის მიერ გამოთქმული წინასწარი თანხმობა თანხმობასავალდებულო გარიგებასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში, ნებართვას საფუძვლად უდევს მეუღლეთა საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობა. თანხმობა, სსკ-ის 99.2 (თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა) მუხ-

ლის შესაბამისად, არ საჭიროებს თანხმობასავალდებულო გარიგების ფორმას. შესაბამისად, არც უძრავი ნივთის გასხვისებასთან დაკავშირებული თანხმობის ნამდვილობისათვის არაა საჭირო სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმა. იგივე უნდა ითქვას უფლებამოსილი პირის შემდგომ თანხმობაზეც (მონონებაზე) (იხ. სუსგ საქმეზე №ას-506-480-2015, 29.07.2016 წ.), შესაბამისად, გასაზიარებელია კასატორის შედაგება მასზედ, რომ მითითებული არგუმენტაციით, ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

27. რაც შეეხება კასატორის შედაგებას ხანდაზმულობის თაობაზე, პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა), მოთხოვნის წარმოშობისა და მისი გამომრიცხველი გარემოებების შემონმების შემდეგ უნდა იქნეს განხილული. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის კანონით დადგენილი სამართლებრივი წანამძღვრები არ არსებობს, პალატა მისი განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებს, მოთხოვნის შემაფერხებელი ნორმების საფუძველზე, აღარ შეამონმებს.

28. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე; კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

29. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეც-

ვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

31. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაწევტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 53.1 მუხლის ბოლო წინადადება).

32. საკასაციო პალატა ითვალისწინებს წარმომადგენლის მიერ განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებებს პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 1 140 (760+380) ლარის გადახდა (პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისთვის დავის საგნის ღირებულების 4%, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოებისთვის დავის საგნის ღირებულების 2%).

33. საკასაციო სასამართლო აქვე მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაწევტილებით დადგენილ სტანდარტს, რომლის თანახმად, სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად დასაჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაწევტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №71503/01, 8/04/2004). სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება (იხ. ასევე სუსგ საქმეზე №ას-923-889-2016, 03.02.2017წ.; №ას-1330-1250-2017, 12.11.2018წ.).

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწ-

ყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, უნდა გაუქმდეს მისი უზრუნველყოფის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ნ. კ-ის (პირადი №...) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ უძრავ ნივთს – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26ბ, ს/კ ..., 1/2 ნაწილში უნდა მოეხსნას ყადაღა.

35. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. თ. მ-ძის სარჩელი ნ. კ-ის მიმართ უძრავი ქონებაზე – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26ბ, ს/კ ..., 2011 წლის 9 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და მისი 1/2 წილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
4. თ. მ-ძეს (...) ნ. კ-ის (...) სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 1140 (760+380) ლარის გადახდა.
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ნ. კ-ის (პირადი №...) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ნივთზე – მის.: ქ. თბილისი, ა. ა-ის ქ. №26ბ, ს/კ ..., 1/2 წილს მოეხსნას ყადაღა.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქორწინების განმავლობაში შექმნილი ინდივიდუალური
სარგებლოების ნივთები**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1465-2022

10 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. ძაბუნაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქორიაშვილი,
თ. ძიმისტარაშვილი**

დავის საგანი: თანხისა და ალიმენტის დაკისრება, ნივთების გაყოფა და უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ბ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს რ. დ-ის მიმართ და თანხის, ალიმენტის დაკისრება, ნივთების გაყოფა და უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. ნ. ბ-მ და რ. დ-მ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2014 წლის 18 სექტემბრიდან. ერთად ცხოვრების განმავლობაში შეეძენათ ერთი შვილი: 2015 წლის 14 ივლისს დაბადებული რ. დ-მ. ... რ. დ-ის მშობლების სახლში. ასევე, დადგენილია, რომ 2015 წლის ივლისიდან, ფაქტიურად ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე დღეში ცოლქმარს შორის დაიძაბა ურთიერთობა, რის გამოც ნ. ბ-მ შვილთან ერთად წამოვიდა რ. დ-ის ოჯახიდან და საცხოვრებლად გადავიდა მის მშობლებთან, სადაც დღემდე ცხოვრობს.

ნ. ბ-მ ნიშნობასა და ქორწილის დროს აჩუქეს ოქროს ნივთები როგორც მისმა ნათესავებმა, ასევე მოპასუხის ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა. გარდა აღნიშნულისა ნ. ბ-მ გააჩნდა მისი კუთვნილი ოქროს ნივთებიც. ძვირფასეულობა ქორწინების პერიოდში ინახებოდა მოპასუხე რ. დ-ის ოჯახში, სადაც ცხოვრობდნენ როგორც ნ. ბ-მ და რ. დ-მ, ასევე რ. დ-ის მშობლები. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2015 წლის 28 ივლისს, როცა ნ. ბ-მ მცირეწლოვან შვილთან ერთად წამოვიდა ოჯახიდან, არ წამოუღია ძვირფასი ნივთები. რ. დ-მ მუშაობს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენს 1610 ლარს. მოპასუხე თავს არიდებს ალიმენტის გადახდას და არავითარ მატერიალურ

ლურ დახმარებას არ უწევს შვილს.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი ცნო ნაწილობრივ, კერძოდ, ალიმენტის დაკისრების ნაწილში და განმარტა, რომ თანახმაა გადაიხადოს ალიმენტი 200 ლარის ოდენობით, რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნებს, მოპასუხე სარჩელს არ ცნობს და მოითხოვს უარი ეთქვას მოსარჩელეს დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 29.11.2021წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: 1. რ. დ-ძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის, რ. დ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის დღიდან, 2019 წლის 29 ოქტომბრიდან რ. დ-ძის სრულწლოვანებამდე. 2. ნ. ხ-ძეს უარი ეთქვა გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრებაზე და დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე. 3. მოპასუხე რ. დ-ძეს დაევალა, მოსარჩელე ნ. ხ-ძეს დაუბრუნოს ნაჩუქარი ძვირფასეულობა, კერძოდ: 1) ოქროს საყურეები ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 8850 ლარი; 2) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 2835 ლარი; 3) ოქროს მსხვილი ჯაჭვი ან მისი ღირებულება 11 800 ლარი; 4) ბაქ-ლავის ფორმის დიდი ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 7375 ლარი; 5) რგოლის მაგვარი ბეჭედი ბაჯალლო „ჩაღმა“ ან მისი ღირებულება 2065 ლარი; 6) ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 2950 ლარი; 7) ოქროს ბრასლეტი ან მისი ღირებულება 2065 ლარი; 8) დიდი ოქროს ბრასლეტი ან მისი ღირებულება 5900 ლარი; 9) ოქროს დიდი ბეჭედი ვარდის ფორმის ან მისი ღირებულება 1770 ლარი; 10) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 2065 ლარი; 11) ოქროს დიდი ბეჭედი დეკორატიული ან მისი ღირებულება 885 ლარი; 12) ოქროს ბეჭედი მცირე ზომის ბრილიანტის თვლებით „შანელის“ ლოგოს ფორმის ან მისი ღირებულება 885 ლარი; 13) ოქროს ბეჭედი ან მისი ღირებულება 590 ლარი; 14) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 590 ლარი; 15) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლით ან მისი ღირებულება 850 ლარი; 16) ოქროს ბეჭედი ან მისი ღირებულება 590 ლარი; 17) ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 2950 ლარი; 18) ოქროს კულონი ღვთისმშობლის გამოსახულებით ან მისი ღირებულება 1770 ლარი; 19) ქორწინებამდე შეძენილი მოსარჩელის კუთვნილი ოქროს ცეპი ჯვრით, ან მისი ღირებულება 737 ლარი; 20) ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 150 ლარი; 21) ოქროს საყურეები ფოთლის ფორმის ან მისი ღირებულება 442 ლარი. საერთო ჯამში 58149 ლარის ღირებულების ნივთები. 4. მოპასუხე რ. დ-ძეს დაევალა, მოსარჩელე ნ. ხ-ძეს დაუბრუნოს

მარგალიტის ყელსაბამი, ღირებულებით 1800 ლარი. 5. რ. დ-ძე ასევე, დაევალა ნ. ხ-ძეს დაუბრუნოს 2015 წელს დედის მიერ ნაჩუქარი ავეჯის კომპლექტი საწოლი, დიდი კარადა და 2 ტუმბო ან მისი ღირებულება 3000 ლარი, ლატუნის ჭალი ან მისი ღირებულება 600 ლარი. ნოუთბუქი ან მისი ღირებულება 1500 ლარი, სერვიზი ან მისი ღირებულება 300 ლარი, ბავშვის საწოლი ან მისი ღირებულება 300 ლარი, ბავშვის მანეჟი, ღირებულება 100 ლარი და ბავშვის ეტლი, მისი ღირებულება 100 ლარი. ასევე, ნ. დ-ის კუთვნილი ტანსაცმელები და ფეხსაცმელები, წიგნები და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. 6. ნ. ხ-ძეს უარი ეთქვა კონდიციონერის მიკუთვნებაზე, ასევე, უარი ეთქვა რ. დ-ძეზე 800 ლარის დაკისრების ნაწილში.

5. გადანაცვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადანაცვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოტივით. სააპელაციო წესით გადანაცვეტილება ასევე გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადანაცვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 14.07.2022წ. განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ნოემბრის გადანაცვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე რ. დ-ძეს დაეკისრა მოსარჩელე ნ. ხ-ძის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 21 16 ლარის ანაზღაურება (მე-2 პ.) და რომლითაც დაევალა მოპასუხე რ. დ-ძეს, მოსარჩელე ნ. ხ-ძეს დაუბრუნოს ნაჩუქარი ძვირფასეულობა, კერძოდ: 1. (6) ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 2950 ლარი; 2. (7) ოქროს ბრასლეტი ან მისი ღირებულება 2065 ლარი; 3. (9) ოქროს დიდი ბეჭედი ვარდის ფორმის ან მისი ღირებულება 1770 ლარი; 4. (10) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 2065 ლარი; 5. (11) ოქროს დიდი ბეჭედი დეკორატიული ან მისი ღირებულება 885 ლარი; 6. (12) ოქროს ბეჭედი მცირე ზომის ბრილიანტის თვლებით „შანელის“ ლოგოს ფორმის ან მისი ღირებულება 885 ლარი; 7. (13) ოქროს ბეჭედი ან მისი ღირებულება 590 ლარი; 8. (14) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლებით ან მისი ღირებულება 590 ლარი; 9. (15) ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვლით ან მისი ღირებულება 850 ლარი; 10. (16) ოქროს ბეჭედი ან მისი ღირებულება 590 ლარი; 11. (17) ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 2950 ლარი; 12. (18) ოქროს კულონი ღვთისმშობლის გამოსახულებით ან მისი ღირებულება 1770 ლარი; 13. (19) ქორწინებამდე შეძენილი მოსარჩელის კუთვნილი ოქროს ცეპი ჯვრით, ან მისი ღირებულება 737 ლარი; 14. (20)

ოქროს ცეპი ან მისი ღირებულება 150 ლარი; 15. (21) ოქროს საყურეები ფოთლის ფორმის ან მისი ღირებულება 442 ლარი. საერთო ჯამში 19289 ლარის ღირებულების 15 ნივთი. დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი;

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება (ნივთების დაბრუნების ნაწილში) შემდეგი საფუძვლებით:

7.1. კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხესთან, გარდა ექვსი ძვირფასი ნივთისა არ დარჩენილა სხვა ნივთები. მისი განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით და წარდგენილი ფოტოსურათებით, დადგენილია, რომ ყველა ის ძვირფასი ნივთი, რაც სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილია, ეკუთვნის მას.

საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსსკ-ს 391-ე მუხლის მიხედვით, წარმოებაშია მიღებული დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 24 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი, ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე« ქვეპუნქტის: „საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე“ საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდ-

გენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

12. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ (სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლები) და საერთო თანაზიარ საკუთრებად (სსკ-ის 1158-ე მუხლი). ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. თანაზიარ ქონებად (მეუღლეთა საერთო ქონებად) ჩაითვლება მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ, როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძღოლითა და ერთობლივი შრომით (შდრ. სუსგ №ას-7-7-2016, 16.03.2016წ; №ას-708-708-2018, 26.07.2019წ.).

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავი-

ანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას, სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობით დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლივად, რომლის ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა (სუსგ №ას-584-543-2017, 06.06.2017წ; №ას-484-2019, 30.10.2020წ.).

14. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მფლობელობა დასტურდება, მისი ძმის რ. დ-ძის მეუღლის მ. მ-ძის სოციალური ქსელის გვერდიდან ამოღებულ ფოტოებზე ასახულ ნივთებზე, მათი იდენტიფიკაციისა და იგივეობის გამო. შესაბამისად, ნ. ხ-ძემ ძვირფასეულობის დაბრუნების ნაწილში მტკიცების ტვირთი დაძლია მხოლოდ ნაწილობრივ, რომ ძვირფასი სამკაულების ნაწილი იმყოფებოდა მოპასუხის მფლობელობაში და არამართლზომიერად გადაეცა ოჯახის რძალს. კასატორი დანარჩენი სამკაულების მისადმი კუთვნილების დასადასტურებლად მიუთითებს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებიც არიან მოსარჩელის ახლონათესავები (დეიდა, მუღი). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღნიშნულ მოწმეთა ჩვენება ვერ იქნება სანდო და რელევანტური, რადგან შესაძლოა მათ გააჩნდეთ პირადი დაინტერესება სადავო საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მათ ვერ მისცეს დამაჯერებელი ჩვენება, რაც გამორიცხავს ამ ნაწილში მათი გაზიარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს რაიმე სახის სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება დანარჩენი სამკაულების მოპასუხესთან არსებობის ფაქტი, მოპასუხე კი უარყოფს

ამ სამკაულების მის სახლში ან/და მასთან რაიმე ფორმით არსებობას.

15. მონმეთა ჩვენებები, ფოტოსურათები, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სრულყოფილად არის შეფასებული. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის სადავოდ გამხდარი წინაპირობა, მოპასუხის მიერ, ნაწილი სადავო ნივთების ფლობა, კანონიერად არ დაადგინა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ და კასატორის ზოგადი ხასიათის შედეგება ვერ აქარწყლებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობებსა და გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების წინაპირობების არსებობას ვერ ამტკიცებს.

16. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. ვინაიდან საკასაციო საჩივარი უარყოფილია, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი რჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14.07.2022წ. გადანყვეტილება.
3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. შვილების წარმოშობის დადგენა

ბავშვის მამობის დადგენა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1606-2023

10 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება (სარჩელში), მამობის ჩანაწერის გაუქმება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ლ. პ-ძემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში პ. ბ-ძის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ არასრულწლოვანი შვილის – ო. ბ-ძის (დაბადებული 2006 წლის 21 აგვისტოს) (შემდგომ – არასრულწლოვანი, ბავშვი) სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 500 ლარის გადახდის შესახებ სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. 2022 წლის 02 ივნისს, მათ შორის, ნებაყოფლობით მოხდა განქორწინება. ქორწინების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. ერთ-ერთი შვილი ო. ბ-ძე, დაბადებული 2006 წლის 21 აგვისტოს, არის არასრულწლოვანი. მოპასუხე უარს აცხადებს ბავშვის დახმარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუშაობს და მისი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 1000 ლარზე მეტს. ო. ბ-ძეს დაბადებიდან აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, კერძოდ, მას აქვს ბრონქული ასთმა და საჭიროებს მუდმივ მკურნალობას. აღნიშნული იცის მოპასუხემ, მაგრამ მაინც უარს აცხადებს დახმარებაზე

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არასრულწლოვანი ო. ბ-ძე მისი შვილი არ არის.

შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები:

4. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მამობის ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ, მოითხოვა გაუქმდეს პ. ბ-ძის არასრულწლოვან ო. ბ-ძის მიმართ მამობის დადგენის შესახებ 2006 წლის 24 აგვისტოს რეგისტრირებული №0082679 სააქტო ჩანაწერი, როგორც უსაფუძვლო და შეტანილ იქნეს ცვლილება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში 2006 წლის 24 აგვისტოს რეგისტრირებული 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული, ო. ბ-ძის დაბადების მონომობის №ნ/კ0229336 სააქტო ჩანაწერის, პ. ბ-ძის მამად რეგისტრაციის ნაწილში.

5. შეგებებულ სარჩელში მოსარჩელემ განმარტა, რომ თავდაპირველი მოსარჩელე 1999 წელს დაუახლოვდა ქორწინების მიზნით, რომელიც გარკვეულ პერიოდში გაერკვა იმაში, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს ბავშვობაში გადატანილი მწვავე ინფექციური დაავადებების გამო ჰქონდა პრობლემა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სქესობრივ ურთიერთობაში. მათ ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა არ ჰქონიათ და არც ქორწინება დაურეგისტრირებიათ. ლ. პ-ქემ გააჩინა ორი შვილი, რომელთაგან ერთი სრულწლოვანია, ხოლო მეორე ო. ბ-ძე – არასრულწლოვანი. მოპასუხეს ჰქონდა დამოუკიდებელი პირადი ცხოვრება, თუმცა მას არ ჰქონდა სხვა საცხოვრისი და დროდადრო იყო შეგებებული სარჩელით მოსარჩელის ბინაში. შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს არცერთ შვილზე არ შეუტანია განცხადება მამობის დადგენის შესახებ და არც არანაირ განცხადებაზე არ მოუწერია ხელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მოპასუხესთან ოჯახური კავშირი არ ჰქონია და არც მის შვილებთან აქვს მამა-შვილური დამოკიდებულება, თუმცა იგი პერიოდულად მის საცხოვრებელ ბინაში იკავებდა ადგილს და ცდილობდა საზოგადოებაში დაემკვიდრებინა მისი ცოლის სახელი და ასევე მუდამ ცდილობდა, შეენარჩუნებინა ბინა-სამყოფელი. შვილები აღზარდა მის სიძულვილში. მოპასუხესთან დაპირისპირებებმა ბინის დატოვების თაობაზე კიდევ მეტად გაურთულა ფსიქიკური ჯანმრთელობა, რადგან იგი ფსიქოლოგიური შეტევების დროს ითხოვდა მისგან ქორწინების რეგისტრაციას. 2015-2016 წლებში ჰქონდა ხანგრძლივი ფსიქოლოგიური აშლილობა, რა დროსაც მან შეძლო მისი დაყოლიება ხელის მოწერაზე. ამ პერიოდში შეგებებული სარჩელით მოსარჩელე იღებდა ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. შეგებებული სარჩელით მოპასუხის არაჯანსაღმა, დამცინავმა, შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ შეგებებული სარჩელით მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაიხანგრძლივა მის ბინაში ცხოვრების პერიოდი, იგი თავს აცოდებდა, რომ სხვა თავშესაფარი არ ჰქონდა, ამასთან, ცდილობდა მიეღო მისგან ფინანსური დახმარება. მხოლოდ 2022 წელს შეძლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ კუთვნილი ბინიდან მოპასუ-

ზე გამოესახლებინა. მართლაც იგი გამოიყვანა ბინიდან პოლიციის დახმარებით, რამაც საბოლოოდ განაპირობა სარჩელი ალიმენტთან დაკავშირებით. 2022 წლის 02 ივნისს დარეგისტრირდა ქორწინების შეწყვეტის ფაქტი, თუმცა მათ შორის არასდროს ყოფილა არც ფაქტობრივი ოჯახი და არც ფაქტობრივი ქორწინება. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მიუთითა, იმის გათვალისწინებით, რომ არ არის არასრულწლოვანის ბიოლოგიური მამა, ამიტომაც მის მიმართ არ გააჩნია არც სულიერი და არც ემოციური კავშირი, ასევე არც ბავშვს აქვს მის მიმართ რაიმე გრძნობა. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება არასრულწლოვანის მიმართ მამობის უარყოფის მიზნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს სარჩელის აღძვრის დღიდან 2022 წლის 20 ივნისიდან თავისი არასრულწლოვანი შვილის ო. ბ-ძის (დაბადებული 2006 წლის 21 აგვისტოს) სარჩენად, დაეკისრა თვეში 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის გადახდა მის სრულწლოვანებად, მდგომარეობის შეცვლამდე; ძირითადი სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

7. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ კი მოითხოვა თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრებს უარი ეთქვათ დაკმაყოფილებაზე და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 2015 წლის 18 თებერვლიდან 2022 წლის 02 იანვრამდე.

11. 17.05.2000 წელს დაბადებულ ვ. ბ-ძის დედად დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებულია ლ. პ-ძე, ხოლო მამად – პ. ბ-ძე. მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველი იყო 17.05.2000 წელს მშობელთა

ერთობლივი განცხადება.

12. 21.08.2006 წელს დაბადებულ ო. ბ-ძის დედად დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებულია ლ. პ-ძე, ხოლო მამად – პ. ბ-ძე. მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველი იყო 24.08.2006წ. მშობელთა ერთობლივი განცხადება. არასრულწლოვანი ო. ბ-ძის აქვს თანმხლები დაავადება – ბრონქული ასთმა.

13. მოპასუხე დასაქმებულია შპს „ს-ში“ დამხმარე მუშად და მისი საშუალო ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა 949,43 ლარს, თუმცა 2023 წლის 01 თებერვლიდან კომპანიაში მოქმედი დროებითი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად დასაქმებულზე გაიცემა ხელფასის 60 პროცენტი.

14. მოსარჩელე დასაქმებულია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის №2 განყოფილების მეთოდისტად და მისი ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს 368 ლარს.

15. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 07.11.2022 წლის №007634722 ბიოლოგიური (გენეტიკური) დასკვნის თანახმად, გენეტიკური კვლევითა და სტატისტიკური ანალიზით დადგინდა, რომ პ. ბ-ძე (პ/ნ №...) წარმოადგენს, ლ. პ-ძის (პ/ნ №...) ბიოლოგიური შვილის, 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული ო. ბ-ძის (პ/ნ №...) ბიოლოგიურ მამას. კვლევისათვის ნიმუში აღებული იქნა 17.10.2022 წელს.

16. საქმეში წარმოდგენილია 07.12.2022 წლის პ. ბ-ძის სპერმოგრამის ანალიზის პასუხი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 03.10.2023 წელს გამართულ სხდომაზე დაკითხულ იქნა მითითებული სამედიცინო დოკუმენტის გამცემი ექიმი – თ. ე-ძე, რომლის განმარტების თანახმად: „ამ ანალიზით შესაძლებელია მამაკაცის ორგანიზმში სპერმატოზოიდების გამომუშავების განსაზღვრა, ხარისხობრივად და რაოდენობრივად. პ. ბ-ძის სპერმატოზოიდები იყო ნორმაში. რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ყველაფერი იყო ნორმაში შემოწმების მომენტისათვის. სპერმოგრამა ზოგადად ცვალებადია, თუმცა შემოწმების მომენტისათვის ყველაფერი იყო ნორმაში. ამ მოცემულობაში, შემოწმების მომენტისათვის განაყოფიერება შესაძლებელი იყო. ამ დასკვნაში მოცემული მაჩვენებლებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ წლების წინ პ. ბ-ძე იქნებოდა განაყოფიერებაუნარიანი ან პირიქით“.

17. სსიპ ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლის დირექტიორის გ. შ-ძის მიერ, 29.11.2022 წელს გაცემული ცნობის თანახმად, ო. ბ-ძე სწავლობს სსიპ ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლის მე-11 კლასში. მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს სკოლაში იმყოფებოდა პირველი გაკვეთილიდან მეოთხე გაკვეთილის ჩათვლით.

18. 11.10.2023 წელს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული გ. შ-ძის ჩვენების თანახმად: „2014 წლი-

დან ის არის სსიპ ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლის დირექტორი. საქმეში წარმოდგენილი 29.11.2022 წლის ცნობა მან გასცა ელექტრონული ჟურნალში დაცული მონაცემების საფუძველზე. ელექტრონულ ჟურნალს ბევრი ხარვეზები აქვს, ზოგჯერ ინტერნეტი არ არის, ყველა ოთახში კომპიუტერი არ დგას და ა.შ. იმ კონკრეტულ დღეს (17.10.2022წ.) ფიზიკის მასწავლებელმა ფეხი მოიტეხა და ვერ გამოცხადდა სამსახურში, რის გამოც გაკვეთილები აირია. ამ შემთხვევაში მონაცემების ასახვას მასწავლებელი ვერ ახდენს ელექტრონულ ჟურნალში, რადგან სხვისი გაკვეთილის დროს უწევს შესვლა გაკვეთილზე და მონაცემს ვერ ასახავს. მან ცნობა გასცა ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, რაც არის ელექტრონული ჟურნალი, ფიზიკურად იყო თუ არა ბავშვი სკოლაში, არ გადაუმოწმებია და ვერც გადაამოწმებდა, რადგან ცნობა გაიცა დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, შეუძლებელია მასწავლებელს ამდენი დროის გასვლის შემდეგ ახსოვდეს იყო თუ არა კონკრეტული მოსწავლე გაკვეთილზე. შესაძლებელია, რომ ელექტრონული ჟურნალის მონაცემები არ ასახავდეს რეალურ მონაცემებს. მან საქმეთა მმართველს დაავალა ელექტრონული ჟურნალის ნახვა, რის შესებამისადაც მან გასცა ცნობა“;

19. 11.10.2023 წელს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ს. ჩ-ძის (ო. ბ-ძის კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი) ჩვენების თანახმად: „ის არის სსიპ ქ. ჭიათურის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ო. ბ-ძის კლასის დამრიგებელი. საქმეში წარმოდგენილი 29.11.2022 წლის ცნობა გაიცა სკოლის დირექტორის მიერ ელექტრონულ ჟურნალში დაცული მონაცემების საფუძველზე. ელექტრონულ ჟურნალს ავსებს კლასში შესული პედაგოგი. იმ კონკრეტულ დღეს ცხრილი აირია და ვერ მოხდა ზუსტი მონაცემების შეყვანა. ეს მონაცემები თავად მიაწოდა საქმეთა მმართველს, რომელმაც თავის მხრივ მონაცემები გადასცა სკოლის დირექტორს. შესაძლებელია, რომ ელექტრონული ჟურნალის მონაცემები არ ასახავდეს რეალურ მონაცემებს, თუ გაკვეთილების ცხრილი აირია ან ინტერნეტი ხარვეზით მუშაობს. აღნიშნული მონაცემების გაცემისას ის დაეყრდნო ელექტრონული ჟურნალის მონაცემებს, რეალურად იმყოფებოდა თუ არა ბავშვი გაკვეთილზე, ვერ გადაამოწმებოდა, ვინაიდან ცნობა გაიცა მოგვიანებით. ელექტრონული ჟურნალის მონაცემები ივსება გაკვეთილის ზარის დარეკვიდან 1 კვირის ვადაში“;

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

20. მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობებიდან, რაც მდგომარეობს შვილის რჩენის მიზნით ალიმენტის გადახდევინებაში.

21. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე (მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ) და 1214-ე (ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას) მუხლებიდან გამომდინარეობს.

22. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც შეგებებულ სარჩელში მოსარჩელეს სურს, კერძოდ, მამობის გაუქმების თაობაზე მოთხოვნა სპეციალური კანონის – „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე (მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის) მუხლიდან გამომდინარეობს.

23. სააპელაციო პალატამ თავდაპირველად შეაფასა შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნა ბავშვის მამობის ჩანაწერის გაუქმების თაობაზე, რაზეც დამოკიდებულია ალიმენტის დაკისრების თაობაზე ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება.

24. შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არ არის არასრულწლოვან ო. ბ.-ძის ბიოლოგიური მამა, რაც გამორიცხავდა მასზე ალიმენტის დაკისრებას.

25. მამობის ჩანაწერის გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში წარმოდგენილ სააპელაციო პრეტენზიასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

26. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო განჩინებით დანიშნული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 07.11.2022 წლის №007634722 ბიოლოგიური (გენეტიკური) დასკვნით ერთმნიშვნელოვნად და ცხადად დასტურდება ის გარემოება, რომ პ. ბ.-ძე წარმოადგენს

ლ. პ-ძის ბიოლოგიური შვილის, 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული, ო. ბ-ძის ბიოლოგიურ მამას. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

27. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტ პ. ბ-ძის პრეტენზია იმის შესახებ, რომ გენეტიკური კვლევისათვის არასრულწლოვნის ნიმუში აღებული იქნა 17.10.2022 წელს, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი სსიპ ქ.ჭიათურის №1 საჯარო სკოლის დირექტორის გ. შ-ძის მიერ 29.11.2022 წელს გაცემული ცნობის თანახმად, ო. ბ-ძე მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს სკოლაში იმყოფებოდა პირველი გაკვეთილიდან მეოთხე გაკვეთილის ჩათვლით. აღნიშნული კი გამოორიცხავდა საექსპერტო კვლევისათვის არასრულწლოვნის ქ. თბილისში გამოცხადებას. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული სკოლის დირექტორისა და ო. ბ-ძის კლასის დამრიგებლის ჩვენებებზე, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი 29.11.2022 წლის ცნობა გაიცა ელექტრონული ფურნალში დაცული მონაცემების საფუძველზე, რომელიც უტყუარი არ არის, ხოლო ბავშვის ფიზიკურად ადგილზე ყოფნის გადამოწმება შეუძლებელი იყო, რადგან ცნობა გაიცა მოგვიანებით, რამოდენიმე კვირის შემდგომ. ამასთან, როგორც გაირკვა, იმ კონკრეტულ დღეს (17.10.2022წ.) ფიზიკის მასწავლებელმა ფეხი მოიტეხა და ვერ გამოცხადდა სამსახურში, რის გამოც გაკვეთილები აირია. ამ შემთხვევაში კი მონაცემების სწორად ასახვას მასწავლებელი ვერ მოახდენდა ელექტრონულ ფურნალში. ამდენად, ამ ვითარებაში, აღნიშნული ცნობა ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 17.10.2022 წელს ო. ბ-ძე არ იმყოფებოდა ქ. თბილისში გენეტიკურ კვლევაზე და იყო სკოლაში;

28. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტ პ. ბ-ძის პრეტენზია იმის შესახებ, რომ გადატანილი დაავადებების გამო, ის არის უნაყოფო, რაც გამოორიცხავს ო. ბ-ძის ბიოლოგიურ მამობას. ამ კუთხით აპელანტი მიუთითებდა მის მიერ წარმოდგენილ 07.12.2022 წლის სპერმოგრამის ანალიზის პასუხზე, სადაც ასახულია სპერმოგრამის გარკვეული მონაცემები. თუმცა, სასამართლო სხდომაზე დაკითხული აღნიშნული ანალიზის ჩამტარებელი ექიმის თ. ე-ძის განმარტებით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ პ. ბ-ძის სპერმატოზოიდები შემონახვის მომენტისათვის იყო ნორმაში. ამ მოცემულობაში, შემოწმების მომენტისათვის განაყოფიერება შესაძლებელი იყო. ამასთან, ამ დასკვნაში მოცემული მაჩვენებლებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ წლების წინ პ. ბ-ძე იქნებოდა განაყოფიერებაუნარიანი ან პირიქით;

29. ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ პ. ბ-ძე არის

ო. ბ-ძის ბიოლოგიური მამა, რაც გამორიცხავს პ. ბ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

30. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ალიმენტის დაკისრების ნაწილში, მოცემული მოთხოვნის სწორად გადანყვევებისა და მხარეთა პრეტენზიების მართებულობის შესამოწმებლად, სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა გაერკვია აქვს თუ არა პ. ბ-ძის შემოსავალი.

31. სსკ-ის 1212-ე და 1214-ე მუხლების შესაბამისად, ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას მისთვის, არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში.

32. მშობლის ვალდებულება, არჩინოს შვილები, არ არის დამოკიდებული მის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუნდაც მშობელს არ გააჩნდეს საკმარისი სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის სრულყოფილად და გონივრულ ფარგლებში რჩენის ვალდებულებისაგან. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული, რომელიც ფასდება გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში.

33. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

34. არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო აქტებით ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, რომელთაგან ერთ-ერთ თვალსაჩინო დანაწესს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან).

35. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქე-

ობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით. კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. კონტინენტური სამართლის ქვეყნების, საკანონმდებლო სივრცის თუ პრაქტიკის, გაიდლაინების გათვალისწინებით განსხვავებულია ალიმენტის ოდენობის გამოთვლა. ასეთი შეიძლება უკავშირდებოდეს მშობლის შემოსავლის დონეს ან ბავშვისათვის განკუთვნილ აუცილებელ ხარჯებს, შესაძლებელია ერთობლივი შეფასებაც, მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს ბავშვების ასაკი და მათი რაოდენობა.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისათვის განმარტავს შემდეგს: „კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენისათვის აუცილებელ მინიმალურ, ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებანი, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. ცხადია, ალიმენტის გადამხდელ მშობელთან მისი დანარჩენი შვილების ცხოვრების შემთხვევაში მათ სარჩენ არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე სახის უპირატესობა არ ენიჭებათ. ამდენად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თითოეული მშობლის მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მშობლის მიერ მისთვის ბავშვის სარჩენად დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და ობიექტურ შესაძლებლობას“ (იხ. სუსგ №ას-1356-1194-2010, 04.03.2011წ.).

37. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას (სუსგ. №ას-829-2019, 11.07.2019წ.).

38. ამასთან, სსკ-ის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვების ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნ-

ველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადანყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულება პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა (სუსგ. №ას-619-619-2018, 12.09.2018წ.). მშობელი, რომელთანაც არ ცხოვრობს ბავშვი, ალიმენტის დაკისრებისას იტვირთება მხოლოდ ფულადი ვალდებულებით, განსხვავებით მშობლისაგან, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი. ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს რა შვილის მოვლასა და აღზრდას, ამ ვალდებულების გამო მეორე მშობელთან შედარებით გარკვეულწილად იზღუდება, ინტენსიურად უზრუნველყოს მატერიალური სახსრების მიღება თავისი გამომუშავებით.

39. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე დასაქმებულია შპს „ს-ში“ დამხმარე მუშად და მისი საშუალო ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა 949,43 ლარს, თუმცა 2023 წლის 01 თებერვლიდან კომპანიაში მოქმედი დროებითი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად დასაქმებულზე გაიცემა ხელფასის 60 პროცენტი.

40. არასრულწლოვნის დედა, მოსარჩელე, რომელსაც კანონით ასევე თანაბარწილად აქვს შვილის რჩენის ვალდებულება, დასაქმებულია და აქვს გარკვეული შემოსავალი. ამ ვითარებაში, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ო. ბ-ძის ასაკის – 17 წლის, პ. ბ-ძისა და ლ. პ-ძის შემოსავლების გათვალისწინებით, არასრულწლოვანი ბავშვის არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფის მიზნით, პ. ბ-ძისათვის ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება გონივრულია და ვერ გახდება გადანყვეტილების გაუქმებისა და უფრო მეტი ოდენობით ალიმენტის დაკისრების საფუძველი.

41. საქმეზე დადგენილი ზემოთაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტი არის გონივრული ოდენობის.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

42. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე აპელანტმა (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და თავდაპირველი სარჩელის უარყოფა.

43. კასატორი სადავოდ ხდის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას და კასატორის ბიოლოგიური მამობის დადგენას.

კასატორი აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა არის გაყალბებული და არ ასახავს რეალობას, შესაბამისად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები არღვევს კასატორის კონსტიტუციურ უფლებებს, ლახავს მის პატივს, ღირსებას და აყენებს ზიანს. კასატორი მიუთითებს, რომ შიდა საშუალებების ამონურვის შემდეგ იგი მიმართავს ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის განხილვა მოხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. მხარეებს ეცნობათ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის, საქმის განხილვის ფორმისა და საქმის განხილვის თარიღის შესახებ. რაიმე შუამდგომლობა მხარეებისაგან ამ საკითხებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

46. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ი) 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას),

რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

48. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყევითლება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

50. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შეგვებული სარჩელით მოსარჩელე (კასატორი) მოითხოვს მამობის ჩანაწერის გაუქმებას, კერძოდ, გაუქმდეს პ. ბ-ძის არასრულწლოვან ო. ბ-ძის მიმართ მამობის დადგენის შესახებ 2006 წლის 24 აგვისტოს რეგისტრირებული №0082679 სააქტო ჩანაწერი, როგორც უსაფუძვლო და შეტანილ იქნეს ცვლილება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექ-

ტრონულ ბაზაში 2006 წლის 24 აგვისტოს რეგისტრირებული 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული, ო. ბ-ძის დაბადების მოწმობის №6/კ0229336 სააქტო ჩანაწერის, პ. ბ-ძის მამად რეგისტრაციის ნაწილში.

51. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც კასატორს (შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს) სურს მამობის რეგისტრაციის გაუქმება და სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანა „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე (მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის) მუხლიდან გამომდინარეობს.

52. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა ბუნებრივია, უნდა შემომდგეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

53. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი იმ საფუძველით ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას შეგებებული სარჩელის უარყოფის შესახებ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნა კასატორის ბიოლოგიური მამობის დადგენის შესახებ არის გაყალბებული.

54. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ

იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტყმაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

55. სასამართლო ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების გაწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიუკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის სანაღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

56. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში

უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21).

57. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ განჩინების პ:10-19 დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ კასატორის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

58. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა

ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

59. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

60. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

61. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. „მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა“ (ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლი-

ერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ. 2014, გამომცემლობა „სამართალი“, გვ.282).

62. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებით-სათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

63. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ შემდეგი დასკვნის გაკეთება: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად დასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

64. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით დასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთ-

ხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ. 3-4). «მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ. 64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადანყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ. 64).

65. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე (შდრ: შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში გვ. 27).

66. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

67. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადანყვეტილების მიღების საკმარისი საფუძველები. დასაბუთებული გადანყვეტილება მხარეებს აჩვენებს, რომ მათ

ნამდვილად მოუხმინეს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – *Carmel Saliba v. Malta*, № 24221/13, §73, 29 ნოემბერი 2016; §73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ – *Ruiz Torija v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, §30, შერიეს A №303-A; §30; ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, *Hiro Balani v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, §28, Series A №303-B; §28), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (*buzesku rumineTis winaaRmdeg - Buzescu v. Romania*, №61302/00, §67, 24 მაისი 2005, §67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – *Donadze v. Georgia*, №74644/01, §35, 7 მარტი 2006;). სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტების გამოყენებით ან სხვაგვარად არ წარმოადგინა გადაწყვეტილების დეტალური მიზეზები, უპასუხოს წამოჭრილი საკითხების არსებით ნაწილს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქვედა ინსტანციის დასაბუთების გაზიარებით (ელე ფინეთის წინააღმდეგ – *Helle v. Finland*, 19 დეკემბერი 1997, §60, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII).

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. სასამართლო, ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუხმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

69. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მცდარ მონაცემებს შეიცავს.

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. სსსკ-ის 162-ე მუხლის ნორმატიული გაგებით, მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გარეშე, ზოგერთ შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამასთან, ექსპერტი პროცესის მონაწილე სუბიექტია, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, მედიცინის, ხელოვნების ან ხელობის დარგში. მის მიერ შედგენილ დასკვნაში გადმოცემულია გამოკვლევის შინაარსი, შედეგები და პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებზე. ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომელიც ახასიათებს ექსპერტიზის ჩატარების პირობებს, კონკრეტულ დროს, ადგილს, ექსპერტიზის საფუძველს და პირებს, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას კვლევაში. ექსპერტის დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს კანონის ნორმებს, შეიცავდეს გამოკვლევის ობიექტურობას, მყარ არგუმენტაციას დასმულ კითხვებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხებს. საბოლოოდ, როგორც სხვა მტკიცებულებების, ასევე, ექსპერტის დასკვნის იურიდიული ძალას აფასებს სასამართლო. ექსპერტის დასკვნის შეფასება ხდება ზოგადად მტკიცებულებების შეფასებისათვის დადგენილი ყოველმხრივი სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებით, რის შედეგადაც, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (იხ. დამატებით: ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 97-122.).

71. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს: 2022 წლის 19 ივლისს შეგებულ იქნა სარჩელით მოსარჩელემ (კასატორი) სასამართლოს წინაშე იმუამდგომლა სასამართლო გენეტიკურ ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა პ. ბ-ძე პ/ნ ... 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული ო. ბ-ძის პ/ნ ... ბიოლოგიური მამა. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტის წინაშე გამოსაკვლევად დაისვა შემდეგი საკითხი: არის თუ არა 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული ო. ბ-ძის (პ/ნ ...) ბიოლოგიური მამა პ. ბ-ძე (პ/ნ ...) (დადგინდეს გენეტიკური (დ.ნ.მ) კვლევის საფუძველზე. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

72. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2022 წლის 07 ნოემბრის ბიოლოგიური (გენეტიკური) საექსპერტო დასკვნით დადგინ-

და, რომ პ. ბ-დის ბიოლოგიური მამობის თეორიული ალბათობა ო. ბ-დის მიმართ შეადგენს 99.99999999%.

73. სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტ პ. ბ-დის პრეტენზია იმის შესახებ, რომ გადატანილი დაავადებების გამო, ის არის უნაყოფო, რაც გამორიცხავს ო. ბ-დის ბიოლოგიურ მამობას. ამ კუთხით აპელანტი მიუთითებდა მის მიერ წარმოდგენილ 07.12.2022 წლის სპერმოგრამის ანალიზის პასუხზე, სადაც ასახულია სპერმოგრამის გარკვეული მონაცემები. თუმცა, სასამართლო სხდომაზე დაკითხული აღნიშნული ანალიზის ჩამტარებელი ექიმის თ. ე-იდის განმარტებით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ პ. ბ-დის სპერმატოზოიდები შემონმების მომენტისათვის იყო ნორმაში. ამ მოცემულობაში, შემონმების მომენტისათვის განაყოფიერება შესაძლებელი იყო. ამასთან, ამ დასკვნაში მოცემული მაჩვენებლებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ წლების წინ პ. ბ-ძე იქნებოდა განაყოფიერებაუნარიანი ან პირიქით;

74. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 27.06.2014წ. საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის რატიფიცირებაც განხორციელდა საქართველოს პარლამენტის 18.07.2014წ. №2495-რს დადგენილებით. ასოცირების შეთანხმებით საქართველომ იკისრა ვალდებულება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის საფუძველზე განავითაროს საქართველოსა და ევროკავშირის შორის სამართლებრივი თანამშრომლობა (13.3, 21.1 მუხ.). შეთანხმების 146-ე მუხლით დადგინდა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრული ეტაპების მიხედვით, რა დროსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შესაბამის გადანყვეტილებებს (მე-2 პუნქტი). ასოცირების ერთ-ერთ მიზნად დასახელდა მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა (1.2 მუხ. „ფ“ ქვ.პ.).

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცენტრალურ როლს თამაშობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპულ სისტემაში. მისი გადანყვეტილების აღსრულება კი, როგორც პირის დარღვეული უფლების აღდგენის დასკვნითი ფაზა, შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებების დაუყოვნებლივი და ეფექტიანი აღსრულება მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სანდოობა იმ კონვენციისა, რომელიც აღიარებულია „ევროპული საჯარო ნესრიგის კონსტიტუციურ

აქტად“ და რომელზეც დამოკიდებულია კონტინენტის დემოკრატიული სტაბილურობა (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი).

76. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: სამართლიანი დაკმაყოფილება; ინდივიდუალური ღონისძიება; ზოგადი ღონისძიება – ცვლილებები ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, – საკანონმდებლო ცვლილებები, სხვა ზოგადი ღონისძიებები.

77. ეროვნულ დონეზე „*restitutio in integrum*“ პრინციპის დაცვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ცვლილება, რაც ქმნის შესაძლებლობას ეფექტურად აღსრულდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება თუ განჩინება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით რელევანტურია იმ პირობებში, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ დონეზე, ინდივიდის მიერ კონკრეტული უფლებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის არარსებობაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნული პრობლემა დაედო საფუძვლად საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარდგენილ ორ საჩივარს, კერძოდ, შემდეგ საქმეებში – „ოყროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ“ და „ფ-ვა საქართველოს წინააღმდეგ“. მოცემული საქმეები ეხებოდა მომჩივნების მიერ ეროვნულ დონეზე მამობის დადგენისა და შედეგად, ალიმენტის დაკისრების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ორივე საქმის ეროვნული სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს, ის ასპექტი, თუ როგორ უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ ბავშვის მამობის დადგენის საკითხი, მოწესრიგებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომლის იმდროინდელი რედაქცია ამგვარად გამოიყურებოდა: „მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

78. მოცემულმა დანაწესმა 2011 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ძირეული ცვლილება განიცადა, რის შედეგადაც მამობის დადგენის უწინარეს საფუძვლად დნმ-ტესტი ჩამოყალიბდა. შედეგად, ზემოთ განხილული საკითხი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის რედაქტირებული ვერსიის შესაბამისად შემდეგნაირად მოწესრიგდა: სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიო-

ლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.“ თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.“

79. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს, რომ ფ-ვას საქმე (Parghalava v Georgia, no.3980/06, 04.03.2014) ეხებოდა მარტოხელა დედას, რომელიც ითხოვდა მოპასუხის ცნობას მისი არასრულწლოვანი შვილის მამად, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნებასა და მის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისას სასამართლოებმა მომჩივნის მოთხოვნა, ჩატარებულიყო დნმ-ის ტესტი, უცნობი მიზეზების საფუძველზე არ დააკმაყოფილეს. ხოლო ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ კი მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მამობის დადგენის მიზნებისთვის უწინარესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „გარემოებებს, რომლებითაც შეიძლება დადასტურდეს მოპასუხისა და ბავშვის დედის შორის არსებული ოჯახური თანაცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოების ან ბავშვის აღზრდაში მოპასუხის მონაწილეობის ფაქტი“. მოცემული გადაწყვეტილება მომჩივანმა უზენაეს სასამართლოშიც გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ. ეროვნულ დონეზე წარუმატებელი სამართალწარმოების შემდეგ, მომჩივანმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით, რომელშიც დავობდა, რომ მის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევას.

80. ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ სამოქალაქო კოდექსში იყო რიგი ნაკლოვანებები, რამაც ხელი შეუშალა მომჩივანს სრულად ესარგებლა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ აღიარა მომჩივნის უფლება, ხელახლა წამოეწყო სამართალწარმოება ეროვნული სასამართლოების წინაშე მამობის დადგენისა და სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ალიმენტის გადახდის მოთხოვნით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-

მართლოს ამ განჩინების საფუძველზე, 2014 წლის 20 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დ. ფ-ს სარჩელი მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ, ამ ნაწილში, განაახლა საქმის წარმოება და 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ სასამართლომ შეცვლილი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მამობის დადგენის შემდეგ, დეტალურად შეაფასა ალიმენტის გამოთვლისთვის საჭირო საკვანძო გარემოებები, რაც მიუთითებს ეროვნულ დონეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების თვალსაზრისით მის მნიშვნელობაზე. გადაწყვეტილების თანახმად, „დადგენილია, ასევე ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ალიმენტის დაკისრების ნაწილში, განეხილებინა საქმის განხილვა სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ე.ი. 2001 წლის 7 აგვისტოდან. ამ ვალდებულების აღების, ე.ი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტი-სათვის არასრულწლოვანი უკვე სრულწლოვანი იყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.“ ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი ამჟამად, სრულწლოვანია და იგი შრომისუუნარო არ არის, სასამართლოს შეფასებით, ზემოხსენებული დანაწესის საფუძველზე, მის მამას „მისი რჩენის ვალდებულება ჰქონდა, მხოლოდ, სრულწლოვანებამდე, ანუ 2012 წლის 15 თებერვლამდე.“ ამრიგად, „სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს მოპასუხისათვის იმ მიუღებელი სარჩოს დაკისრების შესახებ, რომელიც მას შვილისთვის უნდა გადაეხადა 2001 წლის 7 აგვისტოდან 2012 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში. ამის შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, არა მარტო, აპელანტის, არამედ, ასევე მოპასუხის შემოსავლები და მისი ოჯახური მდგომარეობა 2001-2012 წლებში.“ ამდენად, დროის ხსენებულ მონაკვეთში მოპასუხის (მამის) ფინანსური შესაძლებლობების გონივრული და სამართლიანი შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე ცნობილ უნდა იქნეს 1994 წლის 15 თებერვალს დაბადებული არასრულწლოვანის მამად და მის სასარგებლოდ, ალიმენტის სახით, უნდა დაეკისროს 9660 ლარის გადახდა.

81. რაც შეეხება „ოყრემიძეები საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეს

(Okroshidzebi v Georgia, no.60596/09, 11.02.2012), ისიც ანალოგიურად ეხე-
ბოდა მარტოხელა დედას, რომელიც ეროვნული სასამართლოების წი-
ნაშე ითხოვდა მოპასუხე პირის ცნობას მისი არასრულწლოვანი შვილის
მამად და მის სასარგებლოდ აღნიშნული პირისთვის ალიმენტის დაკის-
რებას, გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. ეროვნულ
დონეზე სამართალწარმოებისას სასამართლოს შეფასებით, მომჩივნის
მიერ წარმოდგენილი დნმ-ის ტესტი, რომლის მიხედვით, მოპასუხე წარ-
მოადგენდა ბავშვის მამას „99.9%-ით“ არ იყო საკმარისი სამოქალაქო
წესით მამობის დასადგენად, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის
1190-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, მომჩივნის
მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მოცემული გადაწყვეტილება ძალაში და-
ტოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა სასამართლომ მას-
თან დაკავშირებული საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. ეროვნულ
დონეზე წარუმატებელი სამართალწარმოების შემდეგ, მოსარჩელე-
ებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივ-
რით, რომელშიც დავობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-13, მე-14 მუხ-
ლების, ასევე, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-12 დამატებითი ოქ-
მის 1-ლი მუხლის დარღვევას. ევროპულ სასამართლოში სამართალწარ-
მოების პროცესში საქართველოს მთავრობა ისევე, როგორც ფ-ვას საქ-
მეში, აღიარა, რომ სამოქალაქო კოდექსში იყო რიგი ნაკლოვანებები,
რამაც ხელი შეუშალა მომჩივნებს სრულად ესარგებლათ კონვენციის
მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. ზიანის სახით მთავრო-
ბამ მზაობა გამოთქვა გადაეხადა მომჩივნებისთვის 3 000 ევრო და აგ-
რეთვე სრულად დაეფარა სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მათ მი-
ერ განეული სასამართლო ხარჯები (1 797.5 ბრიტანული გირვანქა სტერ-
ლინგის და 1 278.9 ევროს ოდენობით). ამავდროულად, საქართველოს
მთავრობამ აღიარა მომჩივნის უფლება, ხელახლა წამოეწყო სამართალ-
წარმოება ეროვნული სასამართლოების წინაშე მამობის დადგენისა და
სამართალწარმოების დაწყების დღიდან, ალიმენტის გადახდის მოთ-
ხოვნით. მომჩივანი სწორედ ამგვარად მოიქცა – მის მიერ ეროვნული
სასამართლოს წინაშე დაყენებული მოთხოვნა მამობის დადგენის, ბავ-
შვისათვის მამის გვარის მინიჭებისა და ალიმენტის დაკისრების შესა-
ხებ დაკმაყოფილებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-
ქალაქო საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც მის გადაწყვეტილებაში მიუ-
თითა შემდეგი: „მოცემულ შემთხვევაში გენეტიკური ექსპერტიზის დას-
კვნის საფუძველზე დადგენილია, რომ მოპასუხე არის არასრულწლოვ-
ნის ბიოლოგიური მამა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო
სასარჩელო მოთხოვნებს მამობის დადგენის თობაზე საფუძვლიანად
მიიჩნევს“. ასევე, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა

„ბავშვისათვის გვარის შეცვლისა და მისთვის ბიოლოგიური მამის გვარის მინიჭების თობაზე“. რაც შეეხება ალიმენტის საკითხს, კოლეგიამ აღნიშნულის გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია ყოველთვიურად 120 ლარი, რომლის გადახდაც ბიოლოგიურ მამას ბავშვის სრულწლოვანებამდე დაეკისრა.

82. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო განჩინებით დანიშნული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 07.11.2022 წლის №007634722 ბიოლოგიური (გენეტიკური) დასკვნით დასტურდება ის გარემოება, რომ პ. ბ-ძე წარმოადგენს ლ. პ-ძის ბიოლოგიური შვილის, 2006 წლის 21 აგვისტოს დაბადებული, ო. ბ-ძის ბიოლოგიურ მამას. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის (იხ., ამ განჩინების პ.26).

83. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ კვლევის გენეტიკურ მეთოდზე დაყრდნობით დაადგინა მხარეთა თითქმის 100%-იანი ბიოლოგიური კავშირი, რაც სარწმუნო და გასაზიარებელია (იხ., სუსგ №ას-461-2019. 16.07.2019, პ.1.5). ამდენად, საქმის მასალებით მოპასუხისა (კასატორი) და არასრულწლოვანი ბავშვის ბიოლოგიური კავშირი დადგენილია, აღნიშნულის გამაბათილებელი მტკიცებულება კი, მოპასუხეს საქმეში არ წარმოუდგენია, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე კი, საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხე მხარეს ეკისრებოდა (სსსკ-ის მე-4 მუხლი) (სუსგ №ას-1258-1180-2015 5 თებერვალი, 2016 წელი).

84. ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ პ. ბ-ძე არის ო. ბ-ძის ბიოლოგიური მამა, რაც გამოირიცხავს პ. ბ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

85. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ ექსპერტიზის დასკვნა გაყალბებულია, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, გამომდინარე იქედან, რომ ასეთ შემთხვევაში, კასატორს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში უნდა წარედგინა საექსპერტო დასკვნის გაყალბების დასადასტურებლად მტკიცებულება – კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის წესით დამდგარი განაჩენი. ასეთი მტკიცებულების საქმეში არ არსებობის გამო, კასატორის განმარტება ვერ იქნება გაზიარებული.

86. საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას დამატებით მიაქცევს სსსკ-ის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ დადგენილია ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა. აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოება განახლდება, თუ არსებობს

სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

87. რაც შეეხება მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობას, მოსარჩელე ძირითად სარჩელში მოითხოვდა არასრულწლოვანი შვილის – ო. ბ-ძის (დაბადებული 2006 წლის 21 აგვისტოს) (შემდგომ – არასრულწლოვანი, ბავშვი) სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 500 ლარის გადახდას სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს სარჩელის აღძვრის დღიდან 2022 წლის 20 ივნისიდან თავისი არასრულწლოვანი შვილის სარჩენად, დაეკისრა თვეში 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის გადახდა მის სრულწლოვანებამდე, მდგომარეობის შეცვლამდე.

88. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში კასატორს დასაბუთებული შედაგება არ წარმოუდგენია.

89. საკასაციო პალატა მიუთითებს მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების შესახებ სსკ-ის 1212-ე (მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ), 1214-ე (თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას), 1198.2 (მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება) და 1202-ე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალკე ცხოვრობენ) მუხლებიდან გამომდინარეობს.

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით დაწესებულია მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა, რაც ალიმენტის გადახდის მოვალეობასაც მოიცავს, მაგრამ კანონმდებელი არასრულწლოვნის სასარგებლოდ დასაკისრებელი ალიმენტის ზღვრულ ოდენობას არ ადგენს. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მოქმედებს დისკრეციის ფარგლებში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა შეფასებით, უნდა დაადგინოს ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა.

91. ამასთან, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღ-

ზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ალიმენტის ოდენობის დადგენისას უნდა შეფასდეს მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა ობიექტური გარემოებები. ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან (იხ. სუსგ-ები: №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011წ; №ას-1141-1061-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წ; №ას-ას-1301-2019, 13 მარტი, 2020წ; №ას-878-2021, 27 ოქტომბერი, 2021 წ.).

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

93. 21.08.2006 წელს დაბადებულ ო. ბ-ძის დედად დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრირებულია ლ. პ-ძე, ხოლო მამად – პ. ბ-ძე. მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველი იყო 24.08.2006წ. მშობელთა ერთობლივი განცხადება. არასრულწლოვანი ო. ბ-ძის აქვს თანმხლები დაავადება – ბრონქული ასთმა.

94. მოპასუხე დასაქმებულია შპს „ს-ში“ დამხმარე მუშად და მისი საშუალო ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა 949,43 ლარს, თუმცა 2023 წლის 01 თებერვლიდან კომპანიაში მოქმედი დროებითი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად დასაქმებულზე გაიცემა ხელფასის 60 პროცენტი.

95. მოსარჩელე დასაქმებულია ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის №2 განყოფილების მეთოდისტად და მისი ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს 368 ლარს.

96. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საალიმენტო ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა და გულისხმობს ალიმენტის მიმღების უფლებასაც – მოითხოვოს ალიმენტის გადახდა. მშობლები ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ არასრულწლოვან შვილებს (იხ. დამატებით: რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 252; Corden A., Meyer D.R., Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches, University of Wisconsin-Madison Institute for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring,

75.). ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან მშობლების განქორწინების დროს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მათ შესაძლოა დაეხმაროს ამ სტრესული სიტუაციის დაძლევაში, არის ოჯახური და იმავე სოციალური გარემოს შენარჩუნება. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს პრინციპით – ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს ცხოვრების არსებული დონე, რომელიც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა. სასამართლოს ამოცანაა, ბავშვის მატერიალური მდგომარეობა მშობლების განქორწინების გამო, რაც შეიძლება ნაკლებად გაუარესდეს (იხ. დამატებით: Kavacek-Stanic G., *Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home: Family Finances*, (Verschragen B (ed))., Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, P.637.; Stark B., *Internacional Family Law, an Introduction*, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, P.211.; Duncan W., *Note on the desirability of revising the Hague Conventions on Maintenance Obligations*, Hague Conference on Private International Law, January, 1999.

97. საკასაციო პალატა, სადავო საკითხის მართებულად შეფასებისთვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართლებრივ დანაწესებზე, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება.

98. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დამარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მოუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხ-

ლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალებებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას (იხ. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლაშა ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2020, გვერდი 11.).

99. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება არის სამგანზომილებიანი: (ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადანაცვეტილების მისაღებად, და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანაცვეტილებაა მისაღები ბავშვთან დაკავშირებით. (ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის. (გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადანაცვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადანაცვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადანაცვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადანაცვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადანაცვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიჩნეული ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 31-ე მუხლის თანახმად, ბავშვის მოთხოვნები მოიცავს ფართო დიაპაზონს, ესენია: განათლების, კულტურული და სოციალური მოთხოვნები.

100. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27.2. მუხლი განსაზღვრავს, რომ მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებ-

ლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები (მდრ. სუსგ №ას-1141-1061-2017, 10 ოქტომბერი, 2017წ.; №ას-1347-2022, 08 ივნისი, 2023 წ.).

101. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, §83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადანონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალიმენტის დაკისრებისას სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების, მშობლის ფინანსური მდგომარეობისა და მისი სხვა საჭიროებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა (მდრ. სუსგ-ები: №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021 წ., პ.24-26; №ას-1284-2020, 25 ნოემბერი, 2022 წ, პ.16.; №ას-1355-2019, 25 თებერვალი, 2020 წ, პ.28.).

102. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით, უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

103. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონ-

სტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. (იხ. სოფო კილაძე, პაატა ტურავა, ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი, თბილისი, 2021, გვერდი 65.).

104. ალიმენტის გადახდის დაკისრების კონტექსტში საკასაციო პალატა მიუბრუნდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების კვლევის საკითხს და აღნიშნავს, რომ მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. აღნიშნული ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას, მიუხედავად იმისა, ისინი დაქორწინებული არიან თუ არა. მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში (შდრ: სუსგ-ები: №ას-733-733-2018, 11 ივლისი, 2018 წ. პ. 128; №ას-541-509-2012, 30 აპრილი, 2021 წ.; №ას-1122-1069-2013, 10 თებერვალი, 2014 წ.; №ას-204-191-2014, 20 ოქტომბერი, 2014 წ.; №ას-495-469-2015, 01 ივლისი, 2015 წ.; №ას-1173-1128-2016, 30 ივნისი, 2017 წ.; №ას-861-2019, 03 დეკემბერი, 2019 წ.; №ას-148-2020, 20 მაისი, 2020 წ.). სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა იყოს ფორმალური და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, ანუ ალიმენტის ოდენობა, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, არ შეიძლება იყოს იმ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რაც აუცილებელია პირის სარჩენად. (შდრ: სუსგ-ები: №ას-358-2023, 27 ივნისი, 2023 წ. პ. 16; №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021 წ.; №ას-1355-2019, 25 თებერვალი, 2020 წ.; №ას-463-463-2018, 14 იანვარი, 2020 წ.; №ას-495-469-2015, 01 ივლისი, 2015 წ.; №ას-1610-1511-2012, 04 თებერვალი, 2013 წ.).

105. სსკ-ის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვის ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მისი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულება პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა, რამდენადაც უნდა დადგინდეს გონივრული

ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში“ (იხ. სუსგ-ები: №ას-319-319-2018, 15 მაისი, 2018 წ.; №ას-619-619-2018, 12 სექტემბერი, 2018 წ.; №ას-829-2019, 11 ივლისი, 2019 წ.).

106. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველყოფა და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. ალიმენტის დაკისრებას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნას და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულები-საგან. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას (იხ. სუსგ №ას-341-2022, 14 ივნისი, 2022 წ.; №ას-1141-1061-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წ.). ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ალიმენტის მიმღები პირის აუცილებლობისა და ალიმენტვალდებული პირის შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩო, რომლის მიღების უფლებაც არასრულწლოვანს მშობლისაგან აქვს, უნდა წარმოადგენდეს სარჩენი პირის მოთხოვნილებათა მინიმალური დაკმაყოფილების საფუძველს მაინც. ამდენად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს გონივრული და სამართლიანი ოდენობით, ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი,

ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა (იხ. სუსგ-ები: №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011წ.; №ას-1610-1511-2012, 04 თებერვალი, 2013წ.; №ას-1128-1075-2013, 10 თებერვალი 2014წ.; №ას-675-641-2013, 10 თებერვალი, 2015წ.; №ას-298-283-2016, 26 სექტემბერი 2016წ.; №ას-1194-1154-2016, 31 მარტი, 2017წ.; №ას-319-319-2018, 15 მაისი, 2018წ.; №ას-332-2019, 02 აგვისტო, 2019წ.; №ას-463-463-2018, 14 იანვარი, 2020წ.; №ას-148-2020, 20 მაისი, 2020წ.; №ას-46-2023, 29 მარტი, 2023წ., №ას-1347-2022, 08 ივნისი, 2023წ.).

107. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვისას, უპირატესად უნდა განისაზღვროს ალიმენტის გონივრული ოდენობა, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 1212-ე მუხლით, რომელიც ადგენს არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას, იმავე კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც დადგენილია მშობლების ვალდებულება შვილების აღზრდის, ზრუნვის, ფიზიკური, სულიერი თუ გონებრივი განვითარების ასპექტში და 1214-ე მუხლით, რომელიც შვილებზე ზრუნვის საკითხში მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტას, თუმცა ამოსავალ პრინციპს მაინც ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება და მისთვის ოჯახური გარემოს შექმნა წარმოადგენს და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია (იხ. სუსგ-ები: №ას-50-2121, 05 მარტი, 2021წ.; №ას-177-2019, 23 მაისი, 2019წ.; №ას-284-2019, 27 ივნისი, 2019წ.). №ას-621-2019, 11 ივლისი, 2019წ.).

108. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე და მიიჩნია, რომ დადგენილი ალიმენტი – 250 ლარის ოდენობით, არ სცილდება გონივრულობის ფარგლებს.

109. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს დასკვნას შეგებებული სარჩელის უარყოფისა და თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და მიაჩნია, რომ კასატორმა სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სტანდარტით, ვერ დაარწმუნა საკასაციო პალატა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძვლების არსებობაში.

110. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

111. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს

არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც. მსგავს საკითხებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება (სუსგები №ას-307-294-2015 03 ივნისი, 2015 წელი; №ას-1258-1180-2015 5 თებერვალი, 2016 წელი; №ას-85-81-2017 27 ოქტომბერი, 2017).

112. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც, მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

113. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო;

2. პ. ბ-ის (პ.ნ: ...) (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით კ. ს-ას მიერ 11.01.2024წ. საგადახდო დავალებით №20147176732 გადახდილი 600 ლარის 70% – 420 ლარი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. განქორწინებული მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

გავეშთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახალხით

№ას-420-2021

1 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქურო

დავის საგანი: არასრულწლოვანთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა, მშობლის უფლებამოსილების ნაწილობრივ შეზღუდვა (ძირითად სარჩელში), ალიმენტის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გ. ზ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი ან არასრულწლოვნის მამა) თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს საქართველოში ყოფნისას არასრულწლოვან შვილთან – 2013 წლის 1 ოქტომბერს დაბადებულ ა. ზ-თან (შემდეგში: ბავშვი ან არასრულწლოვანი) – 10 წლამდე /იგულისხმება ათ წლამდე ასაკი/ ურთიერთობა განესაზღვრა შემდეგი სახით: ა) ყოველი კვირის ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა დღის 14:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან /სწავლის შემთხვევაში/ – იმავე დღის 20:00 საათამდე, არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის, ნ. ი-ოს (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი ან არასრულწლოვნის დედა) საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. ზემოაღნიშნული ურთიერთობის წესი /იხ. 1.1 პუნქტი/ არ ვრცელდება ზამთრის არდადეგების და ზაფხულის არდადეგების ივლის-აგვისტოს პერიოდზე. ზამთრის არდადეგების პერიოდში /იგულისხმება ბავშვის 8-10 წლამდე ასაკი/ მამა-შვილის ურთიერთობა განისაზღვრა შემდეგი სახით: 4 იანვარს დღის 12:00 საათზე წაყვანის და იმავე დღის 20:00 საათზე დაბრუნების ვალდებულებით, ასევე 5 იან-

ვარს 12:00 საათიდან – 8 იანვრამდე წაყვანის და უკან დაბრუნების ვალდებულებით. ზაფხულის არდადეგების პერიოდში /იგულისხმება ბავშვის 8-10 წლამდე ასაკი/ მამა-შვილის ურთიერთობა განისაზღვრა შემდეგი სახით: 1 აგვისტოდან 6 აგვისტომდე დღის 11:00 საათიდან იმავე დღის 20:00 საათამდე, ხოლო 6 აგვისტოდან 12:00 საათიდან 11 აგვისტომდე ღამე დარჩენის გათვალისწინებით, არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. ბავშვის 10 წლის ასაკიდან ზამთრის არდადეგების პერიოდი მამა-შვილის ურთიერთობის განისაზღვრა შემდეგი სახით: 3 იანვრის 12:00 საათიდან 8 იანვრამდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. ბავშვის 10 წლის ასაკიდან ზაფხულის არდადეგების პერიოდი მამა-შვილის ურთიერთობის განისაზღვრა შემდეგი სახით: 1 აგვისტოს 12:00 საათიდან 10 აგვისტომდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. მოსარჩელეს საქართველოში ყოფნისას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობა 10 წლის ასაკიდან განისაზღვრა შემდეგი სახით: ოთხშაბათს დღის 11:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 20:00 საათამდე, ხუთშაბათი დღის 11:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან /სწავლის შემთხვევაში/ შაბათი დღის 20:00 საათამდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. ზემოაღნიშნული ურთიერთობის წესი /იხ. 1.7 პუნქტი/ არ მოქმედებს ზამთრის არდადეგების და ზაფხულის არდადეგების ივლის-აგვისტოს თვის პერიოდზე. გარდა ზემოაღნიშნული დადგენილი მამა-შვილის ურთიერთობის წესის /იხ. 1.1-1.8 პუნქტები/ ბავშვის ურთიერთობა მამასთან – განისაზღვრა ყოველი წლის 29 ნოემბერს, 12 დეკემბერს, 17 სექტემბერს და 23 სექტემბერს დღის 11:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 20:00 საათამდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. მოსარჩელის საქართველოში ყოფნისას, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს დათქმულ დროს არასრულწლოვანი შვილის წასაყვანად დედის საცხოვრებელ ადგილას მისვლას, მამა ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წინა დღის 22:00 საათამდე შეატყობინოს სატელეფონო შეტყობინების გზით („სმს შეტყობინება“) ბავშვის დედას. არასრულწლოვნის მამა ვალდებულია, საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის შესახებ ინფორმაცია სატელეფონო შეტყობინების /„სმს შეტყობინება“/ გზით აცნობოს არასრულწლოვნის დედას არა ნაკლებ 4-5 დღით ადრე. დადგენილი ურთიერთობის წესი /მამა-შვილის ურთიერთობის/ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა /მოსარჩელე და მოპა-

სუხე/ ურთიერთშეთანხმებით. ამავე გადანყვეტილებით, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის, არასრულწლოვანი შვილის პასპორტის აღებისა და საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ხოლო მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, მამას არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 1 200 (ათას ორასი) ლარი, რომლის გადახდევინება დაიწყო სარჩელის აღძვრის დღიდან – 2019 წლის 30 აგვისტოდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ივნისის გადანყვეტილებით მოპასუხის (არასრულწლოვნის დედის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1., 1.3. და 1.7. პუნქტების შეცვლით და 1.9 პუნქტის გაუქმებით, მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1., 1.3. და 1.7. პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1.1. მოსარჩელის საქართველოში ყოფნისას არასრულწლოვან შვილთან, 10 წლამდე (იგულისხმება ათ წლამდე ასაკი) ურთიერთობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ა) ყოველი კვირის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, დღის განმავლობაში, 4 საათის მანძილზე, ბავშვის წაყვანისა და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. 1.3. ზამთრის არდადეგების პერიოდში (იგულისხმება ბავშვის 8-10 წლამდე ასაკი) მამა-შვილის ურთიერთობა განისაზღვროს შემდეგი სახით: ბავშვის სურვილის არსებობის შემთხვევაში, 4 იანვარს დღის 12:00 საათზე წაყვანის და იმავე დღის 20:00 საათზე დაბრუნების ვალდებულებით, ასევე 5 იანვარს 12:00 საათიდან – 8 იანვრამდე წაყვანის და უკან დაბრუნების ვალდებულებით. 1.7. მოსარჩელის საქართველოში ყოფნისას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობა, 10 წლის ასაკიდან განისაზღვროს შემდეგი სახით: ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს, დღის განმავლობაში 6 საათის მანძილზე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.9. პუნქტი გაუქმდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უც-

ვლელი; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. მოსარჩელე და მოპასუხე 2013 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. მათ თანაცხოვრების პერიოდში, 2013 წლის 1 ოქტომბერს შეეძინათ შვილი;

3.2. მხარეთა შორის საქორწინო ურთიერთობა შეწყვეტილია და ისინი ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს დედასთან ერთად;

3.3. სოციალური მუშაკის მიერ ვიზიტი განხორციელდა არასრულწლოვნის დედის საცხოვრებელ სახლში, სადაც იგი ცხოვრობს შვილთან ერთად. მათთან ცხოვრობს ბავშვის ბებიაც. ვიზიტის დროს, ბავშვი იყო მოვლილი, ეცვა სეზონის შესაბამისად. არასრულწლოვანს აქვს ჩამოყალიბებული სიახლოვის გრძნობა დედის მიმართ და დედა ადასტურებს, რომ ბავშვს ასევე უყვარს მამაც. მოპასუხის საცხოვრებელში იკვეთება ბავშვის კუთხე აღჭურვილი ასაკის შესაბამისი განვითარების ინდივიდუალური ნივთებით;

3.4. მოსარჩელის (ბავშვის მამის) საცხოვრებელ სახლი შედგება სამი იზოლირებული ოთახისაგან, სადაც წესრიგი და სისუფთავეა, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ბავშვის ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური განვითარების ნივთებით და ასაკის შესაბამისი სათამაშოებით. ოჯახს ჰყავს თანადგომის ძლიერი ქსელი (მშობლები, ძმა, ახლობლები, ნათესავები), რაც მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს ბავშვის სოციალიზაციას. ოჯახში შექმნილია კეთილსაიმედო გარემო ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის;

3.5. 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 6 მარტის ჩათვლით მოსარჩელე მოპასუხეს საბანკო ანგარიშზე სისტემატურად ურიცხავდა სხვადასხვა ოდენობის თანხებს არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდის მიზნით. ასევე, ამავე პერიოდში მოსარჩელე იხდიდა ბავშვის სხვადასხვა აქტივობების (მათ შორის ტანვარჯიშის) გადასახადს;

3.6. მოპასუხე (მეორე აპელანტი) არ არის დასაქმებული და არ გააჩნია მატერიალური შემოსავალი. მას და მის არასრულწლოვან შვილს ფინანსურად ეხმარება მოპასუხის ძმა, რომელიც დასაქმებულია საზღვარგარეთ, კერძოდ კი დუბაიში, უძრავი ქონების აგენტის პოზიციაზე;

3.7. მოსარჩელეს (პირველი აპელანტი) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს. მან სამედიცინო დანესებულებას მიმართა პროფილაქტიკურ კონსულტაციაზე, არანაირი ჩივილი არ აღენიშნება. პაციენტს არაერთხელ აქვს ჩატარებული სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევა, საიდანაც პათოლოგია არ აღენიშნება;

3.8. მოპასუხეს ჩატარებული აქვს სამედიცინო გამოკვლევები და

შესაბამისი მკურნალობა. ამ ეტაპზე მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს;

3.9. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის პოზიცია შეეხება იმას, რომ ბავშვის სწორი აღზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია, მას ურთიერთობა ჰქონდეს ორივე მშობელთან. სოციალური სამსახურის შეფასებით, არ გამოვლენილა რაიმე საფრთხის შემცველი გარემოება, რაც მამასთან ურთიერთობისათვის წესის განსაზღვრის შემთხვევაში, ბავშვისთვის ზიანის მომტანი იქნებოდა. არასრულწლოვნის დედა არ არის წინააღმდეგი, ბავშვს ურთიერთობა ჰქონდეს მამასთან, ამ უკანასკნელის საქართველოში ყოფნის პერიოდში შეუზღუდავად ისე, რომ ბავშვს ხელი არ შეეშალოს სწავლის პროცესში, თუმცა დედა არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას, ღამით ბავშვის მამასთან დარჩენის შესახებ და მიუთითებს, რომ ბავშვის ასაკისა და დედასთან მიჯაჭვულობის გათვალისწინებით, გარკვეულ ასაკამდე ბავშვი ღამით უნდა იყოს დედასთან. აღნიშნულ მოსაზრებას სრულად იზიარებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი და მოცემულ ეტაპზე, არასრულწლოვნის ასაკიდან გამომდინარე არ უწევს რეკომენდაციას ბავშვის მამასთან ღამით დარჩენას. შესაძლებელია, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბავშვის ასაკის მატებასთან და მისი მზრიდან მზაობის გამოხატვის შემთხვევაში, არასრულწლოვანი ღამითაც დარჩეს მამასთან. ორივე მშობელს შექმნილი აქვს კეთილსაიმედო, დაცული და ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი გარემო;

3.10. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და დედასთან არსებული მიჯაჭვულობის (მათ შორის ღამით დედასთან ყოფნა) გათვალისწინებით, ხანგრძლივი დროით ბავშვის დედასთან მოშორება არ იქნება დადებითი გავლენის მომტანი ბავშვისათვის, შესაბამისად, სოციალური სამსახური არ ეთანხმება მოთხოვნას დედისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის თაობაზე;

3.11. სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შესაბამისად, მოსარჩელეს 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 18 მარტის მდგომარეობით უფიქსირდება ინფორმაცია მიღებული შემოსავლების შესახებ, კერძოდ, მითითებულ პერიოდში მის მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენს: 2019 წლის იანვრის თვეში – 15 280.05 ლარს და 654.45 ლარს, თებერვლის თვეში – 85 999.25 ლარს, მარტის თვეში – 15 409.45 ლარს და 3000 ლარს, აპრილის თვეში – 15 502.8 ლარს, აპრილის თვეში – 15 969.6 ლარს, ივნისის თვეში – 16 053.2 ლარს და 1 000 ლარს, ივლისის თვეში – 16 663.1 ლარს და 1 500 ლარს, აგვისტოს თვეში – 16 770.85 ლარს, სექტემბრის თვეში – 17 054.85 ლარს, ოქტომბრის თვეში – 16 952.35 ლარს, ნოემბრის თვეში – 17 086.35

ლარს, 654.45 ლარს და 6743.14 ლარს, დეკემბრის თვეში – 14 520.45 ლარს და 6 743.14 ლარს, 2020 წლის იანვრის თვეში – 16 581.2 ლარს, თებერვლის თვეში – 16 129.95 ლარს და 6 743.14 ლარს;

3.12. სს „თ.ბ-ის“ მიერ 06.03.2020 წელს გაცემული ცნობით, ბანკი ადასტურებს, რომ მოსარჩელე (ბავშვის მამა) მუშაობს სს „თ.ბ-ში“ IT აუთსორსინგის ლიდერის თანამდებობაზე და მისი დარიცხული ხელფასი შეადგენს 5 844 აშშ დოლარს (16 091.45 ლარს). საქმეში არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე სს „თ.ბ-ში“ აღარ არის დასაქმებული და შემოსავალი არ გააჩნია;

3.13. 2018 წლის 18 მაისის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე დასაქმებულია შპს ა-ბა „... ს-ში“ პროგრამისტის თანამდებობაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებული იღებს შრომის ანაზღაურებას თვეში 4 500 გრივნას. 2017 წლის 14 ოქტომბრის უძრავი ქონების ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულების საფუძველზე, საცხოვრებელი ბინა (მისამართი ქ. კიევი, ..., ბინა 34) დროებით სარგებლობაში გადაეცა არასრულწლოვნის მამას და ყოველთვიური გადასახდელი ქირა 550 აშშ დოლარით განისაზღვრა. ხოლო 01.11.2019 წლის არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ქირით დროებით სარგებლობაში გადაეცა არასაცხოვრებელი ფართის (ოფისის) ნაწილი, რომელიც მოიცავს ადგილს სამენარმეო საქმიანობისათვის. ქირის ოდენობა ამ ხელშეკრულებით თვეში 1 900 აშშ დოლარით განისაზღვრა.

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება აბსოლუტურ უფლებათა რიგს არ მიეკუთვნება, თუმცა, ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას თავადვე იძლევიან და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით არის გამონეული. ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ბავშვის უფლებათა კონ-

ვენციაშიც ასახულია. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება უზრუნველყონ.

5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. სსკ-ის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. სსკ-ის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმ ფაქტის უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას წარმოადგენს არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016 წ.).

6. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას გულისხმობს. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შე-

ფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ბავშვის უფლებებს, უპირატესობა ბავშვის საუკეთესო ინტერესს მიენიჭოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეებზე „ელ-სჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ“, (Elsholz v. Germany, № 25735/94, 2000 წლის 31 ივლისი, და „TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, (TK and KM v. UK), № 28945/95, 2001 წლის 10 მაისი).

7. სსკ-ის 1198-ე მუხლით შვილის მიმართ მშობლის მოვალეობებია რეგლამენტირებული. ამ მუხლის თანახმად, მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება განსაზღვრონ და ა.შ. მშობელია უფლებამოსილი ბავშვთან დაკავშირებით მიიღოს ყველა ის მნიშვნელოვანი გადანყვეტილება, რომელსაც ბავშვის ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით, ყველაზე უფრო მიზანშეწონილად და გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა, სადავოობის შემთხვევაში, სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილებების მართებულობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესთან შესაბამისობის დადგენის მოვალეობა ეკისრება.

8. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე – დაბადების შემდეგ. ბავშვის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადანყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზ-

ღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

9. სსკ-ის 1200-ე მუხლის თანახმად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. სსკ-ის 1202-ე მუხლიდან გამომდინარე, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

10. კანონმდებლობით გარანტირებულია მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან. ეს უფლება გათვალისწინებულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, რაც განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობა საოჯახო ურთიერთობების რეგულირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახის ყველა წევრის ურთიერთსიყვარულის, პატივისცემისა და მეგობრობის ატმოსფეროში ბავშვის აღზრდის საკითხს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მშობლის შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისას სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებით ხელმძღვანელობს, რა დროსაც ითვალისწინებს მის ასაკს, იმ სოციალურ და ყოფით გარემოს, სადაც ბავშვს მოუწევს ყოფნა, მისი ცხოვრების წესს, დამოკიდებულებას თითოეულ მშობელთან.

11. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადანაცვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

12. განსახილველ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვ-

ნის დედა წინააღმდეგია მისმა შვილმა ლამე მამასთან გაატაროს და ამის მიზეზად ასახელებს ბავშვის მხრიდან მასთან მიჯაჭვულობას და ბავშვის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის უნარმოკლებულობას.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2021 წლის 15 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა არასრულწლოვანმა საკმაროდ მკაფიოდ და კონტაქტური საუბრით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მამასთან ყოფნა და ურთიერთობა უყვარს, უნდა მეტ დროს ატარებდეს მასთან, სურს, რომ ღამეც დარჩეს მასთან, მამასთან კარგად ერთობა, ბევრს თამაშობენ, დედაც უკვე მიეჩვია, რომ ბავშვი მამასთან მიდის-ხოლმე, მამასთან ბევრი სათამაშოები აქვს.

14. საქმეში წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დასკვნებით დგინდება, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ორივე მშობელს შექმნილი აქვს კეთილსაიმედო, დაცული და ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი გარემო. მშობელთა უფლება-მოვალეობები უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებს. ბავშვს უფლება აქვს ორივე მშობელთან ჰქონდეს სრულყოფილი ურთიერთობა. ამასთან, გასათვალისწინებელია სოც. სამსახურის პოზიცია მასზედ, რომ ვინაიდან ბავშვს დედასთან აკავშირებს ემოციური კავშირი და დედასთან მიჯაჭვულობა განსაკუთრებით ღამით დაძინებასთან დაკავშირებით, არ იქნება მიზანშეწონილი გარკვეული პერიოდით მოხდეს დედასთან დაშორება. თუკი მშობლები შეთანხმდებიან ბავშვის საზღვარგარეთ დასასვენებლად გაყვანაზე, ამ შემთხვევაში დედაც უნდა იყოს ჩართული. რაც შეეხება ალიმენტის მოთხოვნას, ორივე მშობელი ვალდებულია თავიანთი მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ბავშვი უზრუნველყონ ფინანსურად, რათა შესაბამისად მოხდეს ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება.

15. საქმეში ჩაბმული ფსიქოლოგის, ხ. ნ-ის განმარტებით, არასრულწლოვანი არის ასაკთან შესაბამისად განვითარებული ბავშვი, ადეკვატური, თავისუფალი ნების გამომხატველი ბუნების, თამამი მოსაუბრე და მისი მსჯელობიდან ნათლად იკვეთება, რომ დედასთან კომფორტულადაა, თუმცა დიდ სიყვარულს ამჟღავნებს მამის მიმართ, მასთან აქვს კარგი ურთიერთობა, თავს კარგად გრძნობს, მოსწონს მასთან დროის გატარება და მამის მიმართ აქვს პოზიტიური დამოკიდებულება.

16. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შინაარსი გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში

მიღებით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ესაა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ (იხ. განმარტებები ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ). ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტს წარმოადგენს ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ და სხვა სამართლებრივი აქტები იცავს რა ბავშვთა ინტერესებს და ახორციელებს მათი უფლებების დაცვას, განამტკიცებს, რომ მათი მიზანია ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთესი უზრუნველყოფა.

17. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, №25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, №28945/95, 10.05.2001, პარ.72) – შდრ. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016). ამასთან, ბავშვის უფლებათა კომიტეტის „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ“ ზოგადი კომენტარის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია და მოიცავს მატერიალურ უფლებას: ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად; ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპს: თუ ეროვნულ კანონში სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს; და საპროცე-

სო ნორმას: ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს.

18. განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საქმეში წარდგენილი მასალებით, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებით და არასრულწლოვანთან გასაუბრების ოქმებით დგინდება, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესი და სურვილი ნამდვილად მდგომარეობს მამასთან ურთიერთობაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა არასრულწლოვანი ბავშვის ასაკი, ფსიქოლოგთა დასკვნები, მხარეთა და სოციალური მუშაკის ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ მეორე აპელანტმა (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) ნაწილობრივ დაამტკიცა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ხოლო მონინალმდევ მხარემ (თავდაპირველი მოსარჩელე) ამ ნაწილში ვერ დაუმტკიცა სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლიანობა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მეორე აპელანტის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი მამასა და შვილს შორის ურთიერთობის წესი უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ, სარეზოლუციო ნაწილის 1.9. პუნქტი გაუქმდეს, ხოლო 1.1., 1.3. და 1.7. პუნქტები ჩამოყალიბდეს იმ სახით, რაც წინამდებარე გადაწყვეტილების მეორე პუნქტშია ასახული.

19. რაც შეეხება არასრულწლოვნის მამის სააპელაციო საჩივარსა და არასრულწლოვნის დედის სააპელაციო საჩივრის შედავებას ალიმენტის ოდენობის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი აპელანტის პოზიცია, რომ მამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ალიმენტის სახით დაკისრებული ყოველთვიურად გადასახდელი ოდენობა საკმარისია.

20. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. სსკ-ის 1197-ე მუხლის პირველი ნაწილადების შესაბამისად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. სსკ-ის 1202-ე მუხლის მიხედვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. სსკ-ის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი

შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუშნიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესაფერისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ. კონვენციის 27-ე მუხლით აღიარებულია ასევე ყოველი ბავშვის უფლება – უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავიანთი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 1214-ე მუხლით გათვალისწინებულია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები. კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. სსკ-ის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან.

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული ნორმებით დადგენილია მშობელთა ვალდებულება, არჩინონ თავიანთი შვილები. ამ ვალდებულების არსებობა არ არის დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ მშობელი არ მუშაობს და მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად ალიმენტის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება ორივე მშობლის მატერიალური მდგომარეო-

ბა, შემოსავლები, რომელსაც ალიმენტზე ვალდებული მხარეები იღებენ, ასევე, ითვალისწინებს მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა კანონიერ ინტერესს. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე.

23. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ალიმენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან დადგინდეს არა მხოლოდ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა, არამედ – ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია მისი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის (იხ. ას-1011-931-2017, 16.01.2018 წ.).

24. მოცემულ შემთხვევაში, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც უმუშევარია, ამასთან, არასრულწლოვანი არის სკოლის ასაკის, დადის სხვადასხვა წრეზე და მის გაზრდაში დედას ეხმარება ძმა, მეორე მხრივ კი, სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვნის მამა დასაქმებულია, მას სტაბილური და სოლიდური შემოსავალი აქვს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის ასაკიდან გამომდინარე, მისი საჭიროებებისა და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენციასა და სსკ-ის შესაბამისი მუხლების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადანყვებილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობა სავსებით საკმარისია და უზრუნველყოფს ბავშვის რჩენა-აღზრდისთვის აუცილებელ ხარჯებს.

25. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ქართული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით ბავშვის მოვლისთვის განეული ხარჯის გადანაწილების კონკრეტული ფორმულა არ არსებობს. სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც ბავშვი დედასთან ცხოვრობს, მშობლებს შორის ბავშვის მოვლის ხარჯი პროპორციულად არ უნდა გადანაწილდეს. ეს დასკვნა სიტუაციის ობიექტური და სამართლიანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ზოგადი პრინციპის თანახმად, ივარაუდება, რომ დედას, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, მისი აღზრდისთვის მეტი ხარჯის გაწევა უწევს, ვიდრე მამას, რომელიც მხოლოდ ალიმენტს იხდის. შესაბამისად, მიუხედავად საკანონმდებლო დანაწესისა, რომლის თანახმად ბავშვის რჩენის ვალდებულება მშობლებს თანაბრად ეკისრებათ, ალიმენტის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება ის, თუ რომელ მშობელთან ცხოვრობს ბავშვი და რომელს უფრო მეტი ხარჯის გაწევა უწევს. ამასთანავე, ალიმენტის

გაზრდის საკითხის განხილვისას, უპირატესად განსასაზღვრია ალიმენტის გონივრული ოდენობა, რომელიც მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროებების ურთიერთშეჯერებით დგინდება. შესაბამისად, სასამართლოსთვის შეფასების მთავარ საგანს არასრულწლოვნის რეალური საჭიროებები და მოპასუხის გაუმჯობესებული მატერიალური მდგომარეობა წარმოადგენს. როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ბავშვსა და მის ინტერესებზე ზრუნვა. სახელმწიფო ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას ეთმობა.

26. შესაბამისად, არასრულწლოვნის საჭიროებებისათვის დანახარჯების მშობლებს შორის პროპორციულად განაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის ალიმენტის სახით 1 200 ლარის დაკისრება გონივრული და მიზანშეწონილია და, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის დასაბუთებულობას, აპელანტთა შედავება, ერთი მხრივ, ალიმენტის თანხის შემცირების, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ნაწილში, არგუმენტირებულ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრებით გაასაჩივრეს როგორც არასრულწლოვნის მამამ, ასევე – დედამ.

27.1. პირველმა კასატორმა მოითხოვა ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №2ბ/597-21 გადაწყვეტილება მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილების 1.1., 1.3. და 1.7. პუნქტების შეცვლის და 1.9. პუნქტის გაუქმების ნაწილში, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს №2/21533-19 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1., 1.3., 1.7. და 1.9. პუნქტები დარჩეს უცვლელი;

27.2. პირველი კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის წარმოდგენილი არანაირი დასაბუთება ან ფაქტები, რამაც განაპირობა მამის შეილთან კომუნიკაციის დროის შეუსაბამოდ შემ-

ცირება, მით უმეტეს, რომ მოსარჩელეს წლის განმავლობაში სამსახურეობრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე, დიდი დროის გატარება უნევს მივლინებაში, საზღვარგარეთ, რაც ისედაც ამცირებს შვილთან კომუნიკაციის დროს. საკასაციო სასამართლომ ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სამართლოს მიერ შეიზღუდა არასრულწლოვნის ნათესავებთან ურთიერთობის უფლება, ბავშვს ფაქტობრივად წაერთვა მამის, ბიძის და ბებია-ბაბუის დაბადების დღეებზე სტუმრობის შესაძლებლობა და აღნიშნულიც, რა თქმა უნდა, ყოველგვარი დასაბუთებისა და განმარტების გარეშე. ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და თავად ბავშვის მოსაზრებების მიუხედავად სასამართლომ ღამით დარჩენა არც კი განიხილა და დღისით ურთიერთობის დროც მინიმუმამდე დაიყვანა, კვირაში სამი დღე მხოლოდ 4-4 საათით დაუშვა მამა-შვილის ურთიერთობა. არ გაითვალისწინა არც ის გარემოება, რომ მოსარჩელე სამსახურეობრივი ვალდებულებების გამო ხშირად იმყოფება მივლინებით საზღვარგარეთ. ბავშვს ისედაც ენატრება მამა და, გარდა იმისა რომ მივლინებაში ყოფნის დროს დედა ტელეფონითაც კი არ ალაპარაკებს მამა-შვილს, ბავშვმა მამის საქართველოში ყოფნის პერიოდშიც ვერ უნდა ნახოს საკუთარი მშობელი კვირაში სამი დღე 4-4 საათზე მეტი დროით. ასევე გაუგებარი და დაუსაბუთებელია რატომ ამოიღო სასამართლომ ნახვის დღეებიდან პარასკევი და კვირა და დატოვა მხოლოდ სამი დღე. საყურადღებოა ისიც, რომ შაბათ დღესაც, როდესაც ბავშვს თავისუფალი დრო აქვს და შესაბამისად მეტი შესაძლებლობა მამასთან კომუნიკაციისათვის, განსაზღვრულია კვლავ ნახვის 4 საათი და დრო გაზრდილი არ არის. აღნიშნული კიდევ უფრო უკანონოა იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის მიხედვით თავად ბავშვის დედაც კი თანახმა იყო რომ შაბათი ან კვირა დღე დღის 2 საათიდან საღამოს 8 საათამდე ბავშვს მამასთან გაეტარებინა. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის მოცემული დასაბუთება, თუ რატომ გასცდა სააპელაციო მოთხოვნას და შეზღუდა მამა-შვილის უფლებები;

27.3. პირველი კასატორი კვლავ მიიჩნევს, რომ ალიმენტის სახით 1 200 ლარის დაკისრება სცდება ბავშვის საჭიროებებს და ემსგავსება ყოფილი მეუღლის რჩენას, რომელიც უარს აცხადებს დასაქმდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის დედა ფაქტობრივად არ ასრულებს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, არჩინოს საკუთარი შვილი, პირველი კასატორი საკასაციო სასამართლოში სადავოდ აღარ ხდის ალიმენტის ოდენობას, არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით;

27.4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არაერთხელ შეამოწმა როგორც დედის, ისე მამის საცხოვრებელი ადგილები და ორივე

მშობლის მიმართ გაცემულია დადებითი დასკვნა, შესაბამისად ბავშვს შეუძლია დარჩეს როგორც დედასთან, ისე – მამასთან. სოციალური მუშაკის განცხადებით საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ 10 წლიდან ბავშვს შეუძლია მამასთან ლამით დარჩენა. სოციალურმა მუშაკმა განმარტა, რომ მოპასუხის წარმომადგენელს ვერ დაეთანხმება ბავშვის სქესზე მითითებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ოჯახში განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს ერთად უწევთ ცხოვრება და სქესი არ აბრკოლებს თანაცხოვრებას. ასევე მიუთითა, რომ შესაძლოა ბავშვს ახლა არ შეუძლია საკუთარი თავის დამოუკიდებლად მოვლა (იგულისხმება პირადი ჰიგიენა), თუმცა 10 წლიდან ბავშვი ამას შეძლებს და, სურვილის შემთხვევაში, მას უნდა შეეძლოს მამასთან ლამით დარჩენა;

27.5. მეორე კასატორის მოთხოვნაა ნაწილობრივ გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და, გაუქმებული ნაწილების ნაცვლად, მიღებული იქნეს ახალი გადანყვეტილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; დანარჩენ ნაწილებში გადანყვეტილება დარჩეს უცვლელად;

27.6. მეორე კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საჭიროებები, რაზეც შეგებებული სარჩელით მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოში უთითებდა. ასევე, მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ არასრულწლოვნის მამის ხელფასი განსაზღვრულია მყარ ვალუტაში და მისი ოდენობა 5 000 აშშ დოლარზე მეტია, საიდანაც შესამედ ნაწილზე ნაკლები ოდენობის – 2 000 აშშ დოლარის მოთხოვნა ალიმენტის სახით არის სრულიად სამართლიანი და ლოგიკური არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით;

27.7. მეორე კასატორის განმარტებით სასამართლომ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროს ხაზგასმით მიუთითა, რომ არასრულწლოვნის მამასთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის დროს ნებისმიერ შემთხვევაში, გადანყვეტილებაში მითითებული იქნებოდა ფრაზა „არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში“, მაგრამ სასამართლომ ეს ფრაზა არც ერთ პუნქტში არ მიუთითა, რითაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეენიანაღმდეგა.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაა-
ნალიზებისა და საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებუ-
ლობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის (პირველი კა-
სატორის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნა-
წილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის (მეორე კასატო-
რის) საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყო-
ფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

29. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო
გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კო-
დექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმ-
სჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია
სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა,
შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის
პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკი-
ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასა-
ციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და და-
საბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასე-
ბით, პირველ კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარ-
მოდგენილი, ხოლო მეორე კასატორის შედავება დაუსაბუთებელია.

30. საკასაციო სასამართლო პირველი კასატორის (ბავშვის მამის)
პრეტენზიებს იმ ნაწილში იზიარებს, რაც წინამდებარე გადაწყვეტი-
ლების 27.2 ქვეპუნქტშია აღნიშნული. საკასაციო სასამართლო სავსე-
ბით ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებ-
სა და მითითებებს ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქ-
ტებზე (იხ. ამ გადაწყვეტილების 4-11, 16-17 პუნქტები) და მიიჩნევს,
რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ნაწილში უნდა შე-
იცვალოს, რომლითაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილის 1.9 ქვეპუნქტი შეიცვალა და ბავშვის ნახვის დღე-
ები ახლებურად დადგინდა (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი). სა-
კასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს პირველი კასატორის პრე-
ტენზიას, რომ მამას შვილთან ურთიერთობის დრო გაუმართლებლად
შეუმცირდა, რითაც ბავშვის მამისათვის შვილთან ურთიერთობის სა-
კითხი ნაწილობრივ გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის დე-
დას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში სადავოდ
არ გაუხდია. აქედან გამომდინარე, პირველი კასატორის პრეტენზია
ოჯახის სხვა წევრების დაბადების დღეებზე, ბავშვის სურვილის გათ-
ვალისწინებით, ამ უკანასკნელის დასწრების თაობაზე გაზიარებულია
შემდეგი სახით: ყოველი წლის 29 ნოემბერს, 12 დეკემბერს, 17 სექტემ-

ბერს და 23 სექტემბერს 16:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 20:00 საათამდე არასრულწლოვანი ბავშვის მამის მიერ წაყვანისა და უკან დედის, ნ. ი-ოს საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. საკასაციო სასამართლოს პირველი კასატორის პრეტენზია ამ ნაწილში დასაბუთებულად მიაჩნია და უნდა დაკმაყოფილდეს.

31. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულმა კონვენციამ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს“ (იხ. სუსგ №ას-440-2020, 13.04.2021წ.).

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვთან ურთიერთობის უფლება მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს, არათუ უნარჩუნდება, არამედ ის ვალდებულიცაა, შვილთან ურთიერთობა ჰქონდეს, რომელიც ეფექტიანი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული და მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ბავშვს არა მხოლოდ აქვს უფლება, იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ჯანსაღ, მასზე მზრუნველ და უსაფრთხო გარემოში, ამასთან, მისი უფლებაა, დაცული იქნეს ყველა

ისეთი შესაძლო ქმედებისაგან, მათ შორის მშობლის ქმედებისაგანაც, რომელიც ბავშვის ფსიქოემოციური განვითარებისა და მისი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ მას შეუნარჩუნდეს მისი ურთიერთობა მასთან არმცხოვრებ მშობელთანაც, მოცემულ შემთხვევაში – მამასთან, რათა გაძლიერდეს ერთჯერა ქვეშევრდკ არმყოფი მშობლის მონაწილეობა და მისი აქტიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებაში; შესაბამისად, თუ არ არსებობს საგამონაკლისო გარემოება, მამას ბავშვის თავისთან დროებით წაყვანის უფლება არ უნდა შეეზღუდოს (სუსგ-ები: №ას-63-59-2017, 13.11.2018წ.; №ას-1837-2019, 16.06.2020წ.; №ას-440-2020, 13.04.2021წ.).

33. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება პრიორიტეტული მნიშვნელობა ჰქონდეს მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი (იხ. სუსგ-ები: №ას-198-2019, 28.05.2019წ.; №ას-440-2020, 13.04.2021წ.).

34. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ბავშვის უფლებების დაცვის მომწესრიგებელი როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობის სისტემური ანალიზი იმგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ ბავშვის უფლებების უზრუნველყოფა არ გულისხმობს ერთი რომელიმე უფლების სხვა უფლებასთან შედარებით უპირატესად რეალიზების, ან დაცვის უფრო მაღალი პრი-

ვილგეით სარგებლობის შინაარსს. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ყველა უფლებას სახელმწიფო გარანტიებით/ინსტრუმენტებით ერთნაირად სარგებლობის უფლება და ხარისხი გააჩნია, მათ შორის ბავშვისაგან განცალკევებით მცხოვრებ მშობელთან ბავშვის ურთიერთობის უფლებასაც. თუმცა, ეს უფლება აბსოლუტურ უფლებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მშობლისა და ბავშვის უფლებათა შეწინააღმდეგებლობის თვალსაზრისით, ბავშვის უფლება უპირატესად ითვლება და მშობელს, გარკვეული პირობების არებობისას, შესაძლოა ჩამოერთვას კიდევ ბავშვთან ურთიერთობის უფლება (სსკ-ის 1205-1206 მუხლები). ამ უფლების შემზღუდავი სახელმწიფო ინსტრუმენტი მოქმედებს მხოლოდ მაშინ და მშობლის უფლება არარეალიზებადია, თუკი მშობლის მოვალეობის არასათანადო შესრულება წინააღმდეგობაშია ბავშვის თუნდაც ერთ რომელიმე ინტერესთან (ჯანმრთელობა, ემოციური განვითარება, სწავლა და ა.შ.), ე.ი. მშობლის ბუნებითი უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან, არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მიიჩნევა აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებად და, ამა თუ იმ პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ კონტროლს ექვემდებარება (შეადრ. სუსგ №ას-434-2021, 30.07.21 წ.).

35. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მეორე კასატორის (ბავშვის დედის) პრეტენზიას არასრულწლოვნის მამისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებაზე მიუთითებს, რომლითაც შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის ყოველთვიურად 1 200 ლარის ალიმენტის დაკისრება სამართლიანად და გონივრულად იქნა მიჩნეული (იხ. ამ გადაწყვეტილების 20-26 პუნქტები).

36. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

37. ზემოხსენებული მოტივაციით, ბავშვის მამის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.9. პუნქტი კი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.9. გარდა ზემოაღნიშნული დადგენილი მამა-შვილის ურთიერთობის წესის /იხ. 1.1-1.8 პუნქტები/ ბავშვის ურთიერთობა მამასთან – განისაზღვროს, ბავშვის სურვილის გათვა-

ლისწინებით, ყოველი წლის 29 ნოემბერს, 12 დეკემბერს, 17 სექტემბერს და 23 სექტემბერს 16:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 20:00 საათამდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით“; დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

38. ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომელშიც მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან, არ არსებობს მხარეთა შორის საპროცესო ხარჯების განაწილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ბ ა:

1. ნ. ი-ოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გ. ზ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.2 პუნქტი გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.9. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.9. გარდა ზემოაღნიშნული დადგენილი მამა-შვილის ურთიერთობის წესის/იხ.1.1-1.8 პუნქტები/ ა. ზ-ის ურთიერთობა მამასთან – გ. ზ-თან/პ/ნ .../ – განისაზღვროს, ბავშვის სურვილის გათვალისწინებით, ყოველი წლის 29 ნოემბერს, 12 დეკემბერს, 17 სექტემბერს და 23 სექტემბერს 16:00 საათიდან ან სასწავლო პროცესის დასრულებიდან იმავე დღის 20:00 საათამდე არასრულწლოვანი ბავშვის წაყვანის და უკან დედის, ნ. ი-ოს საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით“.
5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

გავეშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმით

№ას-732-2021

30 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება (სარჩელში),
ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა (შეგებებული სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. მ-ძემ (შემდგომ – დედა, მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, აპელანტი,) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. შ-ძის (შემდგომ – მამა, მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, კასატორი) მიმართ და მოითხოვა ქორწინების შეწყვეტა და 2015 წლის 16 თებერვალს დაბადებული დ. შ-ძის (შემდგომ – ბავშვი, არასრულწლოვანი) ნორმალური რჩენა-აღზრდის ხელშეწყობის მიზნით, მოპასუხისათვის სარჩელის წარმოებაში მიღების დღიდან ალიმენტის – 200 ლარის დაკისრება.

მოპასუხის შესაგებელი

2. მოპასუხე დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას განქორწინების ნაწილში, ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდის მიზნით ყოველთვიურად 100 ლარის დაკისრების ნაწილში.

შეგებებული სარჩელი

3. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი წარადგინა მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვა, მიეცეს ნება, შეუზღუდავად ინახულოს შვილი კვირის სამუშაო დღეებში, საღამოს 18:00 საათიდან 21:00 საათამდე დროის შუალედში და ამავე პერიოდში, მოპასუხის წინასწარვე ინფორმირებით მოიკითხოს, თავისთან წაიყვანოს და უკანვე დააბრუნოს. ასევე, სამშაბათსა და ხუთშაბათს, 18:00 საათიდან მეორე დღის 11:00 საათამდე, ხოლო შაბათს, 11:00 საათიდან, კვირას, დღის 11:00 საათამდე, წაიყვანოს შვილი თავისთან სახლში. ამასთან, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების დროს, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ წაიყვანს შვილს კურორტზე, მამამ წაიყვანოს მოპასუხის

წინასწარვე ინფორმირებით, ორი კვირით დასასვენებლად და მხარეებს (იმისდა მიხედვით, რომელ მათგანსაც ეყოლება შვილი წაყვანილი) უფლება მიეცეთ, შეუზღუდავად ინახულონ შვილი.

მოპასუხის შესაგებელი

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას არასრულწლოვანი ბავშვის ნახვის დღეებთან დაკავშირებით. იგი წინააღმდეგია, ლამის თვეით წაიყვანოს მამამ ბავშვი, რადგან მიჯაჭვულია დედასთან და ფიქრობს, რომ არ ისურვებს მამასთან ლამით დარჩენას და შეექმნება ჯანმრთელობის პრობლემები.

მესამე პირის პოზიცია

5. მესამე პირმა – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და არასრულწლოვნის წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ სოციალური სამსახურის მიერ მოსარჩელებების საცხოვრებელი პირობების შეფასებისას, არ გამოიკვეთა მამის ბავშვთან ურთიერთობისათვის რაიმე ხელშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოება. ისინი მხარს უჭერენ სასარჩელო მოთხოვნას, მამამ არასრულწლოვანი ნახოს რამდენიმე საათით, არ გამოირიცხავს მამის მიერ ლამის თვეითაც ბავშვის წაყვანას. ბავშვს უყვარს ორივე მშობელი, უპირატესობას ანიჭებს დედას, მაგრამ მამასთანაც მიჯაჭვულია პოზიტიურად და მასთან თავს უცხოდ არ გრძნობს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეწყდა მხარეთა შორის სსგს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2014 წლის 3 ივლისის რეგისტრირებული ქორწინება, მოპასუხეს დაეკისრა მცირეწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად 120 ლარი სრულწლოვანებამდე, სარჩელის შეტანის დღიდან – 2019 წლის 8 იანვრიდან. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მამას მიეცა ნებართვა, დედის წინასწარვე ინფორმაციით, მოიკითხოს და თავისთან წაიყვანოს შვილი ყოველი კვირის სამშაბათსა და ხუთშაბათს, 18.00 საათიდან 21.00 საათამდე, ყოველი კვირის შაბათს წაიყვანოს თავისთან შვილი ლამის თვეით (შაბათის) დღის 11.00 საათიდან და დააბრუნოს მეორე დღის (კვირის) 11.00 საათამდე, ყოველ ზაფხულს წინასწარვე ინფორმაციითა და შეთანხმებით დედასთან წაიყვანოს შვილი დასასვენებლად 15 დღით (დედას ან მამას, რომელთაც იქნება ბავშვი დასასვენებლად) და მიეცეთ შეუზღუდავად ნახვის უფლება.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მამას მიეცა უფლება, ყოველი კვირის შაბათს წაიყვანოს თავისთან შვილი ლამის თევით, დილის 11:00 საათიდან და დააბრუნოს მეორე დღის (კვირას) 11:00 საათამდე, ასევე, მამას მიეცა უფლება, ყოველ ზაფხულში დედასთან, წინასწარვე ინფორმაციითა და შეთანხმებით წაეყვანა არასრულწლოვანი კურორტზე დასასვენებლად 15 დღით, როდესაც (დედას ან მამას, რომელთაც ეყოლებათ წაყვანილი ბავშვი დასასვენებლად) მიეცათ უფლება, შეუზღუდავად ინახულონ შვილი (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.1. პუნქტის მე-2 და მე-3 აბზაცი) და ამ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს დაევალა, გამოეყოს ფსიქოლოგი არასრულწლოვნის მამასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად; მშობელი, რომელთანაც იქნება ბავშვი, ვალდებულია, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრთან შეთანხმებით, უზრუნველყოს არასრულწლოვნის ვიზიტი ფსიქოლოგთან (არდადეგების პერიოდში ეს საკითხი გადაწყდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრთან შეთანხმებით, ბავშვის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით). კონსულტაციების ხანგრძლივობა/ინტენსივობა ფსიქოლოგმა განსაზღვროს; დედასა და მამას დაევალებათ, იქონიონ ინტენსიური ჩართულობა არასრულწლოვნის აღზრდის პროცესში მისი ფსიქოემოციური, სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

9. სააპელაციო პალატის მითითებით, სასამართლო განჩინების საფუძველზე კვლევის შედეგად ფსიქოლოგმა გამოავლინა, რომ ბავშვის მამასთან ურთიერთობის პროცესში იკვეთება პოზიტიური ემოციური კავშირი; ვინაიდან მამასთან ურთიერთობა ბავშვზე ახდენს დადებით გავლენას, იმ შემთხვევაში, თუ ეტაპობრივად დაიგეგმება მამის საცხოვრებელ სახლში ბავშვის წაყვანა და მის რეაქციებსა და დამოკიდებულებებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთება პოზიტიური დინამიკა, შესაძლებელია, მივიჩნიოთ, რომ დღე-ღამის განმავლობაში ბავშვის ყოფნა მამის საცხოვრებელ სახლში მასზე აისახება დადებითად; მკაფიოდ ვლინდება, რომ ბავშვი ამჟამად მამასთან არ არის გაუცხოებული. შეფასების პროცესში დაკვირვებისას, მამა-შვილს შორის ურთი-

ერთობაზე, არასრულწლოვანი არ ავლენდა გაუცხოებისათვის დამახასიათებელ ემოციებსა და ქცევებს, გადაჭარბებულად ნეგატიურ ემოციას, ზიზღს ან უარყოფას მამის მიმართ, თუმცა გამოიკვეთა ბავშვის დედისა და ბებიისადმი მოკავშირეობის ნიშნები და, თუ ის გარემოებები არ გაუმჯობესდება, რომლებიც აყალიბებს მოკავშირეობას, შესაძლებელია ბავშვმა, ასაკის მატებასთან ერთად უპირატესობა მიანიჭოს ერთ მშობელს და შეზღუდული კონტაქტი ამჯობინოს მეორე მშობელთან (მამასთან); მნიშვნელოვანია საქმეში ჩაერთოს სპეციალისტი (ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი) მამა-შვილს შორის ურთიერთობის პროცესის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიზნით.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლისა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლის განმარტებების თანახმად, სათანადო დაკვირვებისა და ფსიქოლოგის ჩართულობით, არ არიან წინააღმდეგი, არასრულწლოვანი ბავშვი დარჩეს მამასთან ღამის თევით. ისინი დაეთანხმნენ ფსიქოლოგის მოსაზრებას.

11. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მამის მიმართ ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების, მამასთან ურთიერთობით ბავშვზე დადებითი გავლენის გათვალისწინებით, საჭიროა მათი ურთიერთობის გაღრმავება. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში, განქორწინებული მშობლებისა და არასრულწლოვნის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით, უნდა გამოინახოს ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნაზე სწორი გადაწყვეტის საშუალება, უნდა დადგინდეს მეორე მშობლის ურთიერთობის წესი ბავშვის მიმართ, საკითხის გადანაცვეტისას უნდა გათვალისწინდეს სპეციალისტების – ბავშვის კანონიერი წარმომადგენლებისა და ფსიქოლოგების შეფასებები.

12. ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, იქონიოს მამასთან კონტაქტი ღამე დარჩენის უფლებით, მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, ბავშვის განმარტებების, მისი მამისადმი დამოკიდებულების, სოციალური სამსახურისა და ფსიქოლოგის დასკვნის გათვალისწინებით, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვთან მამის ურთიერთობის განსაზღვრა წინამდებარე გადაწყვეტილების მე-8 პუნქტში მითითებული წესით.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

13. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის ავტორმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების მოთხოვნით.

14. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-

ტილება სხვა არაფერია თუ არა მამისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფა. მნიშვნელოვანია, რომ მამის მიერ ბავშვის ნახვის დღეების თაობაზე შეგებებული სარჩელის აღძვრის შემდეგ დედამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მამის ნახვის დღეები, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, საერთოდ აკრძალა. გადაწყვეტილებით ცხადი გახდა რა, რომ მამის მიერ შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა, მათ შორის, ღამის თევის ნაწილში განაპირობა მამა-შვილის პოზიტიურმა ურთიერთდამოკიდებულებამ. ამის გამოსარიცხად და აღსაკვეთად ბავშვი მოექცა დედისა და ბებიის ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ, მამისაგან სრული დისტანცირებისა და იზოლაციის რეჟიმში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სამშაბათსა და ხუთშაბათს ბავშვის ნახვის ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა, მამას არ მიეცა ბავშვის ნახვის შესაძლებლობა არც ამ დღეებში, რის გამოც სოციალური სამსახურის მიერ დედის მიმართ გამოიცა აქტები შენიშვნებისა და დაჯარიმების სახით. ხელშეშლა დღემდე გრძელდება. სააპელაციო სასამართლოს ეს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს, არ შეუფასებია.

15. საქმის მასალებით დგინდება, რომ შეიცვალა ფაქტობრივი მდგომარეობა, დედა თავისი მშობლების საცხოვრებელი ადგილიდან – ოზურგეთიდან გადავიდა საცხოვრებლად თბილისში, სადაც დაქორწინდა და ჰყავს მეორე მკვლელე. დედისა და შვილის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, მამა თანახმა იყო, მორიგების ფარგლებში, შვილი თბილისში თავდაპირველად ღამის თევის გარეშე ენახა, ხოლო შემდგომ ფსიქოლოგის ჩართულობის შედეგად, მის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემისას, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, თბილისშივე წაეყვანა მამას ღამის თევით. დედამ ამ მორიგების პირობაზეც უარი განაცხადა. ამასთან, საყურადღებოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ბავშვის მამასთან ყოფნის მხოლოდ ღამის თევის ნაწილში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა შაბათის ნაწილში სრულად. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია სასამართლოს, დედის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ფონზე მამა-შვილის ურთიერთობის ეტაპობრივი გაუმჯობესება მხოლოდ სამუშაო დღეებში რომ მისცა მამას ნახვის უფლება, მამის მიერ ოზურგეთში საჯარო სამსახურის მიტოვების ხარჯზე.

16. სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული დამატებითი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დასტურდება პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას ჩართული ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის კვლევების/დასკვნების კვალიფიციურობა/დასაბუთებულობა, რაც მიუღებელი აღმოჩნდა დედისათვის. მან არაერთგზის იშუამ-

დგომლა ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის საქმიდან განრიდების თაობაზე.

17. ამდენად, სააპელაციო პალატამ საერთოდ არ შეაფასა ფსიქოლოგთა მიერ დადგენილი ბავშვზე ნეგატიური ზემოქმედება ბებიისა და დედისაგან, რათა დისტანცირებული და იზოლირებული გახდეს მამისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამ მცდელობისა, ფსიქოლოგიური დასკვნის კვლევითი ნაწილიდან აშკარად იკვეთება, რომ ბავშვი მამასთან კონტაქტის დაწყებისთანავე სრულად იცვლის ხასიათს და პოზიტიური ხდება.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, კასატორის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. წინამდებარე საქმეში კვლევის საგანს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენა და იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა იქნება ბავშვის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულფასოვანი წევრის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის სასარგებლო. ამ მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და საქართველოს შიდასაკანონმდებლო აქტებით აღიარებულ მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპზე შვილების მიმართ და ბავშვის უფლებაზე, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

21. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

22. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, სადაც განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებები, უპირატესობა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. *Elsholz v. Germany*, N25735/94, 31.07.2000, par. 52; *TK and KM v. UK*, №28945/95, 10.05.2001, პარ. 72. შდრ. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016).

23. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. იმავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სა-

დაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

24. პალატა განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობასაც მოიაზრებს და ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 1202-ე მუხლზე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები). ნორმა მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, უკრძალავს მეორე მშობელთან ურთიერთობის შეზღუდვას. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს არა მხოლოდ ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების უფლებების დაცვასა და პატივისცემას, არამედ ცალ-ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრებს შორის კავშირის შენარჩუნებას და ოჯახური გარემოს დაცვის ვალდებულებას ისეთ შემთხვევებშიც, როგორც ეს განსახილველ საქმეშია. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ოჯახური კავშირის აღდგენასა და განმტკიცებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესითაა განპირობებული. ოჯახის გაერთიანების ცნება გულისხმობს არა მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, არამედ მშობლისა და შვილის მჭიდრო კავშირს, რასაც ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლომ, თუკი არ იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგო წინაპირობა, რადგან მშობლისა და ბავშვის ინტერესთა ბალანსის დაცვის პროცესში, სწორედ ბავშვის ინტერესია ამოსავალი და სახელმძღვანელო სასამართლოსა და ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა ორგანოსათვის, რაც უმეტესწილად გადასწონის მშობლის ინტერესს. საკასაციო პალატა დეტალურად გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათი ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ ასეთი შეზღუდვის წინაპირობები საქმეში წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დასკვნისა თუ ფსიქოლოგთა შეფასებებით არ დასტურდება.

25. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების საფუძველზე ჩატარებული 24.11.2020 წლის ფსიქოლოგიური დასკვნის მიხედვით – „ბავშვი დედის ოჯახში მამასთან დაკავშირებით საუბრობდა უარყოფით კონტექსტში, არ მოიხსენიებდა როგორც მამას, ახსენებდა სახელით „გ-ი“. დ-ი ხშირად ამბობდა შემდეგ ფრაზას „გ-ი ბოროტია, მას წვერი აქვს და შავი მანქანა ჰყავს“. მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა, ბავშვმა რამდენჯერმე ახსენა, რომ გ-თან ერთად ის იყო პარკში და ითამაშეს, ახალ წელსაც საჩუქარი დაუტოვა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ დედის ოჯახში საკ-

მაოდ რთული იყო მამასთან დაკავშირებით ბევრი ინფორმაციის შეგროვება, რადგანაც ბებია ესწრებოდა ბავშვისა და მათი ურთიერთობის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ბებიას სთხოვეს მუშაობის პროცესში მარტო დაეტოვებინათ. მათი თხოვნის შესაბამისად, ბებია მცირე ხნით გადიოდა ოთახიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დ-მა მამასთან დაკავშირებული დადებითი მომენტები გაიხსენა მაშინ, როდესაც ოთახში იყვნენ მარტო“ მაშინ, როდესაც დასკვნის მიხედვითვე, „ბავშვისა და მამას შორის ურთიერთობებზე და ემოციურ რეაქციებზე დაკვირვებისას გამოვლინდა მამასა და შვილს შორის ძლიერი ემოციური სიახლოვის არსებობა, ბავშვი მამის მიმართ ავლენდა პოზიტიური ემოციების გამომხატველ ემოციურ და ქცევით რეაქციებს. აღსანიშნავია, რომ ბავშვისა და მამის ურთიერთობაზე დაკვირვება მოხდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე „მაკდონალდის“ რესტორანში, რომელიც ბავშვისათვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია და შეხვედრას ასევე ესწრებოდა ბავშვის დედა – მ. მ-ძე. „მაკდონალდსში“ ყოფნისას ფსიქოლოგის მიერ წინასწარ მოხდა ბავშვის ინფორმირება, რომ ცოტა ხანში მამაც მოვიდოდა მათთან და ერთად ითამაშებდნენ. ამაზე ბავშვის რეაქცია იყო ისევე ამბივალენტური – ერთდროულად გამოხატა სიხარული პირველ წამებში და შემდეგ მალევე უპასუხა, რომ „მე მხოლოდ ერთი მამა მყავს და გ-ს წვერი აქვს“ – მამად ის მოიხსენიებდა დედის ახალ მეუღლეს. როდესაც მამა მოვიდა, დაჯდა ბავშვის გვერდით, დ-ი სავარძლის მეორე კუთხეში მიიწია, თუმცა უარყოფითი რეაქციები არ გამოუხატავს მამის მიმართ. შეწყვიტა იმ საჭმლის ჭამა, რომელსაც მანამდე მოუთმენლად ელოდებოდა და აკვირდებოდა მამას, მაგრამ თვალებში არ უყურებდა. როდესაც მამამ ამოალაგა სათამაშოები, ბავშვმაც დაიწყო მასთან ერთად თამაში და პერიოდულად უყურებდა მის წინ მჯდომ დედას. მას შემდეგ, რაც დედა გადაჯდა სხვაგან, ბავშვმა დაიწყო მამასთან საუბარი, უსვამდა კითხვებს, სთხოვდა დახმარებას, თამაშის პროცესში იმეორებდა მამის ქცევებს, სათამაშოსთან დაკავშირებით უყვებოდა სხვადასხვა ამბავს და მსჯელობდნენ სათამაშოს აწყობაზე. პირველ ეტაპზე დ-ი მამას არ უყურებდა თვალებში და არ ეძახდა „მამას“, მიმართავდა „შენ“ ფორმით, თუმცა თვითონ აქტიურად ითხოვდა მამის ყურადღებას, აჩვენებდა და უყვებოდა რა გააკეთა. ეძებდა მათ (მამა-შვილი) შორის საერთო დეტალებს – აღნიშნა, რომ ორივეს ერთნაირი პერანგები ეცვათ, გაიკეთეს ერთნაირი სამაჯურები სათამაშოს დეტალისაგან, რაც ძალიან მოეწონა დ-ს და ფსიქოლოგსაც გაუზიარა „ნახე ერთნაირი გვაქვს“. დ-ი თანდათან ამცირებდა მანძილს მამასა და მას შორის და იწეოდა უფრო ახლოს მამისკენ. თამაშის დროს იყო ძალიან ლალი, მხიარული – იცინოდნენ ხმამაღლა, ეფერებოდა წვერზე (მანამდე დ-ი ხშირად აღნიშნავდა, რომ „გ-ს წვერი აქვს და ბოროტია“). მამის

მოსვლიდან 40 წუთის შემდეგ, ბავშვმა იკითხა, სად იყო დედა, მამამ აჩვენა, რომ იქით იჯდა და საუბრობდა. ამის შემდეგ დ-მა მამას სთხოვა – „ვერ ვწვდები აქ რომ დავხატო, ფეხზე დამისვი“. სთხოვდა მამას ერთად დაეხატათ, გაიხსენეს ადრე როგორ ხატავდნენ ერთად და მამამ რომ ასწავლა გაფერადება („ხო მახსოვს, აი ასე, რომ მასწავლე“). ბოლოს, დ-ი გ-ს მიმართავდა, როგორც „მამა“. შეხვედრის დასასრულის კენ-დ-მა სთხოვა მამას წასულიყვნენ მალაზიაში რალაც ნივთის საყიდლად. მამის კომენტარზე, რომ ამისთვის დედის ნებართვა დასჭირდებოდათ, ბავშვმა უარი განაცხადა დედისთვის ნებართვის თხოვნაზე და მოითხოვდა დაუყოვნებლივ წასვლას. მას შემდეგ, რაც გ-მა ბავშვის დედისგან აიღო წაყვანის ნებართვა, ისინი გამოვიდნენ შენობიდან რადროსაც დ-მა მამას სთხოვა ხელში აყვანა. ეზოში გამოსვლის შემდეგ გაიქცა და ჩაჯდა მამის მანქანაში დედასთან დალაპარაკების გარეშე“. კითხვაზე – რა გავლენას მოახდენს არასრულწლოვანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე მისი ღამის თევით (კვირაში ერთი ან ორი დღით, ასევე 15 დღით არდადეგებზე) მამასთან დარჩენა და არის თუ არა ეს შესაძლებელი? – ფსიქოლოგმა უპასუხა, რომ – მამისა და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მამა-შვილს შორის 3-საათიანი შეხვედრის დროს ნათლად გამოჩნდა ის პოზიტიური ურთიერთობა, რაც მამის გადმოცემით, მათ ჰქონდათ ერთმანეთთან წარსულში. ბავშვი მამასთან თავს ძალიან კარგად გრძნობდა, იყო ლალი და მზიარული, ძალიან კომინიკაბელური და მათი თამაშიც იყო მრავალფეროვანი. მამასთან დ-ს დასწავლილი აქვს თამაშის სწორი ფორმა და ის გაზიარება-დალოდებისა და ზოგადი კომინიუკაციის სირთულეები, რაც მათთან თამაშის პროცესში გამოვლინდა დედის ოჯახში ბავშვის ნახვის დროს, მამასთან არ გამოკვეთილა. პირიქით, დ-მა გამოავლინა თამაშის ძალიან კარგი უნარები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ წარსულში ჰქონდათ საკმაოდ პოზიტიური კავშირი და კარგი თამაშის ისტორია. ეს ურთიერთობა ნათლად ჩანდა მამის მიერ გაზიარებულ ფოტო-ვიდეო მასალაშიც. რაც შეეხება ბავშვის წაყვანას მამის საცხოვრებელ სახლში ღამის თევით, ამასთან დაკავშირებით დედა ფიქრობს, რომ ბავშვი მის გარეშე ღამე ვერ დარჩება, ინერვიულებს და ცუდად იქნება. ბავშვის მამის განცხადებით, იგი მზად არის ნებისმიერ მომენტში, როდესაც ბავშვი იტყვის, რომ დედასთან უნდა, დააბრუნოს დედის ოჯახში (ამ ეტაპზე ამის შესრულება შეუძლებელია, ვინაიდან ბავშვისა და დედის საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა). ამ საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია შემთხვევის ამჟამინდელი მოცემულობა და აუცილებელია ეტაპობრივად მოხდეს ბავშვის მამის საცხოვრებელ სახლში წაყვანა, საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია, მამამ და შვილმა ერთად გაატარონ რამდენიმე საათი, შემდეგ

ნელ-ნელა გაიზარდოს დრო, მთელი დღით, მერე ერთი ღამით და ა.შ. თითოეული ეტაპის ხანგრძლივობის უნდა განისაზღვროს ბავშვის რეაქციებზე და დამოკიდებულებებზე დაკვირვების საფუძველზე სპეციალისტის მიერ. “ არის თუ არა არასრულწლოვანი გაუცხოებული რომელიმე მშობლის მიმართ, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში მითითებულ იქნეს მიზეზი და მისი აღმოფხვრის გზები (შესაძლებლობები): – შეფასების დროს დაკვირვებისას ბავშვი არ ავლენდა არცერთი მშობლის მიმართ გაუცხოებული ბავშვისათვის დამახასიათებელ ემოციებსა და ქცევებს – გადაჭარბებულად ნეგატიურ ემოციას, ზიზღს ან უარყოფას მშობლების მიმართ. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინის – „გაუცხოებული ბავშვის“ განმარტება ასეთია: გაუცხოებული ბავშვი გულისხმობს ბავშვს, რომელიც ჭარბად და შეუპოვრად გამოხატავს ზედმეტად ნეგატიურ გრძნობებსა და რწმენას, როგორიცაა: ბრაზი, სიძულვილი, უარყოფა, ან/და შიში მშობლების მიმართ, რაც პროპორციულად მნიშვნელოვნად არ შეესაბამება ბავშვის ან მშობელთან რეალურ გამოცდილებას. – ამის საპირისპიროდ, ბავშვი არა ვერბალურად, „სხეულის ენით“ გამოხატავდა პოზიტიურ ემოციებს, სიყვარულს, სიხარულს – ილიმოდა, უცინოდა, ეხუტებოდა როგორც დედას, ასევე – მამას. ბავშვი მუდმივად ცდილობდა, დედის გვერდით ყოფნას. მამისადმი პოზიტიური დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოიხატებოდა თამაშის პროცესში – სთხოვდა სხვადასხვა თამაშებში დახმარებას. ჰყვებოდა მამასთან დაკავშირებით მისთვის სასიამოვნო შეხვედრების შესახებ. ინტერვიუს დროს, ბავშვის დედა ბევრს საუბრობს დ-ის აღზრდისა და მისი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის საკითხებზე, ძირითადად, სწორედ ამაზე დაყრდნობით არ ემხრობა მამის ოჯახში ბავშვის ხანგრძლივი დროით ყოფნას, ვინაიდან მისი გადმოცემით, მამის გარემოში ბავშვის პოზიტიური აღზრდა ვერ ხერხდება, თუმცა მისი საქციელი და საერთო ტენდენცია საოჯახო დავის ირგვლივ ბავშვის აღზრდისა და მისი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პროცესის უზრუნველყოფის მხრივ შეიცავს ამ პროცესის დამაბრკოლებელ ელფერს“. დასკვნის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვთან ვლინდება მამასთან ურთიერთობის პროცესში პოზიტიური ემოციური კავშირი, მამასთან ურთიერთობა ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. ამკარაა, რომ ბავშვი ამჟამად მამასთან მიმართებით არ არის გაუცხოებული. შეფასების პროცესში დაკვირვებისას მამა-შვილს შორის ურთიერთობაზე, ბავშვი არ ავლენდა გაუცხოებული ბავშვისათვის დამახასიათებელ ემოციებსა და ქცევებს, გადაჭარბებულად ნეგატიურ ემოციას, ზიზღს ან უარყოფას მამის მიმართ, თუმცა ვლინდება ბავშვის დედისა და ბებულისადმი მოკავშირეობის ნიშნები და, თუ ის გარემოებები არ გაუმჯობესდება, რომლებიც აყალიბებს მოკავ-

შირობას, შესაძლებელია ბავშვმა, ასაკის მატებასთან ერთად უპირატესობა მიანიჭოს ერთ მშობელს და შეზღუდული კონტაქტი ამჯობინოს მეორე მშობელთან (მამასთან). სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბავშვს ორივე მშობელთან უნდა ჰქონდეს თანაბარი ურთიერთობა და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ კვირაში ორი დღე, სამ-სამი საათით ურთიერთობა არ იქნება საკმარისი მამისა და შვილის ურთიერთობის შენარჩუნებისათვის.

26. მითითებული დასკვნის შეფასებისას პალატა ითვალისწინებს კასატორის იმ პრეტენზიასაც, რომ ბავშვის დედა, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, მამას ხელს უშლიდა ბავშვთან ურთიერთობაში სასამართლოს მიერ მინიჭებული საათების განმავლობაშიც (ეს მტკიცება გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით). შესაბამისად, მამა-შვილის შეზღუდული კომუნიკაციის ფონზე, მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის შედეგად არასრულწლოვნის ემოციური დამოკიდებულების თაობაზე რეალური დასკვნის გამოტანა არასაკმარისია. ამიტომ, საკასაციო პალატა ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ დასკვნებსაც, რომლითაც დგინდება, რომ არასრულწლოვანს ორივე მშობლის ოჯახში შექმნილი აქვთ ნორმალური საცხოვრებელი პირობები და ორივე შემთხვევაში, შექმნილია არასრულწლოვანთათვის კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო. არ გამოვლენილა მამასთან ურთიერთობის ხელისშემშლელი გარემოება, რამაც შესაძლოა, ცუდი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე, მათ შორის, ღამის თევით დარჩენის შემთხვევაშიც.

27. გასათვალისწინებელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენლისა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლის განმარტებები, რომელთა თანახმადაც, არ არიან წინააღმდეგი, არასრულწლოვანი ბავშვი დარჩეს მამასთან ღამის თევით, თუმცა სანყის ეტაპზე ეს შესაძლებელია რამდენიმე კვირაში ერთხელ. აქვე საკასაციო პალატა მიუთითებს მამის მზაობაზე, ბავშვის სურვილის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დააბრუნოს იგი დედასთან.

28. შეგებებული სარჩელის მოპასუხე თავის პრეტენზიას ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მიკერძოებულობასა და არაობიექტურობას აფუძნებდა, რაც არ არის გამყარებული არცერთი დამაჯერებელი არგუმენტითა თუ მტკიცებულებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 1200-ე მუხლის დისპოზიციაზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ბავშვის აღზრდის საკითხზე მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს

ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როლის საკანონმდებლო ალიარების სწორი აღქმა ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება, დამოკიდებული იყოს სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. პალატა მიიჩნევს, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ დაკისრებული მოვალეობანი შეასრულა, ეფექტიანად გაწია სათანადო სამუშაო დასახული მიზნის მიღწევისათვის.

29. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამგვარ დავებზე შეძლებისდაგვარად უნდა გათვალისწინდეს სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მამასა და შვილს შორის პოზიტიური ურთიერთობაა, ბავშვი მამის მიმართ გამოხატავს დადებით ემოციას, სურს მასთან ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვისას არასრულწლოვანმა თანხმობა განაცხადა მამასთან ლამით დარჩენაზე. ფსიქოლოგის რეკომენდაციაც მამასა და შვილს შორის ხშირი კავშირის აუცილებლობაზე მიუთითებს. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარე წარმომადგენელი საკასაციო შესაგებლითაც დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა ჰქონდეს მამას შვილთან ურთიერთობა იმაზე შეზღუდული დროით, ვიდრე ეს პირველი ინსტაციის სასამართლომ დაადგინა. დედა ვერ ასახელებს მამის მხრიდან მშობლის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შესახებ ვერცერთ დამაჯერებელ არგუმენტს.

30. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვთან კონტაქტის უფლება მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს, არათუ უნარჩუნდება, არამედ ის ვალდებულიცაა, ეფექტური და შეძლებისდაგვარად რეგულარული ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან. რასაკვირველია, ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, პირველ რიგში, უნდა გათვალისწინდეს ბავშვის ინტერესები, რომელიც ორ ასპექტს გულისხმობს: ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებია, რომ განვითარდეს ჯანსაღ გარემოში და მშობელს არ მიეცეს ისეთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობასა და განვითარებას; მეორე მხრივ, ცხადია, ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შენარჩუნდეს მისი კავ-

შირი მამასთან, რათა გაძლიერდეს მამის როლი და მისი აქტიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებაში. შესაბამისად, თუ არ არსებობს საგამონაკლისო გარემოება, მოსარჩელეს ბავშვის თავისთან დროებით წაყვანის უფლება არ უნდა შეეზღუდოს (იხ. სუსგ საქმე №ას-63-59-2017, 13.11.2018წ.; №ას-440-2020, 13.04.2021წ.).

31. ამასთან, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დედა ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს მამა-შვილის ურთიერთობას, პირიქით, ხელი შეუწყოს მათ იმგვარი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ჰარმონიულ აღზრდა-განვითარებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ მცირეწლოვანს დადებით ემოციებს ანიჭებს მამასთან ურთიერთობა და ამას ხელშეწყობა და მოფრთხილება სჭირდება, რაც არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ევალება კასატორს, არამედ იგი ზნეობრივადაც ვალდებულია – საკუთარი შვილის საუკეთესო ინტერესებისათვის. მეორე მხრივ კი, სწორედ კასატორზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მართებულად გამოიყენებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ წესს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობაში, იზრუნებს ოჯახური კავშირის გამყარებაზე ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის გათვალისწინებით.

32. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე გადაწყვეტილებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სსკ-ის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავალსიმომცველ უფლებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს (იხ. „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). შესაბამისად, უკიდურესი და გამოწკმელის შემთხვევების გარდა, თითოეული მშობლის მიერ ნახალისებული უნდა იყოს ბავშვის მეორე მშობელთან ურთიერთობა, ვინაიდან ბავშვის სრულყოფილი აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

33. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის დარღვევა, როდესაც მომჩივანს არ მიეცა შვილთან ურთიერთობის საშუალება, მაგ: ევროსასამართლომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მომჩივნის, კონკრეტულ შემთხვევაში – მამის უფლება უზრუნველყოფილიყო, რომ ენახა საკუთარი ვაჟი იძულებითი აღსრულების გზით, რადგან დედამ უარი განაცხადა მანამდე მშობლებს შორის მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე (Zawadka v. Poland, No.48542/99, 23.06.05). ერთ-ერთ საქმეზე მე-8 მუხ-

ლის დარღვევა დადგინდა იმის გამო, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მომჩივნის (მამის) უფლების აღსრულება (*Eberhard v. Slovenia*, No.8673/05 and 9733/05, 01.12.09).

34. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა – არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე ქმნის ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეუელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. სსკ-ის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი

გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი ქმნის ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმის უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ.; №ას-159-149-2017, 31.07.2017.; №ას-1323-2023, 7.02.2024წ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებელია და უნდა დაკმაყოფილდეს.

35. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მამას მიეცეს ნებართვა, დედის წინასწარი ინფორმაციით მოიკითხოს და თავისთან წაიყვანოს შვილი ყოველი კვირის სამშაბათსა და ხუთშაბათს, 18.00 საათიდან 21.00 საათამდე და ყოველი კვირის შაბათს, დილის 11.00 საათიდან და დაბრუნოს მეორე დღის (კვირის) 11.00 საათამდე; მამას მიეცეს უფლება, ყოველ ზაფხულს, დედასთან წინასწარვე ინფორმაციითა და შეთანხმებით, წაიყვანოს შვილი კურორტზე (საქართველოში) დასასვენებლად 15 დღით, როდესაც (მშობელი, რომელთანაც იქნება ბავშვი დასასვენებლად) მიეცეთ უფლება, შეუზღუდავად ინახულონ შვილი.

36. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე

განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. განსახილველ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს უნდა დაეკისროს კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. შ-ძეს მიეცეს ნებართვა, მ. მ-ძის წინასწარი ინფორმაციით მოიკითხოს და თავისთან წაიყვანოს შვილი – დ. შ-ძე (პ/ნ ..., დაბადებული 2015 წლის 16 თებერვალს) ყოველი კვირის სამშაბათსა და ხუთშაბათს, 18.00 საათიდან 21.00 საათამდე და ყოველი კვირის შაბათს, დილის 11.00 საათიდან და დააბრუნოს მეორე დღის (კვირის) 11.00 საათამდე;
4. გ. შ-ძეს მიეცეს უფლება, ყოველ ზაფხულს, მ. მ-ძესთან წინასწარვე ინფორმაციითა და შეთანხმებით, წაიყვანოს შვილი – დ. შ-ძე კურორტზე (საქართველოში) დასასვენებლად 15 დღით, როდესაც (მ. მ-ძეს ან გ. შ-ძეს, რომელთანაც იქნება ბავშვი დასასვენებლად) მიეცეთ უფლება, შეუზღუდავად ინახულონ შვილი – დ. შ-ძე;
5. მ. მ-ძეს დაეკისროს 300 ლარის გადახდა გ. შ-ძის სასარგებლოდ;
6. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. მშობლების საალიმენტო მოვალეობანი

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-623-2025

18 სექტემბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის

შემადგენლობა: გ. ჯეირანაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება, მშობლის უფლების შეზღუდვა (სარჩელში), არასრულწლოვან ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ნ-ვ-ძემ (შემდეგში – ძირითადი სარჩელით მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გ. ვ-ძის (შემდეგში – ძირითადი სარჩელით მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, კასატორი) მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. გ. ვ-ძეს არასრულწლოვანი შვილის – 2021 წლის 24 მაისს დაბადებული თ. ვ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობით;

1.2. გ. ვ-ძეს არასრულწლოვან შვილთან – თ. ვ-ძესთან მიმართებით, შეეზღუდოს მშობლის წარმომადგენლობითი უფლება.

2. ძირითადი სარჩელით მოპასუხემ სარჩელი ცნო ნაწილობრივ; კერძოდ, იგი დაეთანხმა ალიმენტის დაკისრების თაობაზე წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნას 200 ლარის ფარგლებში, ხოლო, მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის ნაწილში, სარჩელი არ ცნო.

3. გ. ვ-ძემ მ. ნ-ვ-ძის მიმართ, შეგებებული სარჩელი წარადგინა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

3.1. არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის, განესაზღვროს შემდეგი დღეები და საათები: ყოველი კვირის შაბათი და კვირა დღე – 10:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე, ბავშვის ნაცვანის უფლებით; ყოველი წლის გამოტოვებით, დაბადების დღე, ახალი წელი, აღდგომა,

26 მაისი და 01 ივნისი, დილის 10:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე; ასევე ყოველი წლის 12 ოქტომბერი, დილის 10:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე; ყოველ ზამთარს, 05 იანვრიდან 20 იანვრამდე პერიოდი, ასევე, ყოველი ზაფხულს, 05 აგვისტოდან 20 აგვისტომდე პერიოდი.

4. ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნა გ. ვ-ძესთან ერთად წარმოდგენილი აქვს მ. ვ-ძეს (არასრულწლოვნის ბებიას).

5. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ შეგებებული სარჩელი ცნო ნაწილობრივ; კერძოდ, შეგებებული სარჩელით მოპასუხე თანახმაა, მამასა და ბებიას შვილიშვილთან ურთიერთობა ჰქონდეთ ბავშვის ჩვეულებრივი რეჟიმის დარღვევის გარეშე, ყოველი კვირის პარასკევს – 12:00 საათიდან 15:00 საათამდე დროის მონაკვეთში, დედის, მ. ნ-ვ-ძის ან მხარეთა შეთანხმებით, გარეშე პირის თანდასწრებით, თბილისის „... მოლში“ ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე – პარკში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლის მონაწილეობითა და დაკვირვებით.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, მ. ნ-ვ-ძის სარჩელი გ. ვ-ძის მიმართ, ალიმენტის დაკისრებისა და მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. ვ-ძეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრიდან – 2022 წლის 11 იანვრიდან მის სრულწლოვანებამდე; გ. ვ-ძეს არასრულწლოვან შვილთან – თ. ვ-ძესთან მიმართებით, შეეზღუდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება მისი მკურნალობის, პირადობის მონმობისა და პასპორტის აღების, ასევე სახელმწიფო დანესებულებებთან წარმომადგენლობითი ფუნქციის განსახორციელებლად. დანარჩენ ნაწილში მ. ნ-ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გ. ვ-ძის შეგებებული სარჩელი მ. ნ-ვ-ძის მიმართ, ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ვ-ძის სარჩელი მ. ნ-ვ-ძის მიმართ შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ. ვ-ძეს არასრულწლოვან შვილთან, ხოლო მ. ვ-ძეს არასრულწლოვან შვილიშვილთან ურთიერთობისათვის, 4 წლის ასაკამდე, ბავშვის ჩვეულებრივი რეჟიმის დარღვევის გარეშე, ერთად ან ცალ-ცალკე განესაზღვრათ ყოველი კვირის პარასკევს – 12:00 საათიდან 15:00 საათამდე, ასევე შაბათს – 12:00 საათიდან 15:00 საათამდე დროის მონაკვეთი, დედის, მ. ნ-ვ-ძის ან მხარეთა შეთანხმებით, გარეშე პირის თანდასწრებით, თბილისის „... მოლში“ ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკში, ან მხარეთა შეთანხმებით სხვა ადგილ-

ზე; 4 წლის ასაკის შესრულების შემდეგ, მხოლოდ ბავშვის მამასთან და ბებიასთან მიჯაჭვულობის გაჩენის შემთხვევაში, გ. ვ-ძესა და მ. ვ-ძეს (ერთად ან ცალ-ცალკე) არასრულწლოვან თ. ვ-ძესთან ურთიერთობისათვის განესაზღვრათ – ყოველი კვირის პარასკევს და შაბათს – 12:00 საათიდან 18:00 საათამდე დროის მონაკვეთი მათ საცხოვრებელ ადგილას წაყვანისა და დედასთან დაბრუნების ვალდებულებით. დანარჩენ ნაწილში გ. ვ-ძის და მ. ვ-ძის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

6.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. გ. ვ-ძე და მ. ნ. 2020 წლის 04 სექტემბრიდან იმყოფებოდნენ ქორწინებაში. მხარეებს თანაცხოვრებისას შეეძინათ ერთი შვილი – 2021 წლის 24 მაისს დაბადებული თ. ვ-ძე.

6.1.2. მხარეები 2021 წლის 01 ივნისიდან აღარ ცხოვრობენ ერთ ოჯახად. მხარეთა შორის ქორწინება შეწყვეტილია 2022 წლის 25 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.1.3. არასრულწლოვანი თ. ვ-ძე დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს მოსარჩელესთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილებით, თ. ვ-ძის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – მ. ნ-ს საცხოვრებელი ადგილი.

6.1.4. მხარეებს შორის კონფლიქტური დამოკიდებულებაა, ისინი ვერ თანხმდებიან არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საკითხებზე. გ. ვ-ძის მიმართ, 2022 წლის 05 ნოემბერს გაცემულ იქნა შემაკავებელი ორდერი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გ. ვ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს შსს პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მე-5 სამმართველოს მართლწესრიგის ოფიცრის მიერ, 2022 წლის 5 ნოემბერს გამოცემული №028340 შემაკავებელი ორდერი გაუქმდა ეკონომიკური ძალადობის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა შემაკავებელი ორდერი ფსიქოლოგიური ძალადობის ნაწილში.

6.1.5. მ. ვ-ძე არის გ. ვ-ძის დედა და არასრულწლოვანი თ. ვ-ძის ბებია. მ. ვ-ძე პერიოდულად იძენს შვილიშვილისთვის სამოსს და შესაბამის სააფთიაქო საკვებს, მოსარჩელის მითითებით.

6.1.6. მ. ნ. დასაქმებულია და იღებს შემოსავალს ყოველთვიურად დაახლოებით 1500-2000 ლარის ოდენობით.

6.1.7. გ. ვ-ძე და მ. ვ-ძე არ არიან ნასამართლევნი და არ იმყოფებიან ქებნაში.

6.1.8. გ. ვ-ძემ წარმომადგენლის მეშვეობით, მ. ნ-ის 2022 წლის აგვისტოს თვეში ჩაურიცხა 150 ლარი; მოგვიანებით, მოპასუხემ მოსარ-

ჩელეს ჩაურიცხა ასევე 200 ლარი.

6.1.9. სასამართლომ რამდენჯერმე შეცვალა 2022 წლის 29 სექტემბრის დროებითი განკარგულება მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 15 მარტის დროებითი განკარგულებით, გ. ვ-ძეს და მ. ვ-ძეს მიეცათ უფლება, იქონიონ ურთიერთობა არასრულწლოვან თ. ვ-ძესთან (დაბ.: 24.05.2021წ.) ბავშვის ჩვეული რეჟიმის დარღვევის გარეშე, ყოველი კვირის პარასკევს – 12:00 საათიდან 15:00 საათამდე დროის მონაკვეთში, დედის, მ. ნ-ვ-ძის ან მხარეთა შეთანხმებით გარეშე პირის თანდასწრებით, თბილისის ... მოლში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლის მონაწილეობითა და დაკვირვებით. სააგენტოს წარმომადგენელი შეხვედრას დაესწრო პირველ ორ პარასკევს. დროებითი განკარგულებების აღსრულების პირველი ეტაპი მიმდინარეობდა კონფლიქტურად, თუმცა, ბოლო დროებითი განკარგულების ფარგლებში, მხარეები ცდილობდნენ მშვიდად წარემართათ კომუნიკაცია არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

6.2.1. გ. ვ-ძე დასაქმებულია ფიტნეს-ინსტრუქტორად, ჰყავს მონაწილეები და აქვს შემოსავალი. მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებისა და მონშის სახით დაკითხული პირის ჩვენების ერთობლიობაში, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების შედეგად, ასევე, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მოპასუხე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია მოპასუხის განმარტება მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერ შეაფასებდა ავტომანქანისა და უძრავი ქონების მოპასუხისათვის კუთვნილების ფაქტს, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა ამ თვალსაზრისით არ იყო ფორმულირებული, თუმცაღა, მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა, რომ მოპასუხის მითითება მისი შემოსავლების შესახებ, არ ასახავდა რეალობას იმდენად, რამდენადაც მძიმე ფინანსური მდგომარეობის პირობებში, თუნდაც მანქანით გადასაადგილებლად მისი საწვავით უზრუნველყოფა, ასევე ძვირადღირებული ტელეფონით სარგებლობა 500 ლარიანი შემოსავლის პირობებში, ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო.

6.3. ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება:

6.3.1. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 31.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე-1999-ე,

1200-ე, 1202-ე, 1203-ე, 1205-ე, 1212-ე, 1214-ე, 1234-ე, 1237-ე, ასევე, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის 27-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 208-ე მუხლებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა.

6.3.2. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, სასამართლო დაეთანხმა მოპასუხეს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ალიმენტი არ იყო დასაბუთებული ბავშვის ინტერესებით. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მშობელი, რომელიც ითხოვდა ალიმენტის დაკისრებას 1000 ლარის ოდენობით, არ თავისუფლდებოდა თავისი წილი მტკიცების ტვირთისაგან და უნდა დაედგინებინა ის გარემოება, რომ ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის საჭირო ხარჯი სულ მცირე, თვეში 2000 ლარს შეადგენდა, რამეთუ მშობლები თანაბრად იყვნენ ვალდებული ეზრუნათ შვილზე. სასამართლოს განმარტებით, ძირითადი სარჩელით მოსარჩელეს არასრულწლოვნის განსაკუთრებულ საჭიროებებზე არ მიუთითებია და მარტოოდენ ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლა, მაშინ, როცა ბავშვისათვის ადეკვატური, აუცილებელი ხარჯის ზღვარს ზემოთ საჭიროება შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც მოპასუხემ სარჩელი ცნო 200 ლარის ოდენობით, აღნიშნული სასამართლომ სსსკ-ის მე-3 და 208-ე მუხლების შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძვლად მიიჩნია, თუმცა, იმავდროულად, განმარტა, რომ ძირითადი სარჩელით მოპასუხის მიერ მითითებული ალიმენტის ოდენობა ბავშვის მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფდა. არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების, მისი ასაკის, მოთხოვნილებების, მშობლის მატერიალური მდგომარეობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ალიმენტის გონივრულ და სამართლიან ოდენობად, სასამართლომ მიიჩნია 500 ლარი.

6.3.3. არასრულწლოვანი ბავშვის პირადობის მოწმობისა და პასპორტი ალების ნაწილში, მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საკითხთან მიმართებით, სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ ბავშვი ცხოვრობდა და იზრდებოდა ძირითადად დედასთან. შესაბამისად, გასაზიარებელი იყო დედის სურვილი, თან ჰყოლოდა არასრულწლოვანი თუკი მას ქვეყნის დატოვება მოუწევდა. საყურადღებოდ მიიჩნია სასამართლომ ის გარემოებაც, რომ მოპასუხის განმარტებები არ გამოორიცხავდა ქვეყნის დატოვების ალბათობას. ამასთან, არსებითი შედავება ამ საკითხზე მოპასუხეს არ ჰქონდა განხორ-

ციელებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო, თავად მოსარჩელეს შეზღუდვოდა თავისუფალი განვითარების, დასვენების, გადაადგილების უფლება, ხოლო რამდენადაც არასრულწლოვანზე უმეტესად სწორედ დედა ზრუნავდა, სხვაგვარი გადანყვებილების გამოტანის შემთხვევაში, მოსარჩელეს მოუწევდა, თავადაც დარჩენილიყო ქვეყანაში ან ბავშვი დაეტოვებინა სხვა პირთან. არასრულწლოვანის ქვეყნიდან გასვლის სანაღმდეგო რაიმე მტკიცებულება, ან გარემოება მოპასუხეს არ ჰქონდა მითითებული და ზოგადი შედავებით შემოიფარგლა, რაც არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საფუძვლიანად. რაც შეეხება, მშობლის უფლების შეზღუდვას სამედიცინო, მკურნალობის, დაზღვევისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ბავშვის მშობლებს შორის ურთიერთობა ამ ეტაპზე დაძაბული იყო, ისინი დროებითი განკარგულების აღსრულებასაც ვერ ახერხებდნენ სოციალური მუშაკის ჩართულობისა და „ზედამხედველობის“ გარეშე; უჭირდათ ერთმანეთთან კომუნიკაცია თუნდაც ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, არსებობდა იმის გონივრული მოლოდინი, რომ მათი შეუთანხმებლობა დააზიანებდა თ. ვ-ძის ინტერესებს მისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სწავლის, შესაბამისი საბავშვო ბაღის არჩევის კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, სამომავლო დავის პრევენციის მიზნით, რისი გონივრული მოლოდინიც არსებობდა მხარეებს შორის გამწვავებული კონფლიქტის ფონზე, მოპასუხეს ნაწილობრივ შეზღუდვოდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანის მიმართ მისი მკურნალობის, პირადობის მოწმობისა და პასპორტის აღების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებთან წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ნაწილში.

6.3.4. რაც შეეხება არასრულწლოვანთან ურთიერთობის დადგენის შესახებ ინიცირებულ შეგებებულ სარჩელს, სასამართლომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანი თ. ვ-ძე მცირე ასაკის იყო, უჭირდა დედის გარეშე ყოფნა და არ იყო ჩამოყალიბებული სანდო მიჯაჭვულობა ბავშვსა და მამას შორის, გ. ვ-ძესა და მ. ვ-ძეს (ერთად ან ცალცალკე) არასრულწლოვანთან ურთიერთობისათვის განესაზღვრათ 4 წლის ასაკამდე, ბავშვის ჩვეული რეჟიმის დარღვევის გარეშე, ერთად ან ცალ-ცალკე, ყოველი კვირის პარასკევს – 12:00 საათიდან 15:00 საათამდე, ასევე შაბათს – 12:00 საათიდან 15 საათამდე დროის მონაკვეთი, დედის, მ. ნ-ვ-ძის ან მხარეთა შეთანხმებით გარეშე პირის თანდასწრებით, თბილისის ... მოლში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკში, ან მხარეთა შეთანხმებით სხვა ადგილზე. 4 წლის ასაკის შემდეგ კი, მხოლოდ ბავშვის მამასთან და ბებიასთან მიჯაჭვულობის გაჩენის შემ-

თხვევაში, ყოველი კვირის პარასკევს და შაბათს – 12:00 საათიდან 18:00 საათამდე დროის მონაკვეთი მათ საცხოვრებელ ადგილას წაყვანისა და დედასთან დაბრუნების ვალდებულებით. რაც შეეხება ღამე დარჩენის უფლებასა და ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში ურთიერთობას, სასამართლომ ამ ეტაპზე აღნიშნულ ნაწილში შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მიზანშეუწონლად მიიჩნია, იმდენად, რამდენადაც ბავშვი მცირე ასაკის იყო. ასევე, მამას არ ჰქონდა ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილება და მხოლოდ სასამართლოს განჩინების ფარგლებში დაიწყო მამა-შვილის ურთიერთობის აღდგენის პროცესი (რაც მიუხედავად სასამართლოს მხრიდან არაერთი რეკომენდაციისა, მცდელობისა, რომ მშობლებს შორის ურთიერთობა დარეგულირებულიყო, პრობლემებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა ურთიერთ ბრალდებებში, ერთმანეთის აზრის, მათ შორის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, გაუთვალისწინებლობაში, უნდობლობასა და ფარული ჩანაწერების განხორციელებაში, რამაც რა თქმა უნდა შეაფერხა მიღწეულიყო სასამართლოს მიზანი მამაშვილს შორის ჩამოყალიბებულიყო სანდო მიჯაჭვულობა), ბავშვს დედის მიმართ ჰქონდა მიჯაჭვულობა და სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ ეტაპზე, რთული იყო პროგნოზირება, როგორ განვითარდებოდა მამა-შვილის, ასევე ბებია-შვილიშვილის ურთიერთობა.

7. ზემოაღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და მ. ვ-ძეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადანყვეტილების მიღებით თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

8. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განჩინებით, აპელანტების ერთობლივი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 მაისის გადანყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1. ძირითადი სარჩელით მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის შეფასების ნაწილში, სააპელაციო პალატა ნაწილობრივ დაეთანხმა აპელანტს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა გ. ვ-ძის სახელზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების არსებობა. საქმის მასალების კვლევით დგინდებოდა ისიც, რომ მოპასუხეს არ უფიქსირდებოდა რეგისტრირებული შემოსავალი; ასევე, მოპასუხე რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში სამი სააღ-

სრულებო საქმის ფარგლებში; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2022 წლის 04 თებერვლის მონაცემებით, გ. ვ-ძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ იყო. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე სარგებლობდა დავის გადანაცვების დროისთვის ერთ-ერთი ბრენდული ტიპის უახლესი მოდელის მობილურითა და ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო მარკის მქონე საშუალებით, რომელიც რეგისტრირებული იყო სხვა პირის საკუთრებად, ხოლო მოგვიანებით მოიხსნა რეგისტრაციიდან. სააპელაციო პალატის მითითებით, მიუხედავად სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ნამდვილობისა და წონადობისა, ბუნებაში მაინც შესაძლებელი იყო, რომ ადამიანს ჰქონოდა ქონებრივი აქტივი, რომელიც რეგისტრირებულ მონაცემებში ასახული არ იქნებოდა. ამასვე ადასტურებდა მხარის აღიარება, რომ მისი ანაზღაურება თვეში დაახლოებით 500 ლარს შეადგენდა, თუმცა, ხელფასი არ იყო ასახული შემოსავლების სამსახურში. ზოგადად, ფაქტი იმის შესახებ, რომ მხარე ძვირადღირებული ნივთებით სარგებლობდა ან მასზე წვდომა ჰქონდა, მხოლოდ მის ქონებრივ შესაძლებლობებზე მიუთითებდა.

9.2. არასრულწლოვანი შვილის მიმართ მამის საალიმენტო ვალდებულების მოცულობასთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანი 3 წლის თ. ვ-ძე მუდმივად ცხოვრობდა მოსარჩელესთან (დედასთან). პალატის მითითებით, მართალია, კონკრეტული საჭიროებები სარჩელის შინაარსიდან არ ირკვეოდა, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომ არასრულწლოვანი ბავშვი საჭიროებდა სპეციალურ ჰიგიენურ, თავის მოვლის საშუალებებს, ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს, რაც ყოველდღიურ რეჟიმში მოხმარებადი და საჭირო იყო. გასაჩივრებული გადანაცვებების ფაქტებს ძირითადი სარჩელით მოპასუხე არ ეთანხმებოდა, თუმცა დავის პირველ ინსტანციაში დასრულების დროისთვის, მხოლოდ 150 და 200 ლარის ჩარიცხვის შესახებ ფაქტები დგინდებოდა. ამ მოცულობის თანხები კი, არამც თუ საკმარისი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით აღზრდისთვის, არამედ საარსებო მინიმუმის სტანდარტსაც ვერ ფარავდა. რაც შეეხება სხვა ოდენობის თანხების გადაცემაზე მითითებას, მისი სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო. დადასტურებულიც რომ ყოფილიყო, თანხების საკუთარი არასრულწლოვანი შვილისათვის ნებაყოფლობით ჩუქება არ გამორიცხავდა ალიმენტის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მოცემულ შემთხვევაში, მშობლების ფინანსური და სხვა შესაძლებლობების მხედველობაში მიღებით, პალატამ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში,

პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განსაზღვრა ალი-მენტის ოდენობა თვეში 500 ლარის ოდენობით.

9.3. მშობლის უფლების შეზღუდვის ფაქტობრივ-სამართლებრივ ნაპირობებთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დედის სასარგებლოდ მამისათვის მშობლის უფლების ნაწილის შეზღუდვა ნაკარნახევი იყო ბავშვის საცხოვრებელი ადგილითა და მასთან მუდმივად ცხოვრების ფაქტით, რაც გადანყვეტილების მიღების იმწუთიერებას, დაუყოვნებლივ საჭიროებასა და გადანყვეტილებების მიღების სისწრაფეს ზრდიდა და მოქნილს ხდიდა. პალატის მითითებით, სასამართლო, როგორც სახელმწიფოში მარლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო – ვერ მიანდობდა ბავშვის უფლებების განხორციელებას ერთობლივად ორივე მშობელს, რომლებით კონსენსუსს ვერ აღწევდნენ საკითხე. პალატამ განმარტა, რომ გადანყვეტილებების დროულ მიუღებლობას კრიტიკულ დროს, შეეძლო დაეზარალებინა არასრულწლოვნის ინტერესები. ამასთან, პალატამ საგანგებოდ შენიშნა, რომ შეზღუდვის ნაწილში, დავის ამგვარად გადანყვეტა არ ნიშნავდა მამის უფლების სრულ უგულებელყოფას. დედა ვალდებული იყო ყოველი სამედიცინო ვიზიტი, საჭიროება თუ მანიპულაცია ყოველ ჯერზე ეცნობებინა მეორე ბიოლოგიურ მშობლისათვის და მუდმივად საქმის კურსში ჰყოლოდა იგი.

9.4. არასრულწლოვანი შვილისა და შვილიშვილის მამასთან და ბებია-ასთან დამოუკიდებლად დარჩენაზე უარის თქმის ნაწილში კი, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ მოცემულობაზე, რომ არასრულწლოვანი მუდმივად ცხოვრობდა მოსარჩელესთან და ბავშვს მუდმივი მიჯაჭვულობა ჰქონდა დედისადმი. ამასთან, მეურვეობის ორგანოს წარმომადგენელიც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილებას და განმარტა, რომ ბავშვის ასაკის, მისი მიჯაჭვულობის ხარისხის გათვალისწინებით, არ იქნებოდა მიზანშეწონილი ბავშვის ხანგრძლივი დროით დედისგან მოწყვეტა, თუნდაც ზამთარსა და ზაფხულის პერიოდში. ამასთან, ამ ნაწილში მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებელი პირების მიერ შედგენილი მეორე სიტუაციური ანალიზის შინაარსი, რომელიც უშუალოდ შეეხებოდა დროებითი განკარგულებით დადგენილი წესის აღსრულების პროცესს და რომლის საფუძველზეც, პალატამ მიიჩნია, რომ მამასა და შვილს არ ჰქონდა იმდენად ინტენსიური ურთიერთობა, რომ მამას სცოდნოდა არასრულწლოვნისთვის გამაღიზიანებელი ან მოსაწონი სათამაშოების კატეგორიაც კი. აღნიშნულის საპირისპიროდ, დედისადმი განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მისკენ მუდმივი ახლოს ყოფნითა და ხელის ჩაკიდებითაც დასტურდებოდა. ასეთ პირობებში, პალატა დაეთანხმა ქვემდგომ ინსტანციას, რომ არასრულწლოვნის დამოუკიდებლად დარჩენა მამასა და ბე-

ბიასთან, მიჯაჭვულობის დონის გაძლიერებამდე, დროებით მიზანშეუწონელი იყო.

10. ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. და მ. ვ-ძეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

11. საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

11.1. კასატორების მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა, შეუსაბამოა გადამხდელის ფინანსურ შესაძლებლობებთან; თავის მხრივ, მამის წარმომადგენლობითი უფლებების შეზღუდვაც, უსამართლოა და არ შეესაბამება მცირეწლოვანის საუკეთესო ინტერესებს. ამასთან, კასატორები მიიჩნევენ, რომ მცირეწლოვანი ბავშვის პიროვნული და ფსიქოლოგიური განვითარებისათვის, აუცილებელია ორივე მშობლის ჩართულობა. აქედან გამომდინარე, საკასაციო მოთხოვნას წარმოადგენს მშობლის წარმომადგენლობითი უფლების აღდგენა, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა და ბავშვის მამის ოჯახში წაყვანასთან დაკავშირებით, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 28 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2025 წლის 07 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი, ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქ/პუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და გაუქმებულ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1 მუხლით საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407.1 მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კო-

დექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

15. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის შეფასების საგანია არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვისა და არასრულწლოვან შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობისათვის განსაზღვრული წესის მართლზომიერება.

16. საკასაციო პალატა პირველ რიგში, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის საკითხზე იმსჯელებს და ამ ნაწილში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრული, სამართლებრივი შედეგის მართლზომიერებას შეაფასებს.

17. სადავო საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე (მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ), 1214-ე (თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას), 1198.2 (მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება), 1202.1 (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ) მუხლებზე და განმარტავს, რომ მოხმობილი საკანონმდებლო დანაწესები მშობლების მიერ შვილების რჩენის – ალიმენტის გადახდის კანონისმიერ ვალდებულებას ანებს. არასრულწლოვნის რჩენის მო-

ვალეობა ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას, მიუხედავად იმისა, ისინი დაქორწინებული არიან თუ არა, თუმცა ალიმენტის ზღვრულ ოდენობას კანონი არ ადგენს. მისი გონივრული და სამართლიანი ოდენობა, სასამართლომ თავისი დისკრეციის ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა შეფასებით უნდა დაადგინოს.

18. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს, ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ალიმენტის ოდენობის დადგენისას, უნდა შეფასდეს მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა ობიექტური გარემოებები. ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-58-49-2011, 27.06.2011წ; №ას-1141-1061-2017, 17.10.2017წ.; №ას-ას-1301-2019, 13.03.2020წ.; №ას-878-2021, 27.10.2021წ. №ას-1262-2023, 08.11.2023წ.; №ას-1328-2023, 07.03.2024წ.; №ას-1606-2023, 10.04.2024წ.). ამდენად, სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვის ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მისი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადამწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა, რამდენადაც უნდა დადგინდეს გონივრული ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში (იხ. სუსგ №ას-829-2019, 11.07.2019წ.). ამასთან, ალიმენტის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება ის, თუ რომელ მშობელთან ცხოვრობს ბავშვი და რომელს უფრო მეტი ხარჯის გაწევა უწევს (იხ. სუსგ №ას-159-2024; 23.01.2025წ.). როგორც წესი, იმ მშობლის მიერ გაწეული ხარჯები, რომელთანაც ბავშვი მუდმივად ცხოვრობს, გაცილებით მეტია, იგი მოიცავს ბავშვის სწავლა-განათლებისათვის, ჯანმრთელობისთვის, კვებისთვის, ჰიგიენისთვის, სოციალური აქტივობებისთვის და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოქმედებებისთვის

განეულ ხარჯებს. ამას ემატება ის მორალური თუ ემოციური მხარდაჭერაც, რაც როგორც წესი მეტი აქვს იმ მშობელს, ვისთანაც ბავშვები განქორწინების შემდგომ, მუდმივად ცხოვრობენ, აღნიშნული კი კომპენსირებული უნდა იყოს მეორე მშობლის მიერ გონივრული ფულადი დახმარებით (იხ. სუსგ №ას-341-2022, 14.06.2022წ.).

19. „ბავშვთა უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის (რეტიფიცირებულია 01.07.1994წ.) მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. ამავე კონვენციის 27-ე მუხლით აღიარებულია ასევე ყოველი ბავშვის უფლება – უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ან ბავშვის სხვა აღმზრდელს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავიანთი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. კონვენციის აღნიშნული ნორმა არასრულწლოვან შვილზე ზრუნვას და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის ვალდებულებას უპირატესად მშობლებს აკისრებს და მათ თანაბრად ეკისრებათ შვილის რჩენისა და აღზრდის ვალდებულება.

20. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია აღზარდოს ბავშვი, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, აღზარდოს ის საზოგადოების ღირსეულ წევრად, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნებად.

21. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევროსაბჭოს ნევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავდრეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად კი, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით, უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს (იხ. სუსგ №ას-334-2024; 16.05.2024წ.).

22. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც, მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე, არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (*Krasicki v. Poland*, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (*Gnahore v. France*, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადანოს მშობლების ინტერესი (*Sahin v. Germany [GC]*, no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII).

23. ამდენად, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბავშვსა და მის ინტერესებზე ზრუნვა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებას. შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში, უპირატესი ყურადღება ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას ეთმობა.

24. რაც შეეხება კონკრეტულ სადავო საკითხს, უდავოა, რომ მ. ნ-ი და გ. ვ-ძეს თანაცხოვრებისას შეეძინათ ერთი შვილი – 2021 წლის 24 მაისს დაბადებული თ. ვ-ძე; მხარეები 2021 წლის 01 ივნისიდან აღარ ცხოვრობენ ერთ ოჯახად; მხარეთა შორის ქორწინება შეწყვეტილია 2022 წლის 25 აგვისტოს ნაწილობრივი გადანაცვლებების საფუძველზე; არასრულწლოვანი თ. ვ-ძე დაბადებიდან ცხოვრობს მოსარჩელესთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილებით, თ. ვ-ძის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – მ. ნ-ს საცხოვრებელი ადგილი; ძირითადი სარჩელით მოსარჩელემ, მოითხოვა არასრულწლოვანის მამისათვის (მოპასუხე), არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის დაკის-

რება 1000 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრიდან ბავშვის სრულ-
წლოვანების მიღწევამდე; დადგენილია, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნო
ნაწილობრივ, კერძოდ, მან თანხმობა განაცხადა ბავშვისათვის 200 ლა-
რის გადახდაზე, თუმცა, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ალი-
მენტის გონივრულ და სამართლიან ოდენობად 500 ლარი მიიჩნიეს, რა-
საც არ იზიარებს კასატორი (ალიმენტვალდებული მამა) და შედავება
წარმოდგინა იმ თვალსაზრისით, რომ ალიმენტის ოდენობა შეუსაბა-
მოა მის რეალურ მატერიალურ მდგომარეობასთან.

25. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ზემოაღნიშნულ შედა-
ვებას და აღნიშნულის საპირისპიროდ მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინ-
სტანციის სასამართლოებმა სწორად შეაფასეს როგორც ალიმენტვალ-
დებული მამის ფინანსური შესაძლებლობები, ისე დედის შემოსავლები
და არასრულწლოვნის ჩვეულებრივი საჭიროებები. ბავშვის ნორმალუ-
რი რჩენა-აღზრდისათვის არსებული მოთხოვნილებების, მშობლების
მატერიალური მდგომარეობისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექ-
სით განსაზღვრული მშობელთა თანაბრობის პრინციპის (1197-ე და
1212-ე მუხლები) გათვალისწინებით კი, გონივრული და სამართლიანი
შეფასების საფუძველზე, მართებულად განსაზღვრეს ყოველთვიურად
გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

26. ზემოაღნიშნულ დასკვნას საკასაციო პალატას ვერ გაუქარ-
წყლებს კასატორის მითითება მასზედ, რომ ალიმენტვალდებული მა-
მის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას, სასამართლოებმა უგულ-
ვებელყვეს მისი ახსნა-განმარტება, საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქ-
ტობრივი გარემოებები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები,
რაც ნათლად ადასტურებდა მის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას.
აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო პალატა ყურად-
ღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვემდგომი ინსტანციის სა-
სამართლოებმა ალიმენტვალდებული მამის მატერიალური მდგომარე-
ობის შეფასების მიზნით, დეტალურად შეისწავლეს მხარეთა მიერ მი-
თითებული გარემოებები და საქმეში წარმოდგენილი წერილობითი
მტკიცებულებები, მათ შორის, სსიპ შემოსავლების სამსახურის ცნობა,
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ინფორ-
მაცია, მომსახურების სააგენტოს ცნობა; ასევე, მოწმის სახით დაკით-
ხული პირის ჩვენება, რომელიც ნაწილობრივ წინააღმდეგობაში მოდი-
ოდა არასრულწლოვნის ბებიის ახსნა-განმარტებასთან; იმავდროულად,
სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს ის გარემოებებიც, რომ მოვა-
ლეთა რეესტრში რეგისტრაციის მიუხედავად, 500 ლარიანი შემოსავ-
ლის პირობებში, მოპასუხე ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო სა-
შუალებითა და უახლესი თაობის მობილური ტელეფონით სარგებლობ-
და; სასამართლოები დაეყრდნენ იმ ფაქტსაც, რომ მოპასუხის მხრი-

დან აღიარებული 500 ლარიანი შემოსავლის მიუხედავად, ხელფასი შემოსავლების სამსახურში არ ფიქსირდებოდა და საბოლოო ჯამში, დასახელებულ გარემოებათა და მტკიცებულებათა ერთობლიობაში, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების შედეგად, არასარწმუნოდ მიიჩნიეს ძირითადი სარჩელით მოპასუხის განმარტება მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის თაობაზე (მამის მატერიალური მდგომარეობის შეფასების ნაწილში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა ვრცლად იხ. წინამდებარე განჩინების 6.3.1.-9.1. აბზაცები), რასაც სრულად იზიარებს საკასაციო პალატაც.

27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას, ინდივიდუალურად და ერთობლივად აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკველვეი საკითხის მიმართ (შდრ. სუსგ №ას-589-896-09, 22.01.2010წ.). ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს აწესებს. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

28. მოცემულ შემთხვევაშიც, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა – ალიმენტვალდებული მამის მატერიალური შესაძლებლობების თაობაზე, სწორედ მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებათა, საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებათა და მონმის ჩვენების ერთობლიობაში, გონივრულმა შეფასებამ განაპირობა, რომლის საწინააღმდეგოდაც, ძირითადი სარჩელით მოპასუხეს/კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია.

29. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხე მშობელს აწევს იმ გარემოებების მითითებისა და დამტკიცების ტვირთი, რომლებსაც იგი ალიმენტის ოდენობის შესამცირებლად ეყრდნობა (იხ. სუსგ №ას-51-2021, 30.06.2022წ.). ამ კუთხით, დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე ძირითადი სარჩელით მოპასუხემ, საკასაციო პალატა ვერ დაარწმუნა, რომ დაკისრებულ ალიმენტის ოდენობასა და მის მატერიალურ მდგომარეობას შორის, შეუსაბამობა არსებობდა, რაც ალიმენტის ოდენობის შემცირების თაობაზე კასატორის მიერ წარმოდგენილი შედავების გაზიარებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველია, თუმცა პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ისიც აღნიშნოს, რომ ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობა, საქართველოს სტატისტი-

კის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, სარჩელის წარდგენის დროისათვის საშუალო მომხმარებლისათვის 200.4 ლარს, გასული წლის ბოლოს კი, 230.5 ლარს შეადგენდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ საარსებო მინიმუმის გამოანგარიშება ხდება სპეციალური სასურსათო კალათის მეშვეობით და მხოლოდ და მხოლოდ სურსათის ღირებულების გამომხატველი მაჩვენებელია. საარსებო მინიმუმში არ შედის სხვა მრავალი ხარჯი, რომელთა გაღებაც ყველა ადამიანს უნევს. სასამართლოს მიერ ალიმენტის გადახდევინება კი, როგორც უკვე აღინიშნა, მიზნად ისახავს ბავშვისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა ან მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში ექნებოდა.

30. ალიმენტის ოდენობის ნაწილში წარმოდგენილი შედაგების მსგავსად, საკასაციო პალატა უარყოფს არასრულწლოვან შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის ნაწილში, კასატორთა შედაგებას და მიუთითებს, რომ ბავშვის უფლებების დაცვის მომწესრიგებელი როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობის სისტემური ანალიზი იმგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ ბავშვის უფლებების უზრუნველყოფა არ გულისხმობს ერთი რომელიმე უფლების სხვა უფლებასთან შედარებით უპირატესად რეალიზების, ან დაცვის უფრო მაღალი პრივილეგიით სარგებლობის შინაარსს. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ყველა უფლებას სახელმწიფო გარანტიებით/ინსტრუმენტებით ერთნაირად სარგებლობის უფლება და ხარისხი გააჩნია, მათ შორის ბავშვისაგან განცალკევებით მცხოვრებ მშობელთან ბავშვის ურთიერთობის უფლებასაც. თუმცა, ეს უფლება აბსოლუტურ უფლებად არ შეიძლება ჩაითვალოს, მშობლისა და ბავშვის უფლებათა შენონადობის თვალსაზრისით. ბავშვის უფლება უპირატესად ითვლება და მშობელს, გარკვეული პირობების არებობისას, შესაძლოა ჩამოერთვას კიდევ ბავშვთან ურთიერთობის უფლება (სსკ-ის 1205-ე-1206-ე მუხლები). ამ უფლების შემზღუდავი სახელმწიფო ინსტრუმენტი მოქმედებს მხოლოდ მაშინ და მშობლის უფლება არარეალიზებადია, თუკი მშობლის მოვალეობის არასათანადო შესრულება წინააღმდეგობაშია ბავშვის თუნდაც ერთ რომელიმე ინტერესთან (ჯანმრთელობა, ემოციური განვითარება, სწავლა და ა.შ.), ე.ი. მშობლის ბუნებითი უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან, არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მიიჩნევა აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებად და, ამათუ იმ პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ კონტროლს ექვემდებარება (მდრ. სუსგ №ას-434-2021,

30.07.2021წ.).

31. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოკვლეულ და დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც არასრულწლოვანი ბავშვის მამასთან და ბებიასთან დამოუკიდებლად დარჩენაზე უარის თქმის საფუძველი გახდა და რომელთა საწინააღმდეგოდაც, კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. კერძოდ, წინამდებარე საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ბავშვი მცირე ასაკისაა; არასრულწლოვანი მუდმივად ცხოვრობს დედასთან; მამას არ ჰქონია ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილება და მხოლოდ სასამართლოს განჩინების ფარგლებში დაიწყო მამა-შვილის ურთიერთობის აღდგენის პროცესი; ბავშვს დედის მიმართ აქვს განსაკუთრებული მიჯაჭვულობა, უჭირს დედის გარეშე ყოფნა, ხოლო მამის მიმართ, არ არის ჩამოყალიბებული სანდო მიჯაჭვულობა. გამომდინარე იქიდან, რომ კასატორს დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ, საკასაციო შედავება არ წარმოუდგენია, ამასთან, არ მიუთითებია რაიმე ისეთ არსებით გარემოებაზე, რაც მდგომარეობის რადიკალურ ცვლილებას დაადასტურებდა, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების ფაქტობრივ-სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოების, საქმის მასალებში წარმოდგენილი დროებითი განკარგულების აღსრულების პროცესის ამსახველი სიტუაციური ანალიზების, არასრულწლოვანი ბავშვის ასაკისა და ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც არ დაეთანხმა შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილებას, გადანყვეტილება არასრულწლოვანი ბავშვის მამასთან და ბებიასთან დამოუკიდებლად დარჩენაზე უარის თქმის ნაწილში, სრულად შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ასევე, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, რაც დადგენილია არასრულწლოვანთან დაკავშირებული დავების განხილვისათვის.

32. რაც შეეხება მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმომადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

33. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 მაისის გადანყვეტილებით, გ. ვ-ძეს შეეზღუდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის მიმართ, მისი მკურნალობის, პირადობის მონმო-

ბისა და პასპორტის ალების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებთან წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ნაწილში. აღნიშნულის წინააღმდეგ კასატორები მიუთითებდნენ თავიანთ სააპელაციო პრეტენზიის სამართლებრივ უსწორობებში და სადავოდ ხდიან საკასაციო საჩივარშიც, იმ მოტივით, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი იმგვარი მტკიცებულებები, რაც მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის აუცილებელი წინაპირობების არსებობას დაადასტურებდა.

34. სადავო საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის პირველ ნაწილზე (მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადანაცვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი), ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე (სასამართლოს შეუძლია შეიზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად) და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის წაყენებისას, მოსარჩელეს ეკისრება შეზღუდვის აუცილებლობის დამტკიცების ვალდებულება (იხ. სუსგ №ას-857-2019, 18 დეკემბერი, 2020 წელი).

35. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ერთი მხრივ, იზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, არ წარმოუდგენია იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც სათანადოდ დაადასტურებდა მამის მხრიდან მშობლის უფლებით მანიპულირებას, უფლების ბოროტად გამოყენებას ან/და ბავშვის ინტერესების საზიანოდ, საზღვრის კვეთის მოთხოვნაზე უარის თქმას, თუმცა, მეორე მხრივ, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ მოცემულობას, რომ არასრულწლოვნის მშობლებს ერთმანეთის მიმართ მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, იმდენად, რამდენადაც ერთხელ უკვე შემაკავებელი ორდერი იყო გამოყენებული; ამასთან, მხარეები დროებითი განკარგულების აღსრულებასაც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად (იხ. წინამდებარე გადანაცვეტილების 6.2.4 და 6.2.9. ქ/პუნქტები). შესაბამისად, ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს მყისიერ რეაგირებასა და გადანაცვეტილების დაუყოვნებლივ მიღების საჭიროებას, გასაზიარებელია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოტივაცია მასზედ, რომ ბავშვის უფლებების განხორციელება ერთობლივად არ უნდა მიენდოს ორივე მშობელს, რამეთუ კრიტიკულ დროს გადანაცვეტილებების დროულ მიუღებლობას, შეუძლია დააზარალოს არასრულწლოვნის ინტერესები. ამდენად, მშობლებს შორის კონფლიქტისა და დესტრუქციული ურთიერთობის არსე-

ბობის ფონზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მკურნალობისა და სახელმწიფო დაწესებულებებთან წარმომადგენლობითი უფქციის განხორციელებისას, სახეზეა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საფუძველი და ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია.

36. რაც შეეხება პირადობის მოწმობისა და პასპორტის აღების ნაწილში მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბავშვების საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა არამხოლოდ სასამართლოს ან სახელმწიფო ინსტიტუტების ვალდებულებაა, არამედ ამაზე ზრუნვა ევალებათ ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელ პირებსაც. შესაბამისად, ისეთ ვითარებაში, როდესაც სხვა ქვეყნების მონახულების, ტურისტული ვიზიტების განხორციელების, სხვა ქვეყნის ღირშესანიშნაობებისა და გასართობი დაწესებულებების მონახულების, სხვა კულტურასთან ზიარების ან უბრალოდ, კურორტზე დასვენების მიზნით, ბავშვის საზღვარგარეთ დროებით გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ მოითხოვს მყისიერ რეაგირებას, დედამ, ბავშვის საკეთილდღეოდ, უნდა ითანამშრომლოს ბავშვის მამასთან.

37. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეს მისი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, არ მიუთითებია ბავშვის საზღვარგარეთ გამგზავრების კონკრეტული პერიოდები, ხანგრძლივობა, ქვეყნები. შესაბამისად, მამისათვის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა იმგვარად, რომ დედას მიეცეს განუსაზღვრელი ვადითა და პერიოდულობით, ბავშვის საზღვარგარეთ, ნებისმიერ ქვეყანაში წაყვანისა და ყოველდღიურობისაგან მოწყვეტის უფლება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი ვერ იქნება.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას, სასამართლო ხელმძღვანელობს საოჯახო დავების განხილვისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის პრინციპით (სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც, მათ შორის, სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად განსაზღვროს ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის პირობები, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის აუცილებლობა დასაბუთებულია და ამავდროულად, გამოკვეთილი და დადგენილია მისი გაყვანის პერიოდულობა, ხანგრძლივობა და სხვა დეტალები, რაც, როგორ უკვე აღინიშნა, მოცემულ საქმეზე, თავად მოსარჩელის მიერაც ვერ იქნა განსაზღვრული.

39. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მამის წარმომადგენლობითი

უფლების შეზღუდვის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის ზოგადი სა-
ხით დაკმაყოფილებას, არც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს
წარმომადგენელი დაეთანხმა.

40. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი
ბავშვის პირადობის მონიშვნისა და პასპორტის ალების ნაწილში, მშობ-
ლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ,
ერთ-ერთმა კასატორმა – მამამ გ. ვ-ქმე წარმოადგინა დასაშვები და
დასაბუთებული საკასაციო საჩივარი და ამ ნაწილში, სახეზეა სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზ-
ღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (გადაწყვეტილება
ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იუ-
რიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული).

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხ-
ლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვე-
ტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათ-
ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო
სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.
განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საჭირო არ არის მტკიცებულე-
ბათა დამატებით გამოკვლევა, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასა-
მართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი და სა-
კასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტი-
ლება. კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-
მაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინე-
ბა იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სა-
სამართლოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანი შვილის მიმართ, სა-
ქართველოს მოქალაქის პირადობის მონიშვნისა და პასპორტის აღება-
ზე თანხმობის გაცემის საკითხზე მშობლის წარმომადგენლობითი უფ-
ლების შეზღუდვის ნაწილში და ამ ნაწილში, ძირითადი სასარჩელო მოთ-
ხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის
პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-
დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება,
ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს
სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე
მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხე-
ბა, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს
მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოე-
ბისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვე-
ტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეც-
ვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

43. მოცემულ შემთხვევაში, ძირითადი სარჩელით მოსარჩელე – მ. ნ-ვ-ძე, ასევე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელები – მ. ვ-ძე და გ. ვ-ძე განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები – ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე და მოსარჩელები – არასრულწლოვანთა უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

44. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორებს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვთ 150 ლარი. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი მხოლოდ მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, გასაჩივრებული განჩინებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შემცირებაზე კასატორს უარი ეთქვა, საკასაციო საჩივრის განხილვის მიზნით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257.1, 264.3, 372-ე, 399-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განჩინების ნაწილობრივ შეცვლით, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. ნ-ვ-ძის სარჩელი მოპასუხე გ. ვ-ძის მიმართ, არასრულწლოვანი შვილის – თ. ვ-ძის (დაბ.: 24.05.2021წ.) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და პასპორტის აღებაზე თანხმობის გაცემის საკით-

ხზე მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;

5. დანარჩენ ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო საჩივრის განხილვის მიზნით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1032-2025

16 ოქტომბერი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. კოჭლამაზაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
თ. ძიმისტარაშვილი**

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება, დამატებით ხარჯებში მონაწილეობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ა-ის მხარდამჭერმა მ. ც-ძემ (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გ. ა-ის (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, ალიმენტის ყოველთვიურად 1000 ლარის დაკისრება, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან, შვილის სიცოცხლის ბოლომდე. ასევე შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების სახით, ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრება.

2. სასამართლოში წარდგენილი შესაგებლეთ მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ა-ის მხარდამჭერის მ. ც-ძის სარჩელი მოპასუხე გ. ა-ის მიმართ, ალიმენტის დაკისრებისა და დამატებით ხარჯებში მონაწილეობის თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გ. ა-ს, შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად – 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან, გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე; თ. ა-ის მხარდამჭერის მ. ც-ძის სარჩელი მოპასუხე გ. ა-ის მიმართ, დანარჩენ ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ, მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მოპასუხემ კი, გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება 300 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თ. ა-ის მხარდამჭერ მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გ. ა-ს დაეკისრა შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, ალიმენტის გადახდა სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან 2026 წლის 01 ივნისამდე ყოველთვიურად – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით და 2026 წლის 01 ივნისიდან ყოველთვიურად 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით, გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე; თ. ა-ის მხარდამჭერის მ. ც-ძის სარჩელი მოპასუხე გ. ა-ის მიმართ დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გ. ა-ს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 1008 ლარის გადახდა.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებე-

ბი:

6.1. გ. ა-ი და მ. ც-ძე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 2004 წლის 20 ნოემბრიდან. ქორწინების პერიოდში – 2005 წლის 15 ნოემბერს, მ. ც-ძეს და გ. ა-ს შეეძინათ შვილი – თ. ა-ი. გ. ა-ის და მ. ც-ძის თანაცხოვრება შეწყვეტილია. განქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა 2007 წლის 26 დეკემბერს. 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული – თ. ა-ი ცხოვრობს დედასთან ერთად.

6.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1477-20), ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ა-ისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა შეიცვალა და გ. ა-ს შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ ალიმენტის სახით დაეკისრა 850 ლარის გადახდა 2020 წლის 21 იანვრიდან მის სრულწლოვანებამდე.

6.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1477-20) დადგენილია შემდეგი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/9079-06) მ. ც-ძის სარჩელი მამობის დადგენის, გვარის მიკუთვნებისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ც-ძის მამად აღიარებული იქნა გ. ა-ი, დაბადებული 02.10.1973 წ., და ბავშვს მიეკუთვნა მამის გვარი – ა-ი. გ. ა-ს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ თვეში 200 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2006 წლის 20 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და გაითვალისწინა, რომ მ. ც-ძე არ მუშაობდა, ხოლო გ. ა-ის ხელფასი შეადგენდა 905 ლარს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მასზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

6.4. 2023 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით, თ. ა-ს უფიქსირდება დიაგნოზი – აუტიზმი, საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა, არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას. ავადმყოფობის მიმდინარეობა: მწვავე. ექიმის რეკომენდაცია: ფსიქიატრის ამბულატორული მეთვალყურეობა, ქცევითი, სენსორული და აკადემიური თერაპიები, მუსი-

კალური თერაპია, პერსონალური ასისტენტი (პაციენტის სოციალიზაცია არის მისთვის უმნიშვნელოვანესი, რის უზრუნველყოფაც ვერ ხერხდება, რადგან პაციენტის ქცევა საფრთხის შემცველია როგორც საკუთარი თავისთვის, ისე გარშემომყოფთათვის), აზალეპტინი 100 მგ. 1/2 აბი 2-ჯერ დღეში, ორთოპედის კონსულტაცია, წყლის პროცედურები, ცურვა (თერაპიული მნიშვნელობით).

6.5. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ამბულატორიული სასამართლო ფსიქოსოციალური ექსპერტიზის 12.03.2024 წლის დასკვნის თანახმად, თ. ა-ს აქვს მყარი ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. თ. ა-ის ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) შესაძლებლობები მკვეთრად არის დაქვეითებული. თ. ა-ის მოქმედებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხი შეზღუდულია მკვეთრად. თ. ა-ის სოციალური ადაპტაციის ხარისხი არის მკვეთრად დაქვეითებული. მას არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედებების ფაქტობრივი ხასიათი ან მოსალოდნელი შედეგები. ანდა უხელმძღვანელოს მის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და ქცევებს. თ. ა-ს ესაჭიროება მხარდამჭერი მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოხატვის სფეროში; განათლების მიღების სფეროში; რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების მიღება/შეძენის სფეროში; სახელმწიფო სოციალური დახმარების მიღების მიზნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სფეროში; პენსიის დანიშვნის, მიღების, აღდგენის და განკარგვის სფეროში; საბანკო პლასტიკური ბარათის (პინ კოდის მიღების) დამზადება/მიღების სფეროში და ამ მიზნით საბანკო დაწესებულებებთან, მათ შორის სს „ლ. ბ-თან“ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სფეროში; სასამართლო სარჩელის აღძვრისა და საქმის წარმოების სფეროში და ამ მიზნით ადვოკატის აყვანის და მისთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების ჩათვლით, კანონით დადგენილი წესით, მინდობილობის გაფორმების სფეროში; წვრილმანი გარიგების დადების სფეროში; მკურნალობისა და სამედიცინო მომსახურების მიღების სფეროში; თავისუფლად გადაადგილების, მათ შორის საზღვარგარეთ გამგზავრების სფეროში. თ. ა-ს არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი. თ. ა-ის მდგომარეობის გაუმჯობესების, ან გაუარესების შესაძლებლობა მინიმალურია, პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი. თ. ა-ს არ შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა უფლებები და გამოხატოს შესაბა-

მისი ნება მხარდამჭერის დახმარებითაც კი, და შესაძლებელია მხარდამჭერმა განახორციელოს აღნიშნული უფლებანი უშუალოდ, მხარდამჭერის მიმღები პირის მონაწილეობის გარეშე. მხარდამჭერის გადასინჯვის ვადა რეკომენდებულია ხუთი წლით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის სოციალური მუშაკის შეფასება/დასკვნის (04.03.2024) თანახმად, მიუხედავად თ. ა-ის მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობისა, არის ძალიან აგრესიული, უმართავი, იმპულსური, გამოირჩევა სპონტანურად აგრესიული გამოვლინებებით, დაუნდობლობით, იცინის ან ტირის უმიზეზოდ, ღამით იღვიძებს და მღერის, იყენებს თვითდაზიანებებს, იკბენს ხელებს, ირტყამს თავში, ცდილობს ბინიდან გაპარვას, განსაკუთრებით სასტიკი და აგრესიულია დედის მიმართ, რომელიც ვერ ახერხებს მის დამორჩილებას, დედაზე განსაკუთრებული სისასტიკით ახორციელებს ფიზიკურ ძალადობას, თავს ესხმის ქუჩაში გამგლელებს, ასევე სტუმრად მისულ ნათესავებს, იკბინება, აგლეჯს თმას, ურტყამს თავის არეში, განსაკუთრებით აგრესიულია შენიშვნების მიცემისას (დედის ინფორმაცია). წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, მის აგრესიას არ აქვს წინაპირობა, ვერ ხერხდება მისი სტაციონირება ფსიქიატრიულ კლინიკაში, რადგან უცხო გარემო აძლიერებს მის შფოთვისა და აგრესიას. პაციენტს მრავალჯერ შეეცვალა დანიშნულება, თუმცა მისი ლაბილურობის გამო ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმართ ეფექტი არის ხანმოკლე და არამყარი, აქვს მოთხოვნები, რომლებიც მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს, 18 წლის შემდგომ შეეზღუდა მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობა. ექიმი ფსიქიატრის მიერ თ. ა-ისთვის რეკომენდებულია: ფსიქიატრის ამბულატორიული მეთვალყურეობა, ქცევითი, სენსორული და აკადემიური თერაპიები, რაც საჭიროებს ფინანსურ შესაძლებლობებს, მუსიკალური თერაპია – დედის ინფორმაციით: თ. ა-ი კომპოზიტორის კერძო გაკვეთილებს იღებს ოჯახში მისვლით, კვირაში ორი გაკვეთილი, ღირებულება შეადგენს 50 ლარს, დადის სიხარულით, ეფერება პედაგოგს, მშვიდი და ბედნიერია იქ ყოფნის პერიოდში საათნახვერის განმავლობაში, მღერის სიამოვნებით. თ. ა-ს ესაჭიროება ასევე პერსონალური ასისტენტი, ორთოპედის კონსულტაცია, წყლის პროცედურები, ცურვა – დედის ინფორმაციით დადიოდა ცურვაზე, თუმცა ამჟამად მას არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა.

6.6. სოციალური მუშაკის ოჯახში ვიზიტისას თ. ა-თან დამყარდა კონტაქტი, მოითხოვა სახელი და გვარის გაგება, რის შემდგომაც სოციალურ მუშაკს მიმართავდა სახელით და გვარით. მაგიდასთან დაჯდომისას თ. ა-მა მოითხოვა სოციალურ მუშაკს დაენერა ბლოკნოტში მისი

კარნახით, მაგრამ უცბათ გახდა აგრესიული დედის მიმართ, აიღო იატაკის ჯოხი, დედა გარბოდა, თ. ა-ი მოითხოვდა სოციალური მუშაკის სახლიდან წასვლას სიტყვებით: „რ. ქ-ი კარგად ბრძანდებოდა“, ურტყამდა სოციალურ მუშაკსაც ფეხებს და დედასაც. სახლიდან გამოსვლის შემდეგ სოციალურმა მუშაკმა დედას შესთავაზა სასწრაფოს გამოძახება, მაგრამ მიიღო უარი, რადგან არ აქვს სურვილი თ. ა-ის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანის. დედა დარწმუნებულია, რომ ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოწერის შემდგომ თ. ა-ის მდგომარეობა იქნება იდენტური ან გაუარესებული.

6.7. თ. ა-ის დიაგნოზიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დედა მაქსიმალურად ცდილობს შესაბამისად დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები და ზრუნავს მასზე, ვერ ახერხებს თ. ა-ის მართვას. ამასთან საკუთარი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს შეასრულოს ექიმის მიერ გაწერილი რეკომენდაციები, ამჟამად მ. ც-ძეს არ აქვს შესაბამისი ფინანსური მდგომარეობა. ოჯახის ფინანსები დამოკიდებულია თ. ა-ის პენსიაზე და მისი ნათესავების (მ. ც-ძის დედა, დეიდა და და) ეკონომიკურ დახმარებაზე. თ. ა-ს მამა ფაქტობრივად არ იცნობს, არ კითხულობს 18 წელია და არც ფინანსურ-ეკონომიკურ დახმარებას უწევს.

6.8. თ. ა-ის და მისი მხარდამჭერი კანდიდატის მ. ც-ძის შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი ასპექტებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, თ. ა-ი საჭიროებს მხარდაჭერას, ხოლო მასზე მხარდაჭერად დასანიშნი კანდიდატის მიერ განხორციელებული ზრუნვა არის კარგი, შესაბამისად, მიზანშეწონილია, თ. ა-ის მხარდამჭერად დაინიშნოს მ. ც-ძე სარჩელში მითითებულ სფეროებში.

6.9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 12 დეკემბრის განჩინებით (საქმე №2/332871-23), მ. ც-ძეს თ. ა-ის მიმართ მიენიჭა დროებითი მხარდამჭერის სტატუსი.

6.10. თ. ა-ი ჩართული იყო ქ. თბილისის მერიის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №20-122 2022 წლის 29 დეკემბრის, მუხლი 4, №5-ს (ვაუჩერით ანაზღაურდება მომსახურება, მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან მოსარგებლის 18 წლის ასაკის შესრულებამდე. ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე 18 წლის ასაკის შესრულების თვის მანძილზე მოსარგებლისათვის მიწოდებული მომსახურება) მიხედვით 2023 წლის დეკემბრის თვიდან ბენეფიციარი ტოვებს აღნიშნულ პროგრამას.

6.11. ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრ „ფ-ში“, ბენეფიციარს მომსახურების მიღება შეეძლება თვითდაფინანსებით, ხელ-

შეკრულების ამოწურვამდე, 2024 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. 2023 წლის დეკემბრის თვიდან, ცენტრში თვითდაფინანსებით სიარულის შემთხვევაში, კვირის ჭრილში 45 წუთი სენსორული თერაპია, რომლის თითო სესანის ღირებულება შეადგენს 55 ლარს და 3 საათი აკადემიური უნარები, რომლის თითო სესანის ღირებულება შეადგენს 45 ლარს, ერთი კვირის ჯამური გადასახადი იქნება 190 ლარი. შპს „გ.ც.უ-ის“ 21.12.2023 წლის ცნობის თანახმად, მიმართა შპმ პირის დედამ შვილთან – თ. ა-თან ერთად, რომელსაც აქვს მე-2-მე-3 ხარისხის სქოლიოზი და ესაჭიროება მუდმივი მკურნალობა, რაშიც იგულისხმება ხერხემლის მუდმივი რეაბილიტაცია, ცურვა და მასაჟები. ხერხემლის მკურნალობა ინოვაციური მეთოდით CERACEM აპარატით, 40 პროცედურა, ერთეულის ღირებულება 120 ლარი, ჯამურად გადასახდელი თანხა შეადგენს 4800 ლარს.

6.12. თ. ა-ი შრომისუნაროა, წარმოადგენს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირს, საჭიროებს მუდმივ ყურადღებას, მხარდაჭერას და დახმარებას, ვინაიდან არსებობს საშიშროება, დაზიანება მიაყენოს საკუთარ თავს, მესამე პირებს და ოჯახის წევრებს, მისი მოქმედებები და განწყობები სპონტანურია, ვერ აცნობიერებს მოქმედებების მნიშვნელობას და შედეგებს.

6.13. თ. ა-ის ერთდერთი მეთვალყურე, მხარდამჭერი და მასზე მზრუნველი (მორალურად/ფიზიკურად) პირი არის – მ. ც-ძე, რომელსაც ობიექტური მიზეზებით, ფიზიკურად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა იყოს დასაქმებული და უდავოა, რომ ფაქტობრივად 2006 წლის შემდეგ არ უმუშავია.

6.14. 2010 წლის 17 სექტემბერს მ. ც-ძემ გაასხვისა უძრავი ქონება, მდებარე: მცხეთა, ..., ფართი – 600 კვ.მ. – 1000 ლარად. 2018 წლის 22 ნოემბერს მ. ც-ძემ (მასთან ერთად 2 გამყიდველი) გაასხვისა უძრავი ქონება, მდებარე: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ... ს/კ ..., ს/კ/ ... და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., ს/კ ..., ს/კ №... – 23000 ლარად. მ. ც-ძის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ფართი – 82.32 კვ.მ. საკადასტრო კოდი – ... მ. ც-ძეს საკუთრებაში გააჩნდა ავტომანქანა „მიტუბიში აირტეკი“, რომელიც მისივე განმარტებით გაასხვისა 3500 აშშ დოლარად და 2024 წლის 23 აპრილს 8691 აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა ჰიუნდაი კონა. მ. ც-ძის განმარტებით, ავტომანქანის შესაძენად 6000 აშშ დოლარი მას გადასცა დამ – თ. ც-ძემ. მითითებული თანხა თ. ც-ძემ მიიღო ამხანაგობის ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე საგარაჟე ადგილის გასხვისების შედეგად, რომლის დასადასტურებლად მ. ც-ძემ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება (გ. ც-ძის ხელწერილი, დადასტურებული სასოტარო წესით).

6.15. სსიპ შემოსავლების სამსახურის №21-11/14070 წერილის თანახმად (21.02.2024 წ. მდგომარეობით), 2023 წლის თებერვლის თვიდან მ. ც-ძეს არ უფიქსირდება მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია.

6.16. გ. ა-ს უფიქსირდება ხელფასის ჩარიცხვა სს „ლ.ბ-იდან“. 2023 წლის თებერვლიდან 2024 წლის იანვრის თვის ჩათვლით ჯამურად მას დაერიცხა 59524.54 ლარი (შემოსავლის ტიპი – ხელფასი, სხვა), რაც საშუალოდ თვეში გამოდის (დაუბეგრავი) 4960.37 ლარი. გ. ა-ის ხელზე ასაღები ხელფასი (შემოსავლის ტიპი) შეადგენს – 3040 ლარს.

6.17. მოპასუხეს მონაწილეობა არ მიუღია შვილის სულიერ და სოციალურ განვითარებაში, არასდროს უნახავს თ. ა-ი. თავდაპირველად გ. ა-ს მიაჩნდა, რომ თ. ა-ი არ იყო მისი შვილი. მოპასუხეს, ოფიციალურად განსაზღვრული ალიმენტის გარდა (რომლის გადახდაც შეწყდა სრულწლოვანების მიღწევისას), არ გაუწევია არავითარი დახმარება თ. ა-ის რჩენა-აღზრდაში, არც ფიზიკური და არც მორალური თვალსაზრისით. გ. ა-ი არასდროს დაინტერესებულა თ. ა-ის მდგომარეობით, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც – 2023 წლის 15 ნოემბრიდან, არ გამოუჩენია არავითარი ინიციატივა მინიმალურზე უფრო მცირედით მაინც დახმარებოდა შვილს მატერიალურად (ან სხვა ნებისმიერი ფორმით). მოპასუხე გ. ა-ს სადავოდ არ გაუხდია თ. ა-ის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მითითებული თანხების ოდენობა (ალიმენტის ოდენობა 1000 ლარი და დამატებითი ხარჯის ოდენობა 500 ლარი, მხოლოდ გადახდის შეუძლებლობაზე მიუთითებდა), მისი განმარტებით არ გამორიცხავს და დასაშვებად მიაჩნია აღნიშნული ხარჯების საჭიროება.

6.18. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ გ. ა-თან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქ. ბ-ძის სახელზე ირიცხება შემდეგი უძრავი ქონება: 1. მის.: ქ. თბილისი, ..., ს/კ №...; 2. ქ. თბილისი, ..., ს/კ №..., რომელზედაც 2017 წლის 10 მაისის მდგომარეობით სს „ბ.რ-ის“ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად რეგისტრირებულია იპოთეკა. იპოთეკის ხელშეკრულების დამონშემების თარიღია 05.05.2017 წელი. 2020 წლის 29 იანვრის მდგომარეობით გ. ა-ის ჯამური დავალიანება სს „თ.ბ-ის“ მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულების (№000774018) საფუძველზე შეადგენს 37.225.69 ლარს, ხოლო სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების (№669506-10595497) საფუძველზე – 24668.83 ლარს. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია ქ. ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონება. აღნიშნული სესხების დასაფარად ყოველთვიურად გადასახდელი თანხა შეადგენს 1005 ლარს. სს „ლ.ბ-იდან“ გ. ა-მა, 2023 წლის 06 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად (სესხი 0101.3361923.001 – გენერალური ხელშეკრულები

ბის №61613229.0101.001 საფუძველზე), აილო კრედიტი 48 500 ლარის ოდენობით (კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა 65404.07 ლარი). კრედიტის მოქმედების ვადად მითითებულია 2027 წლის 05 მაისი. მიზნობრიობაში დაფიქსირებულია – სხვა ბანკის ვალდებულების რეფინანსირება. სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით, გ. ა-მა ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს დაახლოებით 1050 ლარი. 2024 წლის ივნისის თვის მდგომარეობით დარჩენილი დავალიანება შეადგენს 30822.55 ლარს, ხოლო 2025 წლის 05 მაისის მდგომარეობით დარჩენილი დავალიანება – 22 251.70 ლარს. უძრავ ნივთზე (მესაკუთრეები: მ. ა-ი, ნ.ა-ი) ს/კ №... რეგისტრირებულია სს „ლ.ბ-ის“ იპოთეკა.

6.19. სს „ლ.ბ-იდან“ წარმოდგენილი ცნობის თანახმად (21.02.2024), გ. ა-ი დასაქმებულია ნალდი ფულისა და ფასეულობების გადაზიდვის განყოფილების უფროსის მოადგილის, ჯგუფის უფროსის თანამდებობაზე (დასაქმების თარიღი 11.11.09) თვითური დარიცხული ხელფასი – 3750 ლარი. 2023 წლის აგვისტოს თვიდან 2024 წლის იანვრის თვის ჩათვლით გ. ა-ს, ხელფასის, სანვავის, საჩუქრის და ქეშბეკის სახით, დარიცხული აქვს 25374.16 ლარი (საშემოსავლო გადასახადი 5074.84 ლარი).

6.20. გ. ა-ს, მეორე (ფაქტობრივი) ქორწინებიდან – ქ. ბ-ძესთან, ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი – 2008 წლის 30 მაისს დაბადებული ნ. ა-ი და 2013 წლის 17 იანვარს დაბადებული მ. ა-ი.

6.21. სს-ის შემოსავლების სამსახურის №21-11/33665 ნერილის თანახმად (23.04.2024 წ. მდგომარეობით), ქ. ბ-ძეს უფიქსირდება ხელფასის ჩარიცხვა სს „ლ.ბ-იდან“ (ახსნა-განმარტების თანახმად, IT სპეციალისტი). 2023 წლის თებერვლიდან 2024 წლის მარტის თვის ჩათვლით ჯამურად მას დაერიცხა 68 350 ლარი, საშუალოდ თვეში (დაუბეგრავი) 4882 ლარის ოდენობით.

6.22. 2023 წლის 22 მარტს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, ა. ა-მა (გ. ა-ის მამა) აჩუქა ნ. ა-ს, მ. ა-ს და ნ. ა-ს უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ფართი 148.55 კვ.მ. – საკადასტრო კოდი – ...

6.23. 2023 წლის 22 მარტს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, ქ. ბ-ძემ აჩუქა მ. ა-ს და ნ. ა-ს უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ფართი 72.76 კვ.მ. – საკადასტრო კოდი – ...

6.24. 2023 წლის 22 მარტს უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, ქ. ბ-ძემ აჩუქა მ. ა-ს და ნ. ა-ს უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ნახევარსარდაფი, ფართი 45.97 კვ.მ. – საკადასტრო კოდი – ...

6.25. გ. ა-ის მეუღლის (ფაქტობრივი ქორწინება) ქ. ბ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით 28.03.2023 წლამდე რეგისტრირებული იყო უძ-

რაეი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ფართი 72.76 კვ.მ. – საკადასტრო კოდი – ... აღნიშნული უძრავი ნივთი, 05.04.2024 წლის მდგომარეობითაც, დატვირთულია იპოთეკით – იპოთეკარი სს „ლ.ბ-ი“ – დამონმების თარიღი 28.03.2022 – იპოთეკის ხელშეკრულება №გენ. P61613229.0101.001.01. ზემოაღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულება დაკავშირებულია სს „ლ.ბ-სა“ და გ. ა-ს შორის 2023 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებასთან (0101.3361923.001), რომლის საფუძველზე მიღებულ კრედიტს ყოველთვიურად, 1050 ლარის ოდენობით, დღემდე იხდის გ. ა-ი. კერძოდ, გ. ა-ისთვის 2023 წლის 06 ოქტომბერის კრედიტის გაცემის და ქ. ბ-ძისთვის 2022 წლის იპოთეკის ხელშეკრულებით სესხის გაცემის საფუძველია გენერალური ხელშეკრულება – P61613229.0101.001 – თარიღი: 17.03.2022.

6.26 ქ. ბ-ძის მიერ გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში (№გენ. P61613229.0101.001.01) მე-3 პუნქტში (უზრუნველყოფილი მოთხოვნა) ძირითადი ხელშეკრულების დასახელებაში – მითითებულია ზემოაღნიშნული გენერალური ხელშეკრულება (P61613229.0101.001 – თარიღი: 17.03.2022), არსებულ ან/და სამომავლო მოვალეში – გ. ა-ი, უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობაში მითითებულია – ძირითადი ხელშეკრულებიდან (მათ შორის ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან) გამომდინარე სხვა მოვალეების მიმართ, ბანკის არსებული, ასევე მომავალში წარმოშობილი ან/და პირობითი მოთხოვნები. გ. ა-მა დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული ქონება შეიძინეს მეუღლეებმა ერთობლივად, მათ შორის, მის მიერ აღებული სესხით (რომელსაც დღემდე თავად იხდის) და საკუთრების უფლება აღირიცხა ქ. ბ-ძის სახელზე. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 23 თებერვლის ცნობის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის მონაცემებით გ. ა-ის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

6.27. 2024 წლის 23 თებერვალს ნოტარიულად რეგისტრირებული უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გ. ა-მა თ. ს-ისაგან იქირავა საცხოვრებელი ბინა (მდებარე: თბილისი, ..., ფართი 46.65 კვ.მ.) თვეში 850 ლარად. ხელშეკრულების თანახმად, შეთანხმება ძალაში შედის 01.03.2024 წლიდან, და მოქმედებს 11 თვის ვადით. ფიქსირდება გ. ა-ის მხრიდან თ. ს-ის ანგარიშზე თანხების მხოლოდ ორ შემთხვევაში გადარიცხვა: 28.03.2024 – 850 ლარი, 27.02.2024 – 1700 ლარი. გადახდის დანიშნულებაში გარკვევით არის მითითებული – ბინის ქირავნობის გადასახადი. შემდგომი პერიოდის ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი.

6.28. ა. ა-ი არის მოპასუხე გ. ა-ის მშობელი. ნ. ა-ი არის გ. ა-ის და. ა. ა-ი და ნ. ა-ი ცხოვრობენ ერთად, 148.55 კვ.მ. ფართის მქონე ბინაში (ქ.

თბილისი, ...), მათ კომუნალურ გადასახადებს კი – 2023 წლის ნოემბრის თვიდან იხდის გ. ა-ი.

6.29. 2024 წლის 30 მაისს, ქ. ბ-ქმ და გ. ა-მა გააფორმეს „მორიგების აქტი“ და დაამოწმეს ნოტარიულად, რომლის თანახმად, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება №2/4908-24, სადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ალიმენტის დაკისრება გ. ა-ისთვის 2 არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, სურთ საქმის წარმოება დაასრულონ მორიგებით: „მოპასუხე“ გ. ა-ი თანახმაა, მისი არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ გადაიხადოს ალიმენტი ყოველთვიურად შემდეგი გაანგარიშებით – 2024 წლის 01 ივნისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე თითოეულისთვის 350 ლარის ოდენობით (ჯამურად 700 ლარი).

6.30. სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია შემდეგი გარემოებები: 2024 წლის 15 ოქტომბერს სს „ლ.ბ-სა“ და გ. ა-ს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. კრედიტის მოქმედების ვადა განისაზღვრა 27.10.2025 წლის ჩათვლით. კრედიტის მოცულობა შეადგენს 2010 ლარს. კრედიტის ყოველთვიური შენატანია საშუალოდ 150 ლარი. გ. ა-ის განმარტებით, აღნიშნული თანხით შესრულდა საალიმენტო დავალიანება.

6.31. მ. ც-ქმ წარმოადგინა თ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა 100/ა, რომლის თანახმად, თ. ა-ს დაენიშნა მედიკამენტოზური მკურნალობა. ასევე, წარმოდგენილია მითითებული მედიკამენტების შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულებები (გადახდის ქვითები), რომლის საერთო ჯამი შეადგენს 474.26 ლარს. სტომატოლოგიური კლინიკის მიერ გაცემული ინვოისით დასტურდება, რომ თ. ა-ს ესაჭიროება 10 კბილის კარიესული დაზიანების დაბჯენა და პირის ღრუს ჰიგიენური წმენდა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 1550 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სამართლებრივი დასაბუთება:

6.32. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის – პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

6.33. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ალიმენტის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება ორივე

მშობლის მატერიალური მდგომარეობა, შემოსავლები, რომელსაც ალიმენტვალდებული მხარეები იღებენ, ასევე, გასათვალისწინებელია მათ კმაყოფილება მყოფ პირთა კანონიერი ინტერესი. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. პალატა მიუთითა, რომ შვილის (არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო) აღზრდა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა უპირველესად მშობლების ვალდებულებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება გულისხმობს შვილისათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს.

6.34. საამართლომ აღნიშნა, რომ ალიმენტის ოდენობის დაანგარიშებას, უპირატესად, შვილის საჭიროებანი განაპირობებს და არ გაიზიარა გ. ა-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ალიმენტის 900 ლარის 300 ლარამდე შემცირების შესახებ, ვინაიდან, დგინდებოდა, რომ მამა არ იღებს მონაწილეობას შვილის აღზრდაში. დედა – მ. ც-მ თავის თავზე იღებს შვილზე ფიზიკურ პასუხისმგებლობას. ამ ვალდებულების გამო მეორე მშობელთან შედარებით, შეზღუდულია მატერიალური სახსრების მიღება თავისი გამომუშავებით უზრუნველყოს. პალატამ მიუთითა, რომ თუ ჯანმრთელი შვილისათვის საკმარისია მხოლოდ საკვები, ტანისამოსი და განათლება, დროებითი ან სამუდამო შშმ პირისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ზრუნვა.

6.35. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ გ. ა-ს გააჩნია იმ ოდენობის შემოსავლები ან/და შესაძლებლობა-მიიღოს შემოსავალი, რომ უმნიშვნელოვანესი საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმაროს შრომისუუნარო სრულწლოვან შვილსაც, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ალიმენტის გადახდით მაინც.

6.36. პალატამ გაითვალისწინა, რომ თ. ა-ი წარმოადგენს სახელმწიფოსაგან სოციალური დახმარების მიმღებ პირს; ნ. ა-ი (გ. ა-ის შვილი) 2026 წლის 30 მაისს მიაღწევს სრულწლოვნების ასაკს, რაც ნიშნავს, რომ გ. ა-ი გათავისუფლება საალიმენტო ვალდებულებისაგან, ასევე 2027 წლის 05 მაისს, სრულდება საკრედიტო ვალდებულება და მიიჩნია, რომ 2026 წლის 01 ივნისიდან გ. ა-ის ყოველთვიური გადასახდელი უნდა განისაზღვროს 1200 ლარით, ხოლო საარჩელის აღძვრის მომანტიდან 2026 წლის 01 ივნისამდე პარიოდისათვის გადასახდელი ალიმენტი უნდა განისაზღვროს 1000 ლარით, რაც მოიცავს შვილის ჯანმრთელობისთვის, კვებისთვის, ჩაცმისათვის, ჰიგიენისთვის, დასვენებისათვის, სოციალური აქტივობებისთვის და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოქმედებებისთვის გასაწევ ხარჯებს. პალატამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, მითითებული გადასახდელი საალიმენტო ვალდებულებად მიიჩნევა, ვინაიდან თანხა შვილის ყოველთვიურ საჭიროებებს და-

ფარავს, ხოლო დამატებით ხარჯებს (სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლი) ძირითადად ერთჯერადი ხასიათი გააჩნია.

6.37. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხისათვის ყოველთვიურად 1200 ლარის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებით, სასამართლო არ გაცდენია მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის 1700 ლარის დაკისრებას (მათ შორის ალიმენტი – 1000 ლარი, დამატებითი ხარჯი – 500 ლარი). პალატა განმარტა, რომ სამართლებრივი ნორმის მოძიება და მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა და შესაბამისად, სასამართლოს სრული უფლებამოსილება გააჩნდა დადგენილ ფაქტობრივ საფუძველებზე დაყრდნობით, თავისი შეხედულებისამებრ განეხორციელებინა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაცია.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა გ. ა-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება 300 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

8. საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად იხელმძღვანელა ბავშვის საუკეთესო ინტერესების კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკით. ვინაიდან, თ. ა-ი მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულქმედუნარიანია, არ არის ბავშვი, სრულწლოვანი პირია და მსგავსი საკითხის მიმართ სასამართლოს უნდა ჰქონდეს განსხვავებული მიდგომა.

8.2. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ გ. ა-ის დაკირებული ოდენობით ალიმენტის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. თუმცა, სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული მტკიცებულებები და მხოლოდ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება. ამასთან, გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და მოპასუხეს დააკისრა ალიმენტი იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მოსარჩელე მოთხოვდა. საკასაციო პრეტენზია შეეხება ასევე სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხს.

8.3. კასატორი შუამდგომლობს მის მიერ ქირის გადადის დამადასტურებელი ქვითრებისა და ალიმენტის გადახდის დამადასტურებელი ქვითრების საქმეზე დართვაზე.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 25 ივლისის განჩინებით, სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კო-

დექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და ნაწილობრივ დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იმსჯელებს სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის საკითხზე და ამ კუთხით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული, სამართლებრივი შედეგის მართლზომიერებას შეაფასებს.

14. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უზინარეს საფუძველს წარმო-

ადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ უპირველესყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს, ხოლო, ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით) (იხ. სუსგ №ას-53-49-2017, 07 აპრილი 2017 წელი).

15. სადავო საკითხის სამართლებრივი მონესრიგების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე (მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ), 1214-ე (თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას), 1198.2 (მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება), 1202.1 (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ) მუხლებზე და განმარტავს, რომ მოხმობილი საკანონმდებლო დანაწესები მშობლების მიერ შვილების რჩენის – ალიმენტის გადახდის კანონისმიერ ვალდებულებას აწესებს. არასრულწლოვნის და შრომისუუნარო შვილის რჩენის მოვალეობა ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას, მიუხედავად იმისა, ისინი დაქორწინებული არიან თუ არა, თუმცა ალიმენტის ზღვრულ ოდენობას კანონი არ ადგენს. მისი გონივრული და სამართლიანი ოდენობა, სასამართლომ თავისი დისკრეციის ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა შეფასებით უნდა დაადგინოს.

16. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს,

ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ალიმენტის ოდენობის დადგენისას, უნდა შეფასდეს მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა ობიექტური გარემოებები. ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-58-49-2011, 27.06.2011წ; №ას-1141-1061-2017, 17.10.2017წ.; №ას-ას-1301-2019, 13.03.2020წ.; №ას-878-2021, 27.10.2021წ. №ას-1262-2023, 08.11.2023წ.; №ას-1328-2023, 07.03.2024წ.; №ას-1606-2023, 10.04.2024წ.). ამდენად, სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვის (განსახილველ შემთხვევაში შრომისუნარო შვილის) ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მისი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადამწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა, რამდენადაც უნდა დადგინდეს გონივრული ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში (იხ. სუსგ №ას-829-2019, 11.07.2019წ.). ამასთან, ალიმენტის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება ის, თუ რომელ მშობელთან ცხოვრობს ბავშვი და რომელს უფრო მეტი ხარჯის გაწევა უწევს (იხ. სუსგ №ას-159-2024; 23.01.2025წ.). როგორც წესი, იმ მშობლის მიერ გაწეული ხარჯები, რომელთანაც ბავშვი მუდმივად ცხოვრობს, გაცილებით მეტია და მას ემატება ის მორალური თუ ემოციური მხარდაჭერაც, რაც როგორც წესი მეტი აქვს იმ მშობელს, ვისთანაც ბავშვები განქორწინების შემდგომ, მუდმივად ცხოვრობენ, აღნიშნული კი კომპენსირებული უნდა იყოს მეორე მშობლის მიერ გონივრული ფულადი დახმარებით (იხ. სუსგ №ას-341-2022, 14.06.2022წ.).

17. მშობელთა მხრიდან შვილზე მაქსიმალური ზრუნვის დანაწესი უნდა განისაზღვროს მშობელთა მატერიალური შემოსავლების, ყოველთვიური ხარჯისა და შვილის მდგომარეობის გათვალისწინებით. მშობლის საალიმენტო მოვალეობა უპირატესია სხვა ვალდებულებებთან შე-

დარებით და შრომისუნარიანმა მშობელმა, თუნდაც მას არ უდასტურდებოდეს ყოველთვიური ფიქსირებული შემოსავალი ხელფასის სახით, უნდა უზრუნველყოს შვილი რჩენა-ალზრდისათვის აუცილებელი თანხით. პალატა დამატებით განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ალიმენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან დადგინდეს არა მხოლოდ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა, არამედ – ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია მისი ნორმალური რჩენა-ალზრდისათვის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1011-931-2017).

18. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია თ. ა-ის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მითითებული თანხების ოდენობა. თუმცა განმარტავს, რომ არ გააჩნია შესაბამისი ფინანსები, რათა ყოველთვიურად უზრუნველყოს მისი შვილი თ. ა-ი საალიმენტო მოვალეობის გადახდის გზით. გ. ა-ი მიუთითებს საბანკო ვალდებულებებზე, მშობლის წინაშე არსებულ მის ვალდებულებებზე, არასრულწლოვანი შვილების მიმართ არსებულ საალიმენტო ვალდებულებებზე და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის გადახდაზე.

19. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებასთან მიმართებით და განმარტავს, რომ საალიმენტო ვალდებულება მნიშვნელოვანია სხვა ვალდებულებებთან მიმართებით. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარის არგუმენტები და წარმოდგენილი მტკიცებულებები საკასაციო პალატას არ უქმნის დაკისრებული ალიმენტის 300 ლარამდე შემცირების რწმენას (როგორც ამას კასატორი მოითხოვს) (შდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.17 წელი „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული). პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სრულწლოვანი შრომისუნარო შვილის დიაგნოზიდან გამომდინარე, დედა – მ. ც-ძე მოკლებულია შესაძლებლობას დასაქმდეს და ჰქონდეს შემოსავალი.

20. რაც შეეხება კასატორის არგუმენტს მასზედ, რომ სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოსარჩელეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე იგი სარჩელით მოთხოვდა, საკასაციო პალატა

ამ ნაწილში სრულად იზიარებს კასატორის შედავებას.

21. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „გ“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებში, რომლის თანახმად, მოსარჩელე უთითებს დავის საგანს და სარჩელის მოთხოვნას, ასევე, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლომ დავის განხილვისა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა დაიცვას სარჩელის მოთხოვნის ფარგლები (იხ. სუსგ №ას-883-2021 09.12.2021წ.).

22. არაერთ საქმეში საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ: „... სსსკ-ის 248-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი სასამართლო გა-

დანყვეტილების ფარგლები, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული ნორმის დანაწესი არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ, სააპელაციო და საკასაციო განხილვის წესებზეც ვრცელდება, რამდენადაც, ამავე კოდექსის 384-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მოთხოვნის ფარგლებში შეცვალოს, ხოლო საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვისას, დავის საგნის გადიდება დაუშვებელია (სსსკ-ის 381-ე და 406-ე მუხლები) (შდრ: სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წ.).

23. ამდენად, როგორც სასამართლოში დავის დაწყება, ისე მოთხოვნის ჩამოყალიბება თუ დავის საგნის განსაზღვრა, მხოლოდ მხარის პრეროგატივაა. სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, სასამართლოს როლი განისაზღვრება მხარეთა მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში გამოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებაში (შდრ: სუსგ №ას-934-2020, 25 მარტი, 2021 წ.).

24. სადავო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა უპირველესად მხარის სასარჩელო მოთხოვნებზე გაამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, სარჩელის მიხედვით, მოთხოვნებს წარმოადგენდა: 1. მოპასუხისათვის შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, ალიმენტის ყოველთვიურად 1000 ლარის დაკისრება, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან, შვილის სიცოცხლის ბოლომდე. 2. მოპასუხისათვის შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების სახით, ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრება.

25. ამდენად, პირველი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოპასუხისადმი ალიმენტის სახით დასაკისრებელი თანხა მოსარჩელეს განსაზღვრული ჰქონდა 1000 ლარით; მეორე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში კი, მოპასუხისადმი დასაკისრებელი თანხა მოსარჩელეს განსაზღვრული ჰქონდა დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების სახით 500 ლარი. აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე სასარჩელო მოთხოვნის მოდიფიცირება არ მომხდარა. დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების სახით სარჩელის დაკმაყოფილებაზე კი, მოსარჩელეს ეთქვა უარი. აღნიშნულის მიუხედავად, სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებისა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დადგენილი თანხების ურთიერთშედარებით დგინდება, რომ სასამართლომ იმაზე მეტი მიაკუთვნა მოსარჩელეს ვიდრე ის მოითხოვდა. კერძოდ, სასამართლომ მოსარჩელე პირველი სა-

სარჩელო მოთხოვნის ფარგლებში აღჭურვა უფლებით, ალიმენტის სახით, ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 1000 ლარისა, 2026 წლის 01 ივნისიდან მიეღო 1200 ლარი.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედავებას მასზედ, რომ სასამართლომ მოსარჩელეს ალიმენტის სახით მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამასთან, პალატა არ ეთანხმება კასატორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს მისი მატერიალური მდგომარეობა და წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც ადასტურებდა მოპასუხისათვის ნაკლები ოდენობის ალიმენტის დაკისრების აუცილებლობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილის სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის შემცირების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი ვერ იქნება მისი აუცილებელი საჭიროებები. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი მოპასუხისათვის ალიმენტის სახით 1000 ლარის დაკისრების ნაწილში სრულად უნდა დაკმაყოფილდეს და გ. ა-ს შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე.

28. რაც შეეხება კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვის შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა უმაღლესი და საბოლოო ინსტან-

ციის სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყევტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა, საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას, მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ გ. ა-ს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული დოკუმენტები 25 (ოცდახუთ) ფურცლად.

29. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყევტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყევტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყევტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყევტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

30. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს გადანყევტილებით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საბოლოოდ, მოპასუხისათვის დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 1000 ლარით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, ალიმენტის გადახდენების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. გ. ა-მა სააპელაციო საჩივრით ალიმენტის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა ცნო 300 ლარის ნაწილში. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი უნდა განისაზღვროს

360 ლარით ($1000 \times 12 = 12000$; $12000 \times 3 / 100 = 360$); ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი უნდა დაანგარიშდეს 8400 ლარიდან და შესაბამისად, განისაზღვროს 336 ($8400 \times 4 / 100$) და 420 ($8400 \times 5 / 100$) ლარით. საკასაციო საჩივარს ერთვის 540 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, გ. ა-ს დაუკმაყოფილებელი საკასაციო მოთხოვნის პროპორციულად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 576 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. გ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება თ. ა-ის მხარდამჭერ მ. ც-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში (გადანყვეტილების მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ა-ის მხარდამჭერ მ. ც-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გ. ა-ს შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილის – 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისროს ალიმენტის გადახდა სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2024 წლის 07 თებერვლიდან ყოველთვიურად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე;
5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
6. გ. ა-ს (...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 576 ($360 + 336 + 420 = 1116$; $1116 - 540 = 576$) ლარის გადახდა;
7. გ. ა-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული დოკუმენტები 25 (ოცდახუთ) ფურცლად.
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge